საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№09 (527)
11 - 17 მარტი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ამერიკა-სოროსის თოჯინები გაერთიანდნენ, საქართველო კი დასავლეთის სანაგვედ იქცევა



24

## საკუთარ ქაქში ჩამჯდარი «ოცნება» და გადიდგულებული სააკაშვილი 2




## ბარემ ამერიკის ელჩს ვკითხოთ, — ვინ სურს ხელისუფლებაში და იმის მიხედვით დავნიშნოთ პრემიერი და მინისტრები 3



გურამ ნიკოლაიშვილი:

## ერთადერთი სტანდარტი — ეს არის შენი ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც ან იცავ, ან ვერა. თუ ვერ იცავ და ვერ უზრუნველყოფ, მაშინ რაშია წარმატება?

5

## ვინმეს თუ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა საქართველოდან საქონლის მიღებაზე უარი რომ თქვას, რა მოხდება? 7





ვაჟა ოთარაშვილი:

## არ შეიძლება, ხელისუფლებაში იყვნენ ორიენტაცია-დაკარგული და გაუკუღმართებული ადამიანები

6

## «მისის თამარა ჰოლმსის» «კვლევები», როგორც მედიატერორისტების იარაღი 8



## საკუთარი თავის უპატივცემულობა იმუნიტეტს აქვეითებს 11



## სიმბოლურად, გარკვეული დოზით ამ ნამუშევარში საქართველოს ისტორიაც აისახა 4



## კორონავირუსი ბოლოს მოუღებს გლობალიზაციას 10



ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს არ ეღირსა ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება და, მიმდინარე მოვლენების შემყურეს, მიჩნდება კითხვა: ეღირსება კი ჩვენს ქვეყანას ოდესმე ისეთი ხელისუფლება, რომლისთვისაც, უწინარესად, საქართველო და ქართველი კაცის კეთილდღეობა იქნება საზრუნავი და ქართველი არ იქნება იმ დღეში, რომელზეც თავის დროზე დიდი ილია მოთქვამდა: „ამ სამოთხის ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება“?**




## საკუთარ ქაქში ჩამჯდარი «ოცნება» და გადიდგულებული სააკაშვილი: ამერიკელებმა სააკაშვილს წინაპირობა შეუქმნეს საქართველოს პოლიტიკაში დასაბრუნებლად

„ოცნებამ“ ბევრი იბაქიბუქა, ბევრი ირტყა გულზე მჯიღი, — საარჩევნო სისტემა დადგენილია და არ შეიცვლება ურეიტინგო ოპოზიციის მოთხოვნითო, მაგრამ აშშ-ის ელჩმა ერთ დღეში მიუჩინა მას თავისი ადგილი და, არ გვინდა ამ ფრაზის ქართველებზე თქმა, მაგრამ, რასაც „ოცნება“ ერთი წლის განმავლობაში „იფურთხებოდა“, უცბად „აალოკინა“. აშშ-ის ელჩმა თავისი „შუამავლობით“ გამართულ შეხვედრაზე მოქმედ ხელისუფლებას ოპოზიციის ყველა მოთხოვნა მიაღებინა და მეტიც — სისხლის სამართლის დამნაშავეების ციხიდან გამოშვების პირობაც დაადებინა.

დიდი მკითხაობა არ უნდა იმის მიხვედრას, რომ ცვლილებები სწორედ სააკაშვილსა და მის სატელიტ პარტიებზეა მორგებული, მათ პოლიტიკურ რეაბილიტაციასა და ხელისუფლებაში მობრუნებას ემსახურება.

სააკაშვილი მყისვე გამოეხმაურა ამ ფაქტს — ჩაწერა ვიდეო და შემდეგ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა. **„ქართველი ხალხის დიდ ნაწილს უნდა, რომ მე ჩავერთო ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში და ამის საშუალება უნდა მომეცეს. ახლა მთავარია მობილიზება და შეტევა. გამარჯვებისკენ ძალიან დარწმუნებული, გაერთიანებული ძალებით სვლა“,** — ამბობს მიხეილ სააკაშვილი. ის ივანიშვილის დამარცხებასა და ხელისუფლებაში დაბრუნებასაც აანონსებს. სააკაშვილის ასეთი განცხადებები ადრეც ბევრი მოგვისმენია, მაგრამ მაშინ ამერიკის ელჩი არ უმაგრებდა ზურგს.

# დემოკრატია — ყველაზე ანტიეროვნული სიტყვა საქართველოს სინამდვილეში

**წინამდებარე წერილის პროლოგის სახით, მინდა, ქართველ საზოგადოებას შევახსენო მოვლენები, რომლებიც ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ განვითარდა საქართველოში. ამან მიგვიყვანა საქართველოს იმ მდგომარეობამდე, რომელსაც, რბილად და მოკლედ თუ ვიტყვით, ქართველი ერის სირცხვილი ჰქვია, ხოლო, თუ ჩვენს დღევანდელ ყოველმხრივ სავალალო ვითარების „მაგრად“ და „გრძლად“ აღწერას დავისახავთ მიზნად, ცოტა შორიდან მოგვიწევს თხრობის დაწყება.**

ამ მხრივ ახალს ბევრს ვერაფერს გეტყვით და ამიტომ ნაწილობრივ ძველის გამეორება მომიწევს, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, გამეორება ცოდნის დედააო და ამ ანდაზის იმედად ვბედავ ქართველი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. თუმცა, ამ არცთუ მოკლე პროლოგ-მონოლოგის შემდეგ რასაც ვიტყვი, შეიძლება გარკვეულწილად ახალიც იყოს — **დამოუკიდებელი საქართველოს შენება ქართველმა ერმა უდიდესი შეცდომით დაიწყო და სწორედ ამ შეცდომის გამოა, რომ საქართველო, აგერ უკვე ლამის 30 წელიწადია, „დამოუკიდებელი“, „სუვერენული“ „სახელმწიფოა“.** უამრავი ნაკლისა და შეცდომის მიუხედავად, რომელთა ჩამოთვლას აქ არ ვაპირებ, **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლება არ უნდა დაგვემხო...

ნაპოლეონ ბონაპარტეს ბრძანებაზე 1804 წელს ენგიენის ჰერცოგის დახვრეტის შესახებ **ჟოზეფ ფუშემ** განაცხადა: „ეს დანაშაულზე მეტია, ეს შეცდომაა!“ ჰოდა, თუ საფრანგეთის შს მინისტრ ჟოზეფ ფუშესავით ვიმსჯელებთ, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა დანაშაულზე მეტი შეცდომა იყო და ამ შეცდომის გამო მოხდა ის, რაც მერე დაგვემართა ქართველებს — ჯერ **ედუარდ შევარდნაძე** მოგვივლინა უფალმა სასჯელად, შემდეგ — მანიაკი და სადისტი ნაცების ხელისუფლება და აგერ, ახლახან ხალხის უდიდეს იმედს, **ბიძინა ივანიშვილის** „ქართულ ოცნებას“, ისეთი დიდი იმედგაცრუება მოჰყვა, რომ ქოცებსა და ნაცებს შორის ერთი განსხვავებაღა დარჩა: ქუჩებში ხალხს აღარ ხვრეტენ, არც საპატიმროებში წამებით აღარ ხოცავენ უმწეო პატიმრებს (რაც ნამდვილად არ არის ცოტა). „იმ შეცდომის“ გამო საქართველოს ზვიად გამსახურდიას შემდეგ არ ეღირსა ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება და, მიმდინარე მოვლენების შემყურეს, კითხვა მიჩნდება: ეღირსება კი ჩვენს ქვეყანს ოდესმე ისეთი ხელისუფლება, რომლისთვისაც, უწინარესად, საქართველო და ქართველი კაცის კეთილდღეობა იქნება საზრუნავი და ქართველი არ იქნება იმ დღეში, რომელზეც თავის დროზე დიდი ილია მოთქვამდა: **„ამ სამოთხის ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება“.**

ყოველივე ზემოთ თქმული, ჩემი აზრით, საქართველოს უახლესი, 30-წლიანი ისტორიის მაქსიმალურად შეკუმშული (თუ ასე თქმა შეიძლება) ვარიანტია. აქედან გამომდინარე, პატარა ნახტომი და ე.წ. გარილოვის ღამემდეც მივალთ...

თუმცა არა: **ამ აშკარად დაგეგმილ პროვოკაციამდე რა არ სცადეს, რათა ქუჩაში ხალხის კრიტიკული მასა გამოეყვანათ — ბასიანის „დარბევა“, შვილმოკლული მამებით პოლიტიკური სპეკულაციები და რა ვიცი, კიდევ რამდენი დიდი თუ პატარა ინციდენტი, რომლებსაც პირდაპირ ეთერში დაუფარავი სიამოვნებით აპიარებდნენ ე.წ. გაერთიანებულ (სააკაშვილთან) ოპოზიციასთან შეკრული ტელევიზიები, რომელთა სახელი ლეგიონია, და, თუ მაინცდამაინც კონკრეტიკა გვინდა, — ინგა გრიგოლიები...**

მიუხედავად უზარმაზარი საინფორმაციო მხარდაჭერისა, შვილმოკლული მამებისა და სხვათა მხარდამჭერ აქციებზე დიდი-დიდი, პირველ ორ დღეს გამოდიოდა ხალხის მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი რაოდენობა, მაგრამ საკმარისი იყო, ვინმე ბობოლა ნაცი გამოჩენილიყო აქციაზე, რომ მეორე დღეს რუსთაველზე კარვები უფრო მეტი იყო, ვიდრე მომიტინგენი. და ეს ყველაფერი უნამუსო ქოცების უნიათობის ფონზე ხდებოდა და სწორედ ამიტომ დაიგეგმა ევრონაცების მიერ გავრილოვის ღამედ ცნობილი აქცია, რომელმაც გაბრიყვებული ახალგაზრდების გულწრფელი აღშფოთების გამო ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ არა



**საქართველოში ბევრი რამ დემოკრატიის სახელით ხდება და მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, მრცხვენია, რომ სიტუაცია ძია სემმა, მისმა ევროპელმა სატელიტებმა და ე.წ. ენჯეოებმა გადაგვიწყვიტეს; მრცხვენია, რადგან თავი დიდი კულტურისა და ისტორიის ერის შვილად მიმაჩნია**

**გიორგი გახარიას** ვაჟკაცობა, სამოქალაქო ომი თუ არა, სერიოზული დესტაბილიზაცია ქვეყნის მასშტაბით ხელში გვეჭირა.

შალიკო ნათელაშვილის ქარვასლაში კი დაიწყო ის, რასაც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ჰქვია, სადაც მკვლელები, გამომძალველები, ადამიანთა მწამებლები და მათი მსგავსი ხალხი ერთ მაგიდას მიუსხდნენ და, „თუ პროპორციულ არჩევნებზე უარს გვეტყვი, საყოველთაო დაუმორჩილებლობით, მასობრივი აქციებით, ხალხის ძალით გამოგიყვანთ შუშის სასახლიდანო“, — დაემუქრნენ ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ **ქარვასლაში მალე დაინახეს, რომ არჩევნების სისტემის თემა ვერ გამოიყვანდა ხალხს ბიძინას „აკვარიუმის“ დასალეწად; რომ საზოგადოებისთვის სულერთია (უმცირესების გამოკლებით), როგორი სისტემით შევლენ პარლამენტში ქოც-ნაცი ნაძირალები და ამიტომ საშველად საქართველოს ევროამერიკელ „მეგობრებს“ უხმეს. იქიდან კი ისე ოპერატიულად და ორკესტრირებულად წამოვიდა ქარვასლის „პოლიტპატიმართა“ მხარდამჭერი კოლექტიური წერილები, რომ ბოლშევიკებისდროინდელი კოლექტიური წერილების ავადსახსენებელი კამპანიები გამახსენდა.**

აი, სინამდვილეში რა ყოფილა ქარვასლის მიერ დაანონსებული მასობრივი დაუმორჩილებლობა, რომელმაც შედეგი გამოიღო — დემოკრატიის სახელითა და ამერიკის ახალი ელჩის თამადობით გაიმართა უნიათო, ფარჩაკი „ქართული ოცნებისა“ და დემოკრატიის მედროშე ქარვასლის გაერთიანებული ოპოზიციის დასკვნითი მოლაპარაკებები, რომლებიც ქარვასლის ოპოზიციის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებით დამთავრდა.

როგორც წინა წერილებში შევთანხმდით, გაერთიანებული ოპოზიციაა ის, რაც ქართველ ხალხს არ უნდა. აქედან გამოდინარე, 120/30-ზე ის სისტემაა, რომლითაც „ქართული ოცნება“ თითქმის გარანტიებული 30 ხმის ჰანდიკაპით დაიწყებს არჩევნებს, იმიტომ, რომ **ე.წ. ქარვასლის გაერთიანებულ ოპოზიციაში ვერ ვხედავ პიროვნებას, რომელიც „ოცნებას“ ან, გნებავთ, „პატრიოტთა ალიანსს“ სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს; არა იმიტომ, რომ ქართველ საზოგადოებას გულზე ახატია „ქართული ოცნება“, არამედ იმიტომ, რომ ჭირივით სძულს ქარვასლის ოპოზიცია, რომლის ნებისმიერ მაჟორიტარ კანდიდატს, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ერთი ერთზე დარჩენის შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი პარტიების კანდიდატები კი არა, თქვენი მონა-მორჩილიც უპრობლემოდ ვძლევ.**

ყოველივე ზემოთ თქმული დემოკრატიის სახელით ხდება და მე, როგორც ერთ რიგით ქართველს, მრცხვენია, რომ სიტუაცია ძია სემმა, მისმა ევროპელმა სატელიტებმა და ე.წ. ენჯეოებმა გადაგვიწყვიტეს; მრცხვენია, რადგან თავი დიდი კულტურისა და ისტორიის ერის შვილად მიმაჩნია.

ამასობაში რუსეთმა კუნთების თამაშით მთელი სირია „დაითრია“. სირია, სადაც რუსების შესვლამდე ტერორისტებს პრეზიდენტ ასადის სასახლემდე, სულ რაღაც, 8 კილომეტრი აშორებდათ. **ვლადიმერ პუტინმა** თურქეთის პრეზიდენტი მოსკოვს იახლა და ეკატერინე დიდის სახელობის დარბაზში ესაუბრა. **ეკატერინე მეორესი**, რომლის ჯარებმა **სუვოროვის** სარდლობით არაერთი მარცხი აწვნევინა ოსმალეთის (თურქეთის) ჯარებს — უყვარს პუტინს სიმბოლიზმი... თურქეთის პრეზიდენტმა, რომ იტყვიან, კუდამოძუებულმა დატოვა მოსკოვი, რადგან რუსეთმა ყველაფერი მიიღო იდლიბის პროვინციაში, რომელსაც თურქეთი საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა, ამიერიდან კი რუსეთის გარეშე ვერაფერს მოიმოქმედებს. ეს ისე, რუსეთის წარმატებული გეოპოლიტიკის შესახებ, რომელთანაც ჯერჯერობით შეხება არ გვაქვს... მე ის მაწუხებს, რომ, რაც შეგვიძლია, იმას არ ვაკეთებთ — რუსეთმა კონსტიტუციურ ნორმად აქცია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთში პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან, ამიერიდან ვალდებულნი არიან, დაასახელონ დაფინანსების წყაროები და ფინანსების რაოდენობა მათი განკარგვის მითითებით... **სირიის აღება თუ არა, ის ხომ მაინც შეგვიძლია, რომ მსგავსი კანონი მივიღოთ? მაშინ ხომ აღარც კაპიტანი გიგაურები გვეყოლება, რომლებიც დემოკრატიის სახელით ანტიეროვნულ, ანტიქართულ საქმიანობას ეწევიან საქართველოში?**

**დავით მხეიძე**

**ამერიკამ და ევროპამ რატომ არ აიძულეს „ნაციონალური მოძრაობა“ და პირადად მიხეილ სააკაშვილი, კანონმდებლობა შეეცვალათ? მაშინ არ იყო ეს კანონი მიუღებელი? ამ საარჩევნო კოდექსით არ დამარცხდა მიშა 2012 წელს? რა მოხდა? რა შეიცვალა? თუ იმხანად სააკაშვილი ყურებით ჰყავდათ დაჭერილი, საჭიროების დროს ომიც გააჩაღებინეს და ახლა ეს ხელისუფლება ველარ დაიყოლიეს ომზე? არადა, მცდელობა იყო, თანაც რამდენიმე, მაგრამ ამჟამინდელ ხელისუფლებას ეყო გონიერება და არ გაისროლა. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ამერიკასა და ევროპას ამჟამინდელი ხელისუფლება არ სურთ.**

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბარემ ამერიკის ელჩს ვკითხოთ, — ვინ სურს ხელისუფლებაში და იმის მიხედვით დავნიშნოთ პრემიერი და მინისტრები

## რატომ ეშინია საქართველო-რუსეთის პირისპირ საუბრისა ამერიკას

**კელი დეგნანი ამერიკამ ცოტა ხნის წინათ დანიშნა ელჩად საქართველოში. მანამდე „უპატრონოდ“ ვიყავით — თითქმის ორი წელი აშშ ჩვენთან ელჩს არ უშვებდა და ამაზე ცალკე ოპოზიცია ნერვიულობდა, ცალკე — ხელისუფლება. მეტიც, ოპოზიცია ბრალს სდებდა ხელისუფლებას: ამერიკას უნდა ელჩის დანიშვნა, მაგრამ თქვენ ბლოკავთო. ეს განცხადება ძალიან სასაცილოა, რადგან საქართველომ ამერიკას რამე დაუბლოკოს, სასწაულია და თან ისეთი სასწაული, რომელიც არ ხდება. მოკლედ, დაინიშნა დეგნანი ელჩად და საქართველოს საშინაო საქმეებში კი არ ერევა, არამედ განაგებს — მის გარეშე არც მთავრობა დგამს რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს და ოპოზიციის ლიდერები ხომ, საერთოდ, ტუალეტში შესვლის ინტენსივობასაც მასთან ათანხმებენ, ეგებ ქალბატონმა კელიმ მოწყალე თვალით გადმოგვხედოს და მხარი დაგვიჭიროსო. ვერ გეტყვით, მერამდენე წელიწადია, რომ ამერიკის ელჩი მართავს საქართველოს, მაგრამ ყველაფერი თვალნათლივ 2003 წლიდან გამოჩნდა. უხეშად რომ ვიანგარიშოთ, 17 წელია, რაც ამერიკელებს თათი უდევთ საქართველოზე და სწორედ მათი ელჩების ნებაზეა, როგორ წარიმართება საქართველოს საშინაო თუ საგარეო კურსი.**



მოდი, ჯერ იმაზე ვთქვათ, რა რეაქცია ჰქონდა დეგნანს, როცა შეიტყო, რომ ევროსაბჭოს მინისტერიალი თბილისის ნაცვლად სტრასბურგში გაიმართება.

„თუკი მან გადაწყვიტა, რომ ღონისძიება ჩატარდეს სტრასბურგში, არ მგონია, ეს უპრეცედენტო მოვლენა იყოს. ადრეც ყოფილა პრეცედენტი. როგორც ვიცი, რუსეთი არ აპირებდა, მკაფიოდ ეთქვა, ვის გამოგზავნას გეგმავდა დელეგაციის ხელმძღვანელად. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მიეცა საქართველოს ხელისუფლებას საქართველოში შემოსვლის ნება პირისთვის, რომელმაც არაერთხელ დაარღვია საქართველოს კანონები და სრულად უგულებელყო ისინი აფხაზეთში ჩასვლით. ეს საქართველოს აყენებს პოზიციაში, როცა არ წარმომიდგენია, როგორ შეძლებდა ქვეყანაში შემოსვლის ნება დაერთო მისთვის. ეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებაა, თუმცა ღონისძიების სტრასბურგში ჩატარება არ არის უპრეცედენტო მოვლენა“, — განაცხადა დეგნანმა.

ეს არ არის ყველაზე საინტერესო, რაც ამერიკის ელჩმა თქვა. კელი დეგნანის აზრით, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მთავარი გზა არის ჟენევის ფორმატი, ე.ი. საქართველომ და რუსეთმა უნდა ისაუბრონ ჟენევაში და არა რუსეთში ან საქართველოში. **ამ განცხადებით დენგანმა თქვა, რომ საქართველო ამერიკის მძევალია და არ აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. ამ განცხადებით აშშ-ის ელჩმა დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის უმაღლესი პირები თანახმა იქნებიან, მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ და საქართველოს პირველ პირებს ერთი-ერთზე ესაუბრონ, ისინი ქვეყანაში არ უნდა შემოვუშვათ. ამერიკის ელჩი დაუფარავად ამბობს, რუსეთთან პირისპირ სასაუბროდ არც გაგიშვებთ და არც აქ მიგაღებინებთ რუსეთის დელეგაციასო. კითხვას — რატომ ეშინია ასე საქართველო-რუსეთის პირისპირ საუბრის ამერიკას? — არავინ სვამს... ისევ ამერიკის შიშით.** ეს — რაც შეეხება საგარეო კურსს, ანუ იმას, რასაც გვკარნახობს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საგარეო კურსის დღის წესრიგს; როგორ გვიხსნის, ვინ უნდა შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში და ვინ — არა, ვის უნდა შევხვდეთ და ვის — არა, სად უნდა გაიმართოს შეხვედრები და სად — არა.

ახლა საშინაო ამბებს მივხედოთ. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის მიერ არჩეულმა მაჟორიტარმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებაზე და ამით გამოხატეს ამომრჩეველთა ნება, ევროპელი დიპლომატები, ამერიკის ელჩის მეთაურობით, კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ პოზიცია შეიცვალოს და მიიღოს კანონი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. დიახ, არ აქვს, რადგან საუბარია 110/40-ზე ან 120/30-ზე სისტემაზე. ასეთი რამ კი არსად არ ხდება. მარტივად რომ ვთქვათ, ასეთი პროპორცია არსად არ არის, მაგრამ იცით, რაშია საქმე? პარლამენტში ერთხელ ჩავარდნილ კანონს მეორედ ველარ შეიტანენ და ამიტომ ცდილობენ, ყველაფერი ისე დახატონ, თითქოს ეს ახალი კანონია და სინამდვილეში სისტემა მთლიანად პროპორციული გამოდის. აბა, რა აზრი ექნება იმას, რომ 10 მუნიციპალიტეტი ერთ მაჟორიტარს აირჩევს?! ათს კი არა, ერთს ვერ პატრონობენ დეპუტატები და ეს იქნება უბრალო ფორმალობა, ფორმალობა იმისთვის, რომ მოიტყუონ თავი, მოატყუონ კანონი და, რაც მთავარია, მოატყუონ ამომრჩეველი. **ამას არ ჰქვია საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, ეს არის საქართველოს კონსტიტუციაზე პირდაპირი იერიში, რომელიც მასზე ამერიკის ელჩმა მიიტანა და ევროპელი დიპლომატები ტაშს უკრავენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ არც ერთი, ვიმეორებთ, არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი არ გამოსულა და არ უთქვამს: რას აკეთებენ ეს ელჩები, ჩვენს საქმეებში რატომ ერევიანო? პირიქით — ხელისუფლება თუ ოპოზიცია მაქსიმალურად ცდილობენ, ევროპელებს ერთი ადგილი მოულოკონ და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ის ადგილი სუფთაა თუ არა; მთავარია, ამ ლოკვით ერთგულებასა და მორჩილებას აჩვენებენ.**

**ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ამერიკისა და ევროპის წარმომადგენელთა უხეში ჩარევით მერამდენედ მოისპო საქართველოსა და რუსეთის უმაღლესი პირების პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობა. ხომ ფაქტია, რომ დასავლეთს ყველაზე მეტად ეშინია იმის, რომ ერთ მაგიდასთან პირისპირ დარჩენილმა ქართულმა და რუსულმა მხარეებმა არსებული სიტუაციიდან ისეთი გამოსავალი იპოვონ, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მისაღები იქნება**

მედალს მეორე მხარეც აქვს და **წამით წარმოვიდგინოთ, რომ კანონების შეცვლა და დეპუტატების დახურულ შეხვედრებზე ტარება კი არა, რუსეთის ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს რომ ეთქვა, ქართული პოლიტიკური სპექტრი კრიზისშიაო (მართლა არის), რა მოხდებოდა. პირველ რიგში, ისევ კელი დეგნანი გამოყოფდა თავს და იტყოდა: რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ერევაო. შემდეგ ევროპელი დიპლომატები ხბოს აღტყინებით დაიწყებდნენ კუნტრუშს და ოპოზიცია თუ ხელისუფლება ცალ-ცალკე გამართავდნენ ბრიფინგს: ხედავთ, რა ხდება, რუსეთი ჩვენს საშინაო საქმეებში ერევაო.** არადა, ევროპა და ამერიკა არათუ ჩვენს საშინაო საქმეებში ერევიან, ისინი განაგებენ ყველაფერს და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ ხანდახან აძლევენ უფლებას, ჩაერიონ ჩვენს მეორეხარისხოვან საშინაო საქმეებში.

საინტერესოა, 2003 წლიდან მოყოლებული, იმავე ამერიკამ და ევროპამ რატომ არ აიძულეს „ნაციონალური მოძრაობა“ და პირადად **მიხეილ სააკაშვილი**, კანონმდებლობა შეეცვალათ?! მაშინ არ იყო ეს კანონი მიუღებელი? ამ საარჩევნო კოდექსით არ დამარცხდა მიშა 2012 წელს? რა მოხდა? რა შეიცვალა? თუ **იმხანად სააკაშვილი ყურებით ჰყავდათ დაჭერილი, საჭიროების დროს ომიც გააჩაღებინეს და ახლა ეს ხელისუფლება ველარ დაიყოლიეს ომზე? არადა, მცდელობა იყო, თანაც რამდენიმე, მაგრამ ამჟამინდელ ხელისუფლებას ეყო გონიერება და არ გაისროლა. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ამერიკასა და ევროპას ამჟამინდელი ხელისუფლება არ სურთ, ხელს არ აძლევთ ხელისუფლების სათავეში ყოფნა ადამიანებისა, რომლებიც რუსეთს იარაღის ენით არ ესაუბრებიან და ამიტომაც აპირებენ შეცვლას.**

არჩევნების ჩატარება საქართველოში დაახლოებით 50 მილიონი ჯდება და ეს არჩევნები, ალბათ, ყველაზე ძვირი იქნება — ას მილიონს ისე აარტყამს, როგორც არაფერი და ამიტომ იქნებ სჯობდეს, არჩევნები საერთოდ არ ჩავატაროთ. როცა მოვა საარჩევნო წელი, კანონების ჭრა-კერვის ნაცვლად, ამერიკის ელჩს ვკითხოთ, — ვინ სურს ხელისუფლებაში და იმის მიხედვით დავნიშნოთ პრემიერი და მინისტრები. ასე ორ კურდღელს დავიჭერთ — **ოფიციალურად გვეცოდინება, რომ ამერიკის მონები ვართ და ფულიც დაიზოგება. არც ხალხს დააწყდება ნერვები იმაზე ფიქრით, ხმა ვის მივცეო და არც წინასაარჩევნო დაპირებებით გამოგვილაყებენ თავს, მაინც არაფერი არ სრულდება. ელჩმა დანიშნოს ხოლმე ხელისუფლება და გამოგვიცხადონ მერე: მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გმართავენ პეტრე ან პავლე, ხოლო პეტრეს ან პავლეს ვმართავთ ჩვენო. აღარ გვინდა ასე სტრატეგიული პარტნიორის საფარქვეშ შეფუთული მონობა, მწარე სიმართლე ვთქვათ და დასრულდება ყველაფერი.**

ხუმრობა იქით იყოს და, **ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ამერიკისა და ევროპის წარმომადგენელთა უხეში ჩარევით მერამდენედ მოისპო საქართველოსა და რუსეთის უმაღლესი პირების პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობა? ხომ ფაქტია, რომ დასავლეთს ყველაზე მეტად ეშინია იმის, რომ ერთ მაგიდასთან პირისპირ დარჩენილმა ქართულმა და რუსულმა მხარეებმა არსებული სიტუაციიდან ისეთი გამოსავალი იპოვონ, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მისაღები იქნება.** მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მოგჭამა ჭირი ნატოში შეთრევის შესაძლებლობამ, მონობამ და ამერიკის ელჩის პარპაშმა საქართველოში. დარჩებიან მშივრები არასამთავრობოები, გრანტებს ველარ მიიღებენ „დასავლეთზე ორიენტირებული“ პარტიები და რეალურად ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც მოსახლეობას სურს და ქვეყნისთვის უკეთესია, თუმცა როდის იყო, მოსახლეობის სურვილს ითვალისწინებდა დასავლეთი. ასე რომ იყოს, აგერ, რამდენიმე წლის წინათ ხომ გაუფორმა სააკაშვილმა, ამომრჩევლის უმრავლესობა ითხოვს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციასო, მაგრამ არაო, ჯერ მზად არ ხართო. ახლა კიდევ, ამის მესამედიც არ შერჩათ და მხოლოდ პოლიტიკური სპექტრის დამონებაზე გადავიდნენ.

ისე, რას ერჩით, მშვენივრად გამოსდით!

**კელი დეგნანის აზრით, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მთავარი გზა არის ჟენევის ფორმატი, ე.ი. საქართველომ და რუსეთმა უნდა ისაუბრონ ჟენევაში და არა რუსეთში ან საქართველოში. ამ განცხადებით აშშ-ის ელჩმა თქვა, რომ საქართველო ამერიკის მძევალია და არ აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. ამ განცხადებით კელი დეგნანმა დაადასტურა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის უმაღლესი პირები თანახმა იქნებიან, მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ და საქართველოს პირველ პირებს ერთი-ერთზე ესაუბრონ, ისინი ქვეყანაში არ უნდა შემოვუშვათ. ამერიკის ელჩი დაუფარავად ამბობს: რუსეთთან პირისპირ სასაუბროდ არც გაგიშვებთ და არც აქ მიგაღებინებთ რუსეთის დელეგაციასო**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ღარიბაშვილმა აზერბაიჯანში დიპლომატიური კრახი განიცადა. მას შეეძლო, ენისთვის კბილი დაეჭირა. არავინ თქვას, რომ ალიევისთვის მადლობის გადახდა ღარიბაშვილს ამერიკამ დაავალა... ბრიტანელებმა თქვეს, რომ საქართველოს ტერიტორია წითელ ხიდთან დანაღმულია აზერბაიჯანელების მიერ, როდესაც ტერიტორიაზე საერთაშორისო კომისია შეეცადა ტერიტორიის განაღმვას, იქითა მხრიდან ტანკებით მივიდნენ და გამოაძევეს“.**



**გულბაათ რცხილაძე:**

# ვლადიმერ პუტინმა სკულპტურით, რომლის სახელწოდებაა «გადასვლა ბალკანეთში», ყველას დაანახვა, რომ ის იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომელიც მუდმივად გამარჯვებულია

**5 მარტს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს კრემლში ეახლა. შეხვედრა მას შემდეგ შეიქნა საჭირო, რაც სირიის პროვინცია იდლიბში საომარი ოპერაციები დაიწყო. კრემლში ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრისას პოლიტოლოგების გარკვეული ნაწილის ყურადღება მიიქცია სკულპტურამ, რომლის ფონზეც მოლაპარაკება მიმდინარეობდა. რის სიმბოლოს წარმოადგენდა სკულპტურა და რა გათვალა რუსეთის პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურმა ამით — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

— ერდოღანი კრემლში ჩავიდა იმ დაძაბულობის განსამუხტავად, რომელიც შეიქმნა სირიაში, კერძოდ, იდლიბის პროვინციაში, სადაც შერეული მოსახლეობაა, მათ შორის, თურქმენული წარმოშობის, რომელიც ორიენტირებულია თურქეთზე. იქ თავიდანვე მოქმედებდნენ ტერორისტული ჯგუფები, რომლებმაც სახელი გადაირქვეს და წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთისა და სირიის მთავრობის გეგმას. ეს გეგმა ერდოღანთან ერთად შეიმუშავეს სოჭში გამართულ შეხვედრაზე. სოჭში მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს თავისუფალ მიმოსვლას ალეპოსა და დამასკოს შორის.

თურქული მხარე დაინტერესებულია თურქმენული ტომების დაცვით, ხოლო რუსეთი იცავს სირიის ლეგიტიმური მთავრობის ინტერესებს იდლიბის პროვინციაში, რომელიც სირიის ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია და რაც ალეპო-დამასკოს ტრასას უკავშირდება. რუსეთი, რომელიც ჩართულია სირიის კონფლიქტში, დაინტერესებულია იმით, რომ ეს ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი იყოს, რადგან ბევრ სფეროში კონტრაქტი აქვს გასაფორმებელი...

მოსკოვში თურქეთის პრეზიდენტის ჩასვლა სწორედ სიტუაციის განსამუხტავად მოხდა, რადგან რუსეთსა და თურქეთს შორის დიდი ენერგეტიკული პროექტები ხორციელდება.

**— საქართველოს ხელისუფლება და არა მხოლოდ საქართველოსი, რუსეთს ოკუპანტად მოიხსენიებს და იდლიბში განვითარებულ მოვლენებს სწორედ მას აბრალებს...**

— ჩვენი ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ტაკიმასხარაობს, რადგან თვით რუსეთმა მიუსამძიმრა თურქეთს და შეხვედრისას **პუტინმა** გაიმეორა სამძიმრის სიტყვები — რუსეთი თანაგრძნობას გამოხატავს თურქი ჯარისკაცების დაღუპვის გამო. **ერდოღანმა** მიიღო ეს სამძიმარი. მას არ უთქვამს, რომ რუსები აგრესორები არიან. ასე რომ, ჩვენს ქვეყანას მსგავს საკითხებს არავინ ეკითხება.

**— ნატოს დიდი აქტივობა არ გამოუჩენია თურქეთის დასაცავად, მხოლოდ შეშფოთებითა და მოწოდებებით შემოიფარგლა. არადა, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა... ეს საკითხი საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ნატოს ქოლგის ქვეშ ვეძებთ თავშესაფარს...**

— როდესაც თურქეთისთვის ტრაგიკული შემთხვევა მოხდა და იდლიბში თურქი ჯარისკაცები დაიხოცნენ, ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის,** პოზიცია ცოტა სასაცილო იყო. მან მაშინვე გამოთქვა შეშფოთება, აღნიშნა, რომ ნატო მხარს უჭერს თურქეთს, ამიტომ ნატო შეიკრიბება, იმსჯელებს, მეოთხე პუნქტს (და არა მეხუთეს) განიხილავს და გააღრმავებს თურქეთის მხარდაჭერასო. ეს მათი მხრიდან იყო პროვოკაციის მცდელობა. სტოლტენბერგმა დაგმო შექმნილი ვითარება და სურდა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების რადიკალური გაუარესება. **ნატოს გენმდივანს აჰყვნენ მსოფლიოს პოლიტოლოგები და დაიწყეს საუბარი, რომ იქნება დიდი ომი. სინამდვილეში კი, რუსეთი და თურქეთი იდლიბის გამო სრულმასშტაბიან ომში არ ჩაებმებიან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით ერდოღანისთვის, იმიტომ, რომ თურქეთის თავკაცს სურს, გამოჩნდეს ძლიერ ფიგურად თავის ქვეყანაში.** მას სურს, თავის ხალხს დაანახვოს, რომ აგვარებს სიტუაციას სირიაში, ამისათვის არ ერიდება ცეცხლის გამოყენებასაც კი. რუსეთი არ არის წინააღმდეგი, რომ ერდოღანი იყოს ძლიერი ფიგურა თურქეთში.

მნიშვნელოვანია ამერიკელი დიპლომატის, **ჯონ ჰერბსტის,** წერილი იმ პროცესებზე, რომლებიც ბოლო დროს განვითარდა: **„აშშ-ს სირიაში პარტნიორები არ ჰყავს; ნატო თურქეთს არ დაეხმარება. იდლიბის პროვინციაში ვითარების გამწვავება არ უნდა გახდეს სირიაში აშშ-ის დაბრუნების მიზეზი, ბაშარ ასადის დამხობის მიზნით; ქურთების გარდა, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედებენ, ამერიკას არ ჰყავს შესაფერისი პარტნიორები, რომლებიც სირიის არმიას ეფექტიანად დაუპირისპირდებიან.**



**«კრემლში პუტინმა ერდოღანი მიიღო დარბაზში, სადაც ბუხარზე დევს ძვირფასი საათი, რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ხუროთმოძღვრის, ევგენი ლანსერეს, მინიატურული სკულპტურით მორთული. ლანსერეს ნამუშევარი ასახავს რუსეთის იმპერიის არმიის გმირულ ბრძოლას ოსმალებთან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 1877 წელს, კერძოდ, ბულგარეთში. სკულპტურას ასე ჰქვია: «გადასვლა ბალკანეთზე». ამ ომის შედეგად (ბერლინის 1878 წლის კონგრესზე დამტკიცებული) საქართველოს დაუბრუნდა აჭარა ბათუმითურთ და ისტორიული ტაო-კლარჯეთი»**

სირიის ჩრდილო-დასავლეთით მიმდინარე შეჯახებები ადასტურებს, რომ კრემლს აქვს ზღვარი, სადამდეც იგი თანახმაა, ელოლიავოს თურქეთს. მაშინ, როდესაც პუტინი ათი წლის განმავლობაში მოხერხებულად ქმნიდა უთანხმოებას თურქეთსა და ნატოს შორის, მან ნათლად მიანიშნა, რომ სირიაში რუსეთის მიღწევები მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ურთიერთობები ერდოღანთან... როგორც ჩანს, პუტინმა გათვალა, რომ თურქებზე დარტყმა არ გამოიწვევს ნატოს გამოსვლას თურქეთის მხარეს, იმიტომ, რომ ერდოღანის პოლიტიკა სირიაში დასავლეთის მიერ პრობლემურად აღიქმება“.

ჰერბსტი ასევე დარწმუნებულია: „იდლიბში თურქეთის ჯარის მიმართ დარტყმები ხაზს უსვამს თურქეთის იზოლაციას ერდოღანის მერკანტილური პოლიტიკის შედეგად. მან უნდა შეიგნოს, რომ მოსკოვი სირიაში მის წინააღმდეგ წავა, თუკი თურქული ჯარები შეეწინააღმდეგებიან ასადის წინსვლას. მან ასევე უნდა გაიგოს, რომ ნატო მხარს არ დაუჭერს, თუკი მისი თაღლითური პოლიტიკა კონფრონტაციას გამოიწვევს. ერდოღანს ასევე უნდა სცოდნოდა, რომ სარაკეტო სისტემა ?-400-ის შესყიდვა ვაშინგტონს ამ კრიზისში თურქეთის მხარდაჭერის საშუალებას მოუსპობდა“.

საქმე ის არის, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თურქეთსა და დასავლეთს შორის ძალიან მოხერხებულად შექმნა პრობლემები. იმას, რასაც ახლა სტოლტენბერგი შეეცადა, პუტინი დიდი ხნის განმავლობაში აკეთებდა და საკმაოდ კონსტრუქციულადაც. საბედნიეროდ, ერდოღანი არ წამოეგო სტოლტენბერგის უნიათო პროვოკაციას და არ დაუპირისპირდა რუსეთს. მან მხოლოდ სირიის ქმედებები დაგმო, ის ვერაფერს ვერ უბედავს რუსეთს.

ფაქტია, ნატო ძალიან დასუსტებულია, მას აღარ აქვს უნარი, ჩაერიოს ასეთ კონფლიქტებში, თუკი რუსეთი თვითონ არ აუნთებს მწვანე შუქს. შესაბამისად, სირიის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობაზე დასავლეთში ვეღარ ლაპარაკობენ.

**— კრემლში, ერდოღანისა და პუტინის შეხვედრისას საზოგადოებისა და პოლიტოლოგების გარკვეული ნაწილის ყურადღება მიიპყრო სკულპტურამ... რა სკულპტურა იდგა ბუხრის თავზე, რაზე მიანიშნა ამით რუსეთის პრეზიდენტმა და ჩვენც ხომ გვეხება ამ სკულპტურის შინაარსი?**

— ეს იყო დეტალი, რომელიც საქართველოს ბედკრულ წარსულს მოგვაგონებს; **წარსულს, როდესაც საქართველოს არ ეკუთვნოდა აჭარა ბათუმითურთ. რა შუაშია პუტინი და ერდოღანი? — მოგახსენებთ: კრემლში პუტინმა ერდოღანი მიიღო დარბაზში, სადაც ბუხარზე დევს ძვირფასი საათი, რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ხუროთმოძღვრის, ევგენი ლანსერეს, მინიატურული სკულპტურით მორთული. ლანსერეს ნამუშევარი ასახავს რუსეთის იმპერიის არმიის გმირულ ბრძოლას ოსმალებთან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 1877 წელს, კერძოდ, ბულგარეთში. სკუპლტურას ასე ჰქვია: „გადასვლა ბალკანეთზე“.**

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთმა იხსნა ქრისტიანული ბალკანეთი, თურქეთმა აღიარა რუმინეთისა და სერბეთის დამოუკიდებლობა, შეიქმნა ბულგარეთის ავტონომია, რომელიც მალე დამოუკიდებელი გახდა, ქრისტიანები უფლებებით გაუთანაბრდნენ მუსლიმანებს ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციაში.

ამ ომის შედეგად (ბერლინის 1878 წლის კონგრესზე დამტკიცებული) საქართველოს დაუბრუნდა აჭარა ბათუმითურთ და ისტორიული ტაო-კლარჯეთი.

აქვე ალვნიშნავ, რომ სკულპტურის, რომლის წინაც პუტინმა ერდოღანი დასვა, ავტორი 1920-იანი და 1930-იანი წლების პირველ ნახევარში ტფილისში ცხოვრობდა და საქართველოს სსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც მიიღო (1933 წელს).

პუტინის პროტოკოლმა ბრწყინვალედ იმუშავა. სიმბოლურად, გარკვეული დოზით ამ ნამუშევარში საქართველოს ისტორიაც აისახა. უნდა გვახსოვდეს ეს ისტორია და მხოლოდ სააკაშვილის ავაზაკური პერიოდით არ უნდა გავზომოთ, პერიოდით, როდესაც ყველაფერი გაკეთდა ქართველების რუსების წინააღმდეგ განსაწყობად. ამას ვერ ელირსებიან.

ვლადიმერ პუტინმა სკულპტურით, რომლის სახელწოდებაა „გადასვლა ბალკანეთში“, ყველას დაანახვა, რომ ის არის იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც მუდმივად გამარჯვებულია, მით უმეტეს, თურქეთთან. სკულპტურა და მისი შინაარსი გვეხება ჩვენც, ეს იყო ქართველების გასაგონადაც.

**— 6 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდა. ოფიციალურ ინფორმაციაში ითქვა, რომ ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა ალიევს მადლობა გადაუხადა. რისთვის გადაუხადა მადლობა ღარიბაშვილმა ალიევს?**

— ეს მართლაც სამარცხვინო ფაქტი იყო. ღარიბაშვილს, ნაცვლად იმისა, რომ განვითარებულიყო, დაბრძენებულიყო, პირიქით დაემართა. ღარიბაშვილმა აზერბაიჯანში დიპლომატიური კრახი განიცადა. მას შეეძლო, ენისთვის კბილი დაეჭირა. არავინ თქვას, რომ ალიევისთვის მადლობის გადახდა ღარიბაშვილს ამერიკამ დაავალა. **აზერბაიჯანს არასოდეს უთქვამს საქართველოსთვის მადლობა იმის გამო, რომ მთიან ყარაბაღს სომხეთის ნაწილად არ ვაღიარებთ. აქ სამადლობელი არაფერია, ბუნებრივია, რომ მეზობელი ქვეყნები ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ. მადლობის გადახდა ჩვენი მხრიდან იყო ნონსენსი, სამარცხვინო** — დავითგარეჯა საერთოდ არ იყო ნახსენები ამ შეხვედრაზე. მართალია, მშვიდობიანი, მაგრამ ტერიტორიული დავა გვაქვს ამ ქვეყანასთან, პრინციპში, არც ისე მშვიდობიანი, რადგან აზერბაიჯანელები სამხედრო ძალით არიან მოსულნი. რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ **სასტუმროში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც ბრიტანელებმა თქვეს, საქართველოს ტერიტორია წითელ ხიდთან დანაღმულია აზერბაიჯანის მიერ, როდესაც ტერიტორიაზე საერთაშორისო კომისია შეეცადა ტერიტორიის განაღმვას, იქითა მხრიდან ტანკებით მივიდნენ და გამოაძევეს. არადა, საქართველოს ტერიტორიაა.** ეს ინფორმაცია არსად დაწერილა, არავის უთქვამს. ასე რომ, თავდაცვის მინისტრმა თავის საქმე აკეთოს, მადლობების გადახდას კი თავი დაანებოს. საერთოდ, ვინ დაგეგმა ეს ვიზიტი, ვინ მოიგონა, რაში გვჭირდებოდა?! ერთობლივად ვგეგმავთ რამეს? საქმეს თუ არ გააკეთებენ, რა საჭიროა ტყუილი ვიზიტები?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ბევრს შეიძლება ჰგონია, რომ ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება ნიშნავს მაღალი დონის შეიარაღებას, კარგად მომზადებულ ჯარს ან კარგ საზღვაო, საჰაერო ძალებს და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში ეს სხვაგვარადაა. ნატოს სტანდარტები ჩვენთვის, პირველ რიგში, განისაზღვრება იმით, რომ, რაც შეიძლება, დიდი კონტინგენტით ვმონაწილეობდეთ საერთაშორისო მისიებში, ეს კი დაკავშირებულია კოლოსალურ ხარჯებთან, რომლებიც უმძიმეს ტვირთად აწევს ჩვენს თავდაცვის ბიუჯეტს. წარმოიდგინეთ, 200 მილიონ ლარამდე ჯდება წელიწადში ეს მისიები“.

თავდაცვის სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გურამ ნიკოლაიშვილი:

# 25 წელია, გვესმის, რომ ვაკმაყოფილებთ ნატოს სტანდარტებს, ამ დროს არ გვყავს ავიაცია, არ გვყავს საზღვაო ძალები, არ გვაქვს საჰაერო თავდაცვა

**6 მარტს ამერიკის ელჩმა საქართველოში — კელი დეგნანმა რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირების თვალსაზრისით.**
**მისი თქმით, საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, მანამდე კი ურთულესი სამუშაოა შესასრულებელი: „ჩვენი გადაწყვეტილება ნატოში საქართველოს გაწევრებაზე არის უცვლელი. ერთგული ვართ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების — საქართველო გახდება ნატოს წევრი და ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს რთული სამუშაო, რომელიც მას ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობამდე მიიყვანს. ეს სტანდარტები არის ძალიან მაღალი და ზუსტად განსაზღვრული...“**

დეგნანის განმარტებით, ბოლო წლებში ქვეყანამ განსაკუთრებულ პროგრესს სამხედრო სფეროში მიაღწია, თუმცა ამასთანავე არის პოლიტიკური ნაწილიც, რომელშიც ასევე მაღალი მოთხოვნები და მოლოდინებია.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას და ევროსაბჭოს მინისტერიალის ვერჩატარებას თბილისში, ელჩს ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა მიეცა ხელისუფლებას ქვეყანაში შემოსვლის უფლება პირისთვის, რომელმაც არაერთხელ დაარღვია ამ ქვეყნის კანონები...

ცნობისთვის: საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივასა და ინტეგრირების პროცესზე საუბრისას ამერიკის წინა ელჩებიც ამბობდნენ, რომ ქვეყანა ახლო მომავალში აუცილებლად გახდებოდა ალიანსის წევრი.

**რას ნიშნავს ამჯერად ელჩის განცხადება სამხედრო-პოლიტიკური სტანდარტების დაკმაყოფილებაზე და რეალურად რა პერსპექტივა აქვს ქვეყანას ნატოსთან თუნდაც მიახლოების თვალსაზრისით? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ამერიკის ელჩმა საქართველოში — კელი დეგნანმა განაცხადა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, ოღონდ მანამდე ურთულესი სამუშაოა შესასრულებელი ალიანსის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. რას ფიქრობთ ამ განცხადებაზე, რეალურია ეს ყველაფერი და რა სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს საქართველომ?**

— საქართველო, უკვე 25 წელია, ამ სტანდარტებს აკმაყოფილებს და ამას ზოგიერთ იმ ქვეყანაზე უკეთესად ასრულებს, რომლებიც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში გახდნენ ალიანსის წევრები. ვგულისხმობ იმას, რომ **უკვე წლებია, ჩვენ ყველა საერთაშორისო მისიაში ვართ წარმოდგენილი; და რაც მთავარია, ამ მისიებში ვერთვებით ისე, რომ ჩვენი სტრატეგიული ინტერესები, ჩვენი ეროვნული უსაფრთხოება გადაწეულია უკანა პლანზე.**

რაც შეეხება ელჩის განცხადებას, კომიზმი ამ რიტორიკისა არის ის, რომ, მიუხედავად გაღებული მსხვერპლისა და რისკისა, რომელზეც საქართველო საკუთარი ეროვნული ინტერესების ხარჯზე მიდის ნატოს მისიებში მონაწილეობით, ჩვენ მიმართ დამოკიდებულება არის უცვლელი — საქართველო გახდება ნატოს წევრი, ნატოს კარი ღიაა, საქართველო აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს... აი, ეს გვესმის 25 წელი და პროცესი ამის იქით ვერ მიდის. თუმცა აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ხაზგასასმელი — მსგავს განცხადებებს აკეთებენ ხოლმე ელჩები ან ცალკეული დასავლელი დიპლომატები. სხვა უფრო მაღალ დონეზე, ვთქვათ, პრეზიდენტების, პრემიერმინისტრების მხრიდან, გვესმის სხვა რიტორიკა. მაგალითად, **მერკელი** საჯაროდ აცხადებს, რომ ალიანსი ამ ეტაპზე ვერ გაფართოვდება, **ტრამპი** და **მაკრონი** კიდევ უფრო კატეგორიულები არიან.

**— თქვენი აზრით, ეს რაზე მეტყველებს?**

— როგორც ჩანს, არსებობს რაღაც დონე საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელზეც ყველა მხარე მკაფიოდ ლაპარაკობს და შეუძლებელია სიტყვების თამაშით რაღაც ცრუ წარმოდგენების შექმნა; და არსებობს უფრო დაბალი პოლიტიკური დონე, რომელზეც ცრუ წარმოდგენების შექმნა შეიძლება.

რაც შეეხება სტანდარტებს, **ბევრს შეიძლება ჰგონია, რომ ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება ნიშნავს მაღალი დონის შეიარაღებას, კარგად მომზადებულ ჯარს ან კარგ საზღვაო, საჰაერო ძალებს და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში ეს სხვაგვარადაა. ნატოს სტანდარტები ჩვენთვის, პირველ რიგში, განისაზღვრება იმით, რომ, რაც შეიძლება, დიდი კონტინგენტით ვმონაწილეობდეთ საერთაშორისო მისიებში, ეს კი დაკავშირებულია კოლოსალურ ხარჯებთან, რომლებიც უმძიმეს ტვირთად აწევს ჩვენს თავდაცვის ბიუჯეტს. წარმოიდგინეთ, 200 მილიონ ლარამდე ჯდება წელიწადში ეს მისიები;** და იცით, მთლიანობაში რამდენი დაიხარჯა?

**— რამდენი?**

— ერაყიდან დაწყებული დღემდე ოთხ მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ჩვენნისთანა სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის კოლოსალური რიცხვია. აი, ამას ეძახიან ესენი ნატოს სტანდარტებს და არა იმას, რომ რეალურად შეიარაღებული ძალები ორიენტირებულნი იყვნენ ქვეყნის უმთავრესი პრობლემის — ტერიტორიული პრობლემის მოგვარებაზე...

**— გამოდის, რომ ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება ჩვენი შეიარაღებული ძალების დასუსტებას ნიშნავს?**

— მე ასე ვიტყოდი: ჩვენ უკვე 25 წელია, 1994 წლიდან, ვაკმაყოფილებთ ნატოს სტანდარტებს და ამის გამო მუდმივად ვისმენთ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებისგან თუ დიპლომატებისგან კომპლიმენტებს. ამ დროს არ გვყავს ავიაცია, არ გვყავს საზღვაო ძალები, არ გვაქვს საჰაერო თავდაცვა და ა.შ. დანარჩენი თავად განსაჯეთ. ჩემი აზრით, ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, პირველ რიგში, მისი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისთვის მზადყოფნით განისაზღვრება. გამომდინარე აქედან, თუ ეს პრინციპი არ არის დაცული, იქ რამე სტანდარტებზე საუბარი ზედმეტია.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ არის ნატო ასეთი მიმზიდველი ჩვენნისთანა პატარა ქვეყნებისთვის, თუ ეს ალიანსი მათ ეროვნულ ინტერესებს არ ან ვერ ითვალისწინებს?**

**— ვფიქრობ, პირველ რიგში, საკითხი ასე უნდა დავსვათ: რისთვის არის დღეს ნატო? რისთვის ხარჯავს ამხელა თანხებს სხვადასხვა მისიაში და რატომ ცდილობს რუსეთის საზღვრებთან მიახლოებას?**

**— რისთვის?**

— იმისთვის ხომ არა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ალიანსის უმთავრესმა სახელმწიფომ, შეინარჩუნოს და გააძლიეროს საკუთარი გავლენა ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებზე? ან მეორე — **იმისთვის ხომ არა, რომ რუსეთმა ვერ გაიმყაროს და განიმტკიცოს თავისი პოზიციები ევროპაში, ვთქვათ, გერმანიაში, რომლის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან კრემლს ისედაც აქვს გარკვეული ახლო კავშირები... ჩემი აზრით, ეს არის დღეს ვაშინგტონის უმთავრესი მიზანი და არა ის, რომ ალიანსის წევრი რომელიმე პატარა სახელმწიფო, მაგალითად, ლიეტუვა ან ლატვია და ესტონეთი, საიმედოდ იყვნენ დაცულები? მათი თავდაცვისუნარიანობა რომ ვინმეს აინტერესებდეს, თვით ამ ქვეყნებს ექნებოდათ თავის დასაცავად თავიანთი იარაღიც და ჯარიც, მაგრამ რეალურად მათ არაფერი აქვთ.** სხვათა შორის, ნატოს არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ისიც არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდეს იარაღის წარმოების სრული მონოპოლია. არც შეეკითხებიან ალიანსის წევრ ქვეყნებს, უნდათ თუ არა ამერიკული წარმოების იარაღის შესყიდვა, ისე მიჰყიდიან. ეს იყო თურქეთთან დაძაბულობის მიზეზიც თავის დროზე, როცა ანკარამ უარი თქვა ამერიკული „პეტრიოტების“ შეძენაზე და ნაცვლად რუსული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი „ს-400“-ები შეისყიდა.

**— საქართველოს მიმართაც იყო ოდესმე მსგავსი დაძალება?**

— ჩვენ მიმართ, უბრალოდ, მოთხოვნა იყო, რომ მთლიანი შიგა პროდუქტის 2% უნდა ყოფილიყო სამხედრო ბიუჯეტი. საუბარია დაახლოებით 800 მილიონ ლარზე და ეს შესრულდა. დანარჩენი, საქართველო არ არის იმხელა ეკონომიკური მასშტაბის ქვეყანა, რომ სერიოზულ ბაზარს წარმოადგენდეს ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის, თუმცა მაინც გაგვაუქმებინეს ავიაცია; იმიტომ, რომ, თურმე, ძვირი შესანახია და ნაცვლად შეგვაძენინეს „ჯაველინები“ და „სტინგერები“. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს აძლიერებს ჩვენს თავდაცვისუნარიანობას?

რაც შეეხება ისევ სტანდარტებს, მგონი, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ ერთი რამ: არ არსებობს ნატოს ან სხვა რამის სტანდარტი, **ერთადერთი სტანდარტი — ეს არის შენი ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც ან იცავ, ან ვერ იცავ. თუ ვერ იცავ და ვერ უზრუნველყოფ, მაშინ რაშია წარმატება? ის, რომ სადღაც მისიაში 1200 ჯარისკაცი გყავს და ზუსტად ასრულებ ამერიკის სტრატეგიულ ამოცანებს, ჩვენი წარმატება ნამდვილად არ არის. ყოველ შემთხვევაში, ის, რომ საქართველოს საზღვაო და საჰაერო ძალები არ ჰყავს და ქვეყანა, ფაქტობრივად, დაუცველია, ამით ნამდვილად ვერ გვარდება პრობლემა...**

**— დავუბრუნდეთ ამერიკის ელჩის ინტერვიუს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატო საქართველოს მოსახლეობის არჩევანია. თქვენი აზრით, არის ეს ჩვენი არჩევანი?**

— კიდევ ვიმეორებ: ელჩი, ვინც არ უნდა იყოს ის, ჩვეულებრივად გააგრძელებს ძველ რიტორიკას და ამაში გასაკვირიც არაფერია. **იმას, რასაც 25 წლის განმავლობაში გაიძახოდნენ, ასე ერთბაშად ვერ უარყოფენ...**

არჩევანს რაც შეეხება, **ყველა ბოლოდროინდელი გამოკითხვა, ყველა კვლევა და სტატისტიკა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დღეს მიუმხრობლობის პოლიტიკას ირჩევს. „ენ-დი-აი“-სა და „აი-არ-აი“-ს კვლევებიც ამას ცხადყოფს. ასე რომ, ქართველი ხალხის არჩევანი ნატო არ არის.** საუბარი ამაზე პოლიტიკური ბლეფია, რომელიც არაფერს იძლევა. არაფერს იძლევა ხელისუფლებისთვისაც, მაგრამ მისთვის, როგორც ჩანს, ეს რიტორიკა ერთგვარი ბედისწერაა. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ეტყობათ, რომ ამ უსასრულო ტყუილებსა და ილუზიებში ყოფნა დისკომფორტს უქმნით. პირიქით, გამოვა ელჩი, იტყვის, მიგილებთო, არის აჟიოტაჟი. მერე გახარებული და მხიარული სახეებით იმეორებენ, რომ თურმე ეს „წარმატება მათი ეფექტიანი მუშაობის შედეგია...“ აი, ამ ტყუილებსა და ილუზიებში ვართ დღემდე...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ერთადერთი სტანდარტი — ეს არის შენი ეროვნული უსაფრთხოება, რომელსაც ან იცავ, ან ვერა. თუ ვერ იცავ და ვერ უზრუნველყოფ, მაშინ რაშია წარმატება? ის, რომ სადღაც მისიაში 1200 ჯარისკაცი გყავს და ზუსტად ასრულებ ამერიკის სტრატეგიულ ამოცანებს, ჩვენი წარმატება ნამდვილად არ არის**

**«ყველა ბოლოდროინდელი გამოკითხვა, ყველა კვლევა და სტატისტიკა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დღეს მიუმხრობლობის პოლიტიკას ირჩევს. «ენ-დი-აი»-სა და «აი-არ-აი»-ს კვლევებიც ამას ცხადყოფს. ასე რომ, ქართველი ხალხის არჩევანი ნატო არ არის»**

განათლების სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შემირცხვენია ნებისმიერი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, რომელიც ლომჯარიას შეშფოთების გამო ბოდიშს მოიხდის და ჭეშმარიტ, პროფესიონალურ დონეზე შედგენილ სასწავლო პროგრამას შეცვლის. არაფერს ვამბობ დამცირებულ პროფესურაზე, რომელსაც დასავლელი ბოსების მიერ ხელდასხმული ნომრიანი აგენტები კარნახობენ, რა ასწავლონ“.**



ვაჟა ოთარაშვილი:

# არ შეიძლება, ხელისუფლებაში იყვნენ ორიენტაციადაკარგული და გაუკუღმართებული ადამიანები

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მედიით გავრცელებულ სპეციალურ ანგარიშში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი „სექსუალური უმცირესობების“ მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომაში დაადანაშაულა და სასწავლებლის ადმინისტრაციას მდგომარეობის „გამოსასწორებლად“ რამდენიმე მკაცრი „რეკომენდაცია“ მისცა. შეშფოთება, რომლის მიღმაც „რეკომენდაციების“ გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სამართლებრივი დავის დაწყების მუქარაც იკითხებოდა, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში შესულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს უკავშირდებოდა. უფრო ზუსტად, შეშფოთების მიზეზი და საფუძველი არის ის, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია განმარტებულია, როგორც სქესობრივი თვითშეგნების დარღვევა. შეშფოთება წიგნის იმ ნაწილმაც გამოიწვია, რომელშიც აბორტი განმარტებულია, როგორც ბოროტება და დანაშაული.**

**ცნობისთვის:** აღნიშნული ანგარიში სახალხო დამცველის აპარატმა უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ განცხადების საფუძველზე მოამზადა.

რაც შეეხება სამედიცინო უნივერსიტეტის პოზიციას, ანგარიშის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში სასწავლებლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ „ხარვეზი“ მალე აღმოიფხვრება და უახლოეს მომავალში „დისკრიმინაციული შინაარსის შემცველ სახელმძღვანელოს“ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლიტერატურა შეცვლის.

**რას ნიშნავს „ლიბერალური“ ელიტის მხრიდან მსგავსი ჩარევა უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროცესში, რაზეა ეს ყველაფერი გათვლილი და რა შედეგებს მივიღებთ უახლოეს მომავალში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ამას წინათ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მწვავედ იქნა შეფასებული ის, რომ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თურმე სტუდენტებს ე.წ. სექსუალური უმცირესობებისადმი „დისკრიმინაციული შინაარსის“ შემცველი სახელმძღვანელოთი ასწავლიან. საუბარია იმაზე, რომ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მამათმავლობა განმარტებულია სექსუალური თვითშეგნების დარღვევად, ხოლო აბორტი — ბოროტებად. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? რა პროცესი მიმდინარეობს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში?**

— უნდა დავიწყოთ იმით, რომ თავის დროზე „ნაც-ქოცურმა“ პარლამენტმა **უსუფაშვილის** ქაქანით მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური დიქტატის აქტიურ ფაზას ქვეყანაში. ეს იყო დასაწყისი პროცესისა, რომელიც გულისხმობს განათლების სისტემის გამოყენებას ერთ-ერთ იდეოლოგიურ ინსტრუმენტად. რაც შეეხება სახალხო დამცველის შეშფოთებას ამის გამო, **სამარცხვინოა, როდესაც შუშანიკ დედოფლის, თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის საქართველოს ლომჯარიასნაირი არაქალი ჰყავს სახალხო დამცველად. ეს ქალბატონი არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი, რომელიც, განსხვავებით მისი წინამორბედებისგან, არ ერიდება არც პატრიარქის შეურაცხყოფას, დაცინვას, ქილიკს, არ ერიდება სრულიად საქართველოს შეურაცხყოფას და ანგარიშებს ანგარიშებზე აქვეყნებს იმაზე, რომ თურმე საქართველოში „ჰომოფობია მძვინვარებს“.** ჯერ ერთი, რას ნიშნავს ეს ჰომოფობია, რატომ ვარ ვალდებული, დადებითად ვიყო განწყობილი ვიღაც ავადმყოფი ადამიანებისადმი? და მეორე — იმაზე მეტი ფობია და სიძულვილი რა გინდა, როცა, ფაქტობრივად, არჩევანს აღარ მიტოვებ და მეუბნები: გინდა, არ გინდა, უნდა მიიღო სოდომია ნორმადო. **დიახ, სოდომია — ეს არის არა მხოლოდ სექსუალური თვითშეგნების დარღვევა, არა მხოლოდ ავადმყოფობა და ამოვარდნა ყველანაირი ნორმიდან, არამედ უმძიმესი ცოდვა. დიახ, აბორტი არის მკვლელობა და ბოროტება, რომელიც უნდა ისჯებოდეს კანონით.** ჩვენ ორ მილიონნახევრამდე შემცირებული ერი ვართ, რომელსაც აგერ გაეროც გვეუბნება, რომ, სულ რაღაც, 20-30 წელიწადში აღარ ვიქნებით. ნახეთ, რა ხდება ჩვენს სამეზობლოში — სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა მუდმივად მატულობს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენთან გეომეტრიული პროგრესიით მატულობს ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა...

**— დავუბრუნდეთ ისევ სახალხო დამცველის ანგარიშს. ლომჯარიას შეშფოთებიდან მალევე სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განცხადება გაავრცელა და, ფაქტობრივად, ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ სტუდენტებს „დისკრიმინაციული შინაარსის“ შემცველი სახელმძღვანელოთი ასწავლიან. პირობა დადეს, რომ უახლოეს მომავალში ამ სახელმძღვანელოს ადამიანი უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლიტერატურით შეცვლიან. როგორ ფიქრობთ, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი ლიტერატურა?**

— ჯერ ერთი, ვინ არის ლომჯარია, ჭკუას რომ გვასწავლის და გვმოძღვრავს ანტიქრისტიანული ლექციებით?! მეორე — „გასაგებია“, რომ მათი მოთხოვნით, ასეთი ლიტერატურა უნდა აკმაყოფილებდეს ლომჯარიას დასავლელი ბოსების მიერ შემუშავებულ ე.წ. გენდერის თეორიის „სტანდარტებს“. ეს ნიშნავს იმას, რომ **სტუდენტებს უნდა ასწავლონ, რომ თურმე ბუნებაში ორი სქესი კი არ არსებობს — მამრობითი და მდედრობითი, არამედ 40-ზე მეტი; ადამიანი რომ იბადება, მას ჯერ სქესი არ აქვს და მერე თვითონ გადაწყვეტს, ქალია თუ მამაკაცი... აი, ეს იქნება აკადემიური ლიტერატურის სახით მიწოდებული და მთელი თაობები გაიზრდება ამ „ცოდნით“. ახლა წარმოიდგინეთ, რა დონის ექიმები და სამედიცინო პერსონალი შეიძლება ჰყავდეს უახლოეს მომავალში ქვეყანას, როცა ლომჯარიასნაირი ნომრიანი აგენტები წყვეტენ, რა სახელმძღვანელოებით უნდა ისწავლებოდეს სამედიცინო უნივერსიტეტში.** ლომჯარია თავისი დამსმენი თანამშრომლებით, რომლებიც სხედან კაბინეტებში და პატაკს პატაკზე სწერენ დასავლელ ბოსებს, არიან მავნებლები. **ლომჯარია არის დაბოღმილი, გაბოროტებული, ყველაფერ ქართულზე აცრილი და აღრენილი ქალი, რომელიც არაფრით განსხვავდება XX საუკუნის 20-30-იან წლებში არსებული ხატმებრძოლებისგან.** რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებში დისკრიმინაციას, ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი დისკრიმინაციაა, როცა სტუდენტებს ისეთ აუცილებელ საგნებს, როგორიცაა ქიმია, ბიოლოგია, პრაქტიკულად არ ასწავლიან; თუ ასწავლიან — ზედაპირულად. ისე, საინტერესოა: თუ იცის ქალბატონმა ლომჯარიამ, რამდენ სტუდენტს აქვს დღეს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული, მათ შორის სამედიცინო უნივერსიტეტშიც, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო?

**— რამდენს აქვს?**

— ასობით სტუდენტს, მეტს თუ არა. და მათი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გარბის შავ მუშად. აი, ეს არის დისკრიმინაცია, რომ იცოდეთ (ლომჯარიას მივმართავ) და არა ის, რომ რომელიღაც სახელმძღვანელოში პედარასტია განმარტებულია, როგორც სექსუალური თვითშეგნების დარღვევა. დიახ, ეს არის დარღვევა, ეს არის უმძიმესი ცოდვა და, თუ ჩვენ ამას არ ვეტყვით მომავალ თაობას, მაშინ 20-30 წელიწადში საქართველო გახდება მეორე სოდომი და გომორა. ისე, **შემირცხვენია ნებისმიერი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, რომელიც ლომჯარიას შეშფოთების გამო ბოდიშს მოიხდის და ჭეშმარიტ, პროფესიონალურ დონეზე შედგენილ სასწავლო პროგრამას შეცვლის. არაფერს ვამბობ დამცირებულ პროფესურაზე, რომელსაც დასავლელი ბოსების მიერ ხელდასხმული ნომრიანი აგენტები კარნახობენ, რა ასწავლონ.** საერთოდ, ეს უბედურება ჩვენივე გულგრილობის, ჩვენივე სისუსტისა და ყველაფრისადმი ზედაპირული დამოკიდებულების შედეგია...

**— რას გულისხმობთ?**

— როდესაც ასეთ უბედურებასთან გაქვს საქმე და ხედავ, ფაქტობრივად, მომავალს გართმევენ, როგორ შეიძლება, ჩუმად იყო?! როგორ შეიძლება, შეეგუო იმ აზრს, რომ შვილს, რომელსაც რაღაც განათლება გინდა მისცე და სიმწრით ნაშოვნი ფულით სასწავლებლად გაუშვებ, სოროსის სოროში გამოზრდილი ნომრიანი აგენტები გარყვნილების ტირაჟირებით მოგიწამლავენ და გაგითახსირებენ?!

**— გინდათ, თქვათ, რომ საზოგადოება უფრო აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს ამ ყველაფერს?**

— ცხადია, მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რა უბედურება ელოდება ქვეყანას უახლოეს მომავალში. საერთოდ, ისტორიულადაც ასე იყო ყოველთვის — როდესაც მოდიოდა მტერი და იყო შეტევები ეროვნულ თვითშეგნებაზე, ხალხს ამის აღქმა უჭირდა, მაგრამ გადიოდა გარკვეული პერიოდი და აუცილებლად ხდებოდა ისეთი რაღაც, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე დიდი ეროვნული აფეთქება. მაგალითად გაიხსენეთ ბახტრიონის აჯანყება. მგონია, რომ ქვეყანაში დღეს არსებული სოციალური, ზნეობრივი და ეროვნული პრობლემების გამო ხვალ ან ზეგ აქ აუცილებლად მოხდება საზოგადოებრივი ძალების აზვირთება... ისევე, როგორც დასავლეთში დალპა ნეოლიბერალური დიქტატურა და კონსერვატიულმა ძალებმა იწყეს გაძლიერება, ადრე თუ გვიან, აქაც დაიწყება სერიოზული ცვლილებები...

**— თუ ეს არ მოხდება, რა გველოდება?**

— თუ არ მოხდება ძირფესვიანი ცვლილებები და ქვეყნიდან არ გავყრით უცხო ქვეყნის აგენტურას, საქართველო დარჩება მხოლოდ ისტორიაში. სადღაც, რომელიღაც ისტორიულ წყაროებში ეწერება, რომ ოდესღაც ამ გეოგრაფიულ რეგიონში არსებობდა ასეთი ქვეყანა, რეალურად კი აღარ ვიქნებით. რაც შეეხება გამოსავალს, თეორიულად ძალიან მარტივია ყველაფერი. **კარს არის მომდგარი საპარლამენტო არჩევნები, ყველა უნდა ადგეს, მივიდეს საარჩევნო ყუთთან და ხმა მისცეს რეალურ პატრიოტულ ძალას. თუ გაყალბება იქნება და, ალბათ, იქნება, იმიტომ, რომ „ნაც-ქოცური“ პოლიტიკური ტირანია ასე ადვილად არ დათმობს ძალაუფლებას, მაშინ საზოგადოებას მართლა ექნება მასობრივი დაუმორჩილებლობის საფუძველი. ყოველ შემთხვევაში ეს არის ხალხის კონსტიტუციური უფლება და, დარწმუნებული ვარ, მას წინ ვერაფერი აღუდგება...** აი, ასე წარმომიდგენია რეალური ცვლილება და გარდაქმნები დღევანდელ ვითარებაში, თორემ მოჯადოებულ წრეზე სიარულით ორ მილიონ-ნახევარიც აღარ ვართ უკვე. ისე, სიმართლე გითხრათ, ლომჯარია იქნება დღეს ამ პროცესის ავანგარდში თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს. არ იქნება ლომჯარია — მის ნაცვლად უარესს დანიშნავენ; სოროსის სოროში გამოზრდილ და გამობრძმედილ „ლიბერალ“ ვირთხებს ამ პოლიტიკურ სისტემაში რა გამოლევს?!

ბოლოს დასკვნის სახით მინდა, მოკლედ ვთქვა: **არ შეიძლება, ხელისუფლებაში იყვნენ სექსუალურ ორიენტაციადაკარგული და გაუკუღმართებული ადამიანები. მით უფრო არ შეიძლება მათი ყოფნა ხელმძღვანელ თანამდებობებზე...**

რაც შეეხება ისევ სახალხო დამცველს, ჩემი აზრით, მომავალში სახალხო დამცველი აუცილებლად უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, მორწმუნე და ტრადიციული ფასეულობების დამცველი ადამიანი.



ნინო ლომჯარია

**«სამარცხვინოა, როდესაც შუშანიკ დედოფლის, თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის საქართველოს ლომჯარიასნაირი არაქალი ჰყავს სახალხო დამცველად. ეს ქალბატონი არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი, რომელიც, განსხვავებით მისი წინამორბედებისგან, არ ერიდება არც პატრიარქის შეურაცხყოფას, დაცინვას, ქილიკს, არ ერიდება სრულიად საქართველოს შეურაცხყოფას და ანგარიშებს ანგარიშებზე აქვეყნებს იმაზე, რომ თურმე საქართველოში «ჰომოფობია მძვინვარებს»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფომ რამდენიმე ათეული მილიონი დახარჯა; დახარჯა იმისთვის, რომ საქართველოს ფოსტა გამხდარიყო მომგებიანი ბიზნესი და არ ყოფილიყო დოტაციაზე. როგორც ჩანს, ეს მოხერხდა, ფოსტა მოგებაზე მუშაობს და... ხელისუფლება ყიდის. მყიდველს არ სჭირდება არანაირი ინვესტიცია. ის, უბრალოდ, გადაიბარებს აწყობილ ბიზნესს და მშვიდად მიიღებს შემოსავალს. მერე რა, რომ ამ ბიზნესის აწყობაში სახელმწიფომ თქვენი და ჩემი ფული დახარჯა?! მერე რა, რომ წლების განმავლობაში ათრევდა და ახარჯავდა ჩვენს მილიონებს?! აგერ, წელში გამართა და ნაცვლად იმისა, რომ გამართული კომპანია სათავისოდ და საჩვენოდ დაიტოვოს და მოგებაზე ამუშაოს, დახარჯული ფული ამოიღოს და ბიუჯეტში დამატებითი თანხა შეიტანოს, საქართველოს ფოსტა იყიდება.**

# ვინმეს თუ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა საქართველოდან საქონლის მიღებაზე უარი რომ თქვას, რა მოხდება?

**სახელმწიფომ „რიყის დოქები“ აუქციონზე გაიტანა და ფასი 95 მილიონი ლარი დაადო. მათი ვარაუდით, გაცხოველებული ვაჭრობა უნდა გამართულიყო და სახელმწიფოს მოგება უნდა ენახა. გასაყიდ პირობებში ისიც ეწერა, რომ მყიდველს უნდა განეხორციელებინა დამატებით 10 მილიონის ინვესტიცია და უახლოესი სამი წლის განმავლობაში იქ უნდა ყოფილიყო საგამოფენო და საზოგადოების თავშეყრის ადგილისთვის მოწყობილი სივრცეები და თეატრი. ე.ი., 10-მილიონიანი ინვესტიციის გარდა, მყიდველს დამატებით 3 წელი კიდევ წაგებაზე უნდა ემუშავა. აღარაფერს ვამბობთ „დოქებში“ გადახდილ 95 მილიონზე. რეალურად, სახელმწიფო ეძებდა მყიდველს, რომელიც გადაწყვეტდა, რომ დაკონსერვებულ რიყის დოქებში უახლოესი სამი წლის განმავლობაში დაეკონსერვებინა, სულ ცოტა, 100 მილიონი ლარი. როგორც მოსალოდნელი იყო, მყიდველი არ გამოჩნდა და „რიყის დოქებით“ არავინ დაინტერესდა.**

2018 წელს სახელმწიფომ გასაყიდად საქართველოს ფოსტა გაიტანა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია წაგებაზე მუშაობდა და რამდენიმე ათეული მილიონის ინვესტიციას საჭიროებდა, მისი შეძენის მსურველი არ გამოჩნდა. შემდეგი მცდელობა გასული წლის მაისში იყო, მაგრამ ფოსტა ისევ წაგებაზე მუშაობდა და არც მაშინ არ გაიყიდა. ახლა კი...

„დავალება შესრულებულია. ამ პოსტზე დანიშვნისთანავე მივიღე დავალება — ეს არის კომერციალიზაცია-პრივატიზაცია. დღეს სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მენეჯმენტმა მიაღწია იმას, რომ ეს კომპანია საინვესტიციოდ საინტერესო გახადა“, — თქვა საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა **ლევან ჩიკვაიძემ**, რომელმაც საქართველოს ფოსტა მომგებიან ბიზნესად აქცია და... ამ მომგებიან ბიზნესს სახელმწიფო ყიდის.

სანამ სხვა დეტალებზე გადავალთ, გაგაცნობთ მონაცემებს ბატონი ლევანის ქონებრივი დეკლარაციდან. საქართველოს ფოსტაში შედის „საქართველოს ლატარიის კომპანია“ და „ექსპრესი“. ჰოდა, სამივეს ხელმძღვანელი სწორედ ლევან ჩიკვაიძეა. მან საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისთვის წელიწადში ხელფასის სახით 46 829 ლარი მიიღო, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ხელმძღვანელობისთვის — იმავე წელს 75 250 ლარი, ხოლო „ექსპრესის“ შეფობისთვის — 35 909 ლარი, ე.ი. ერთი კაცი სამ ადგილზე შრომობს და წელიწადში 150 ათას ლარს გამოიმუშავებს.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ფოსტას: **მისი განვითარებისთვის სახელმწიფომ რამდენიმე ათეული მილიონი დახარჯა; დახარჯა იმისთვის, რომ საქართველოს ფოსტა გამხდარიყო მომგებიანი ბიზნესი და არ ყოფილიყო დოტაციაზე. როგორც ჩანს, ეს მოხერხდა, ფოსტა მოგებაზე მუშაობს და... ხელისუფლება ყიდის. მყიდველს არ სჭირდება არანაირი ინვესტიცია** („საინვესტიციოდ საინტერესო“-ს რაღას ეძახის ჩიკვაიძე?). **ის, უბრალოდ, გადაიბარებს აწყობილ ბიზნესს და მშვიდად მიიღებს შემოსავალს. მერე რა, რომ ამ ბიზნესის აწყობაში სახელმწიფომ თქვენი და ჩემი ფული დახარჯა?! მერე რა, რომ წლების განმავლობაში ათრევდა და ახარჯავდა მილიონებს?! აგერ, წელში გამართა და ნაცვლად იმისა, რომ გამართული კომპანია სათავისოდ დაიტოვოს და მოგებაზე ამუშაოს, დახარჯული ფული ამოიღოს და ბიუჯეტში დამატებითი თანხა შეიტანოს, საქართველოს ფოსტა იყიდება.** აი, საიდან უნდა მოიტანონ დახარჯული მილიონები, არავინ იცის.

კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით. ამას წინათ თბოსადგური გაიხსნა. ის 250-მილიონიანი ინვესტიციით ჩინურმა კომპანიამ ააშენა და გახსნა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უცხოურ ინვესტიციას ტაში დაუკრა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასაც მიესალმა. ხელშეკრულების მიხედვით, თბოსადგური ჩინური კომპანიის ხელში 25 წლის განმავლობაში იქნება და ამ წლებში კომპანია, სულ ცოტა, 700 მილიონი დოლარის მოგებას მიიღებს. 25 წლის შემდეგ თბოსადგური სახელმწიფოს გადაეცემა. ჰოდა, იმას არავინ ამბობს, რომ ამ თბოსადგურის ექსპლუატაციის ვადა 25 წელია და სახელმწიფო ამორტიზებულ საწარმოს მიიღებს. საწარმოს, რომლის რემონტსაც, სულ ცოტა, 100 მილიონი დოლარი დასჭირდება და ეს თანხა სახელმწიფოს გადასახდელი იქნება. ისე, ენერგოსექტორი ერთ-ერთი წაუგებელი ბიზნესია და სახელმწიფოს რა გაუჭირდა ისეთი, რომ ასეთი მომგებიანი საწარმო მაინცდამაინც უცხოელებს ააშენებინა? რა, 250 მილიონი ვერ გამონახა ქვეყანამ, რომ მილიარდის მოგება ენახა? მოახერხებდა, ბატონებო, მაგრამ აქ საქმე ჩვენს კოლონიურ დამოკიდებულებაშია და იმაში, რომ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ გვიკრძალავენ ეკონომიკურ განვითარებას და საქართველოს, როგორც ქვეყანას, აკრძალული აქვს მომგებიანი ბიზნესის ქონაწარმოება. ესაა თავი და თავი იმისაც, ფოსტას რომ ყიდიან.

როცა **ბიძინა ივანიშვილი** მოდიოდა ხელისუფლებაში, მაშინ ითქვა, რომ ქვეყანას ააყვავებდა, წლებია, წარმატებული ბიზნესმენია და ბიზნესი თუ ვინმეს გაეგება საქართველოში, უწინარესად, სწორედ ივანიშვილსო. რატომღაც, არ გვგონია, ივანიშვილი თავის ბიზნესსაც ისე მართავდეს, როგორც სახელმწიფო — საკუთარ რესურსს. აბა, **რას ნიშნავს, მომგებიანი საწარმოს გასხვისება? რას ნიშნავს, არაფრისმომცემი „რიყის დოქების“ ას მილიონად შეფასება, რატომ გვიხარია ის, რომ 25 წლის შემდეგ სახელმწიფოს დაუბრუნებენ, უფრო კი მოუგდებენ საწარმოს, რომლის რემონტსაც ასი მილიონი დასჭირდება? არ იცოდა იმ ადამიანმა, რომელიც ჩინელებთან ხელშეკრულებას აფორმებდა, რომ 25 წლის შემდეგ ეს საწარმო კი არ იქნებოდა, არამედ ჯართის გროვა? თუ იცოდა და შეგნებულად გააკეთა, პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ, თუ არ იცოდა, მით უმეტეს უნდა მოეთხოვოს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ყველა ჩვენ გვატყუებს, ყველა ჩვენ გვიგდებს მასხრად.**

არ გეგონოთ, ფულის უაზროდ ხარჯვა მხოლოდ ამ ხელისუფლების ნაკლია. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში რიყეზე დადგმული „ჯოხი“, რომელიც თურმე ტურისტებისთვის იყო გამიზნული დედაქალაქის ხედების დასათვალიერებლად, რამდენიმეჯერ გაფუჭდა. არადა, მისი მონტაჟი 1.2 მილიონი ლარი დაჯდა, დემონტაჟმა კი 700 ათასი ლარი წაიღო. ე.ი., მილიონ ცხრაასი ათასი რალაცაში გადავყარეთ და ამის გამო პასუხისმგებლობა არავის აჩნია, იმასაც იშორებს. **უკვე არასერიოზულიც არის მინერალურ წყლებსა და ღვინოზე საუბარი, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი ეს პროდუქტები მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას — რუსეთს სჭირდება, იმ რუსეთს, რომელთანაც მუდმივად ვცდილობთ ურთიერთობის გაფუჭებას. ევროპულ ბაზარზე ჩვენი მინერალური წყლები ფრანგულმა და შვეიცარიულმა კომპანიებმა არ შეუშვეს, ღვინოები პორტუგალიურმა, ფრანგულმა და ესპანურმა კომპანიებმა განდევნეს და ამიტომაცაა,** არ დაკისრებია.



ახლა ადვილი მისახვედრია, რატომ არ ასრულებს ხელისუფლება დაპირებას და რატომ არ ხსნის საწარმოებს. აზრი არ აქვს თურმე, რადგან, სანამ საწარმო გაიმართება, სანამ წაგებაზე იმუშავებს, მანამდე სახელმწიფო დააფინანსებს, აი, მერე კი გაყიდის და მომგებიანი საწარმოს მფლობელი რომელიმე ბიზნესმენი გახდება. მერე ყველას დაავიწყდება, რომ ეს საწარმო თავის დროზე სახელმწიფომ შექმნა და... რეალურად არ გვაქვს არაფერი, ვერ თუ არ ვაწარმოებთ პრაქტიკულად არაფერს და სახელმწიფო, რაც გა**საქართველოს ექსპორტის ლამის 90 პროცენტი რუსეთზე რომ არის ჩამოკიდებული.** მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელ მეზობელს ყოველდღიურად ვლანძღავთ, ჩვენი პროდუქცია იქ მაინც შეაქვთ. **ვინმეს წამით მაინც თუ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთმა საქართველოდან საქონლის მიღებაზე უარი რომ თქვას, რა მოხდება?** ვერსად ვერაფერს გავყიდით და სახელმწიფოც არ განახორციელებს სუბსიდიას. აკი გვეუბნებიან კიდეც, — სუბსიდიები დაივიწყეთო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მის ხელთ არსებული საწარმოების განვითარებაში სახელმწიფო არაერთმილიონიან ინვესტიციას ახორციელებს. კიდევ ვიმეორებთ: არ არის ეს ცუდი, მაგრამ ცუდი ის არის, უკვე მოგებაზე გასული საწარმო სახელმწიფოს აუქციონზე რომ გააქვს და თავიდან იშორებს.

ისე, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ჩანს უცნაური, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ მომგებიან საწარმოებს რიგითი ადამიანები ვერ იყიდიან და ისევ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები ჩაიგდებენ ხელში. შესაბამისად, სახელმწიფოს ფული წყალში კი არ გადაიყრება, კარის ბიზნესმენების კიდევ უფრო გასაძლიერებლად იქნება გამეტებული და კონკრეტული ადამიანები ამ ყველაფრით ხელსაც მოითბობენ.

**ისე, ენერგოსექტორი ერთ-ერთი წაუგებელი ბიზნესია და სახელმწიფოს რა გაუჭირდა ისეთი, რომ ასეთი მომგებიანი საწარმო მაინცდამაინც უცხოელებს ააშენებინა? რა, 250 მილიონი ვერ გამონახა ქვეყანამ, რომ მილიარდის მოგება ენახა? მოახერხებდა, ბატონებო, მაგრამ აქ საქმე ჩვენს კოლონიურ დამოკიდებულებაშია და იმაში, რომ ჩვენი «სტრატეგიული პარტნიორები» გვიკრძალავენ ეკონომიკურ განვითარებას და საქართველოს, როგორც ქვეყანას, აკრძალული აქვს მომგებიანი ბიზნესის ქონაწარმოება. ესაა თავი და თავი იმისაც, ფოსტას რომ ყიდიან**



ვერ გეტყვით, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სამუშაოს შოვნა, თუნდაც მძიმე სამუშაოსი, საქართველოში ფუფუნება გახდა. დამშეული ხალხი თანახმაა ყველაფერზე, ოღონდაც კი ოჯახის წევრები შიმშილით არ დაეხოცოს, მაგრამ სამუშაო, უბრალოდ, არ არის. გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მოქმედი ხელისუფლება წინასაარჩევნოდ საწარმოების გახსნის ინიციატივითა და დაპირებით აღარ გამოვა, რადგან ხალხმა ზუსტად იცის, არ არის გამკეთებელი და აღარც დაუჯერებს. აი, ოპოზიცია კი ამის პირობას აუცილებლად დადებს და დადებს იმ იმედით, რომ ამომრჩეველს მის მიერ გაცემული დაპირებები ექნება დავიწყებული. საწარმოებსა და სამუშაო ადგილებს ისიც გვპირდებოდა, მაგრამ არც მას შეუსრულებია.

საარჩევნო ციებ-ცხელების დაწყებამდე კი ვიყოთ მშვიდად, ვუყუროთ არაფრისმომცემ „რიყის დოქებს“ და დაველოდოთ, რას დააფასებენ ოპოზიცია თუ ხელისუფლება ჩვენს ხმებს. ცხადია, ხმის სანაცვლოდ ფულის გადახდა მათ არ ენანებოდათ და გამონაკლისი არც 2020 იქნება.

**ბესო ბარბაქაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქალბატონო „ჰოლმს“! კარგი, გასაგებია, რომ სიტყვებს — ტროლსა და ბოტს, შენი ბელადის წაბაძვით უაზროდ არახუნებ, მაგრამ სიტყვა ინფორმაცია მაინც არ იცი, რას ნიშნავს? გასწავლი, იქნებ დაიმახსოვრო: ინფორმაცია არის ის, რომ ლორა თორნტონი „ენ-დი-აი“-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელის პოსტიდან გათავისუფლდა. და ეს ინფორმაცია სულაც არ არის ყალბი და შენ და შენი ბანდა ამ ინფორმაციის გამავრცელებელ მედიაორგანიზაციებს სრულიად უსამართლოდ უწოდებთ ყალბს.**

# «მისის თამარა ჰოლმსის» «კვლევები», როგორც მედიატერორისტების იარაღი

**ნელ-ნელა უფრო და უფრო გამანადგურებელ სახეს იძენს საქართველოში ანგაჟირებული მედიისა და უცხო ქვეყნების რეზიდენტურების — „არასამთავრობო ორგანიზაციების“ მოღვაწეობა. პირველ რიგში, მინდა, სრულიად საქართველოს მივულოცო, რომ გასული კვირა მართლაც დადებითი და სასიხარულო მოვლენით დაიწყო. საქართველოდან გააძევეს ერთ-ერთი ასეთი ტერორისტი, ყბადაღებული „ენ-დი-აი“-ს საქართველოს ოფისის დირექტორი, ქალბატონი ლორა თორნტონი. ეს ქალბატონი პირდაპირ არის დაკავშირებული იმ გამანადგურებელ იარაღთან, რომელზეც ამ სტატიაში გვექნება საუბარი. ეს იარაღი ანადგურებს საზოგადოების ფსიქიკას, შეგნებას, მორალს და, აქედან გამომდინარე, ამ იარაღს სახელმწიფოების მოსპობაც შეუძლია. ლაპარაკია „კვლევებზე“. დიახ, ეს სრულიად უწყინარი რამ, რასაც ამა თუ საკითხის მეცნიერული კვლევა ჰქვია, თანამედროვე ფსიქოტერორისტებმა ერთგვარ იარაღად აქციეს და, ბოლო წლებია, ცდილობენ, საზოგადოების ფსიქიკა საბოლოოდ დაანგრიონ მათ მიერ ჩატარებული ყალბი კვლევებით.**



თამარ კინწურაშვილი

„ენ-დი-აი“-ს, ანუ **ლორა თორნტონის** კვლევებით ხომ ვიყავით განებივრებული და მისი წასვლის შემდეგ ქართველმა ენჯეოტერორისტებმა უკვე ლორას წასვლაზე დაიწყეს კვლევების ჩატარება. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ენჯეოტერორისტების სამიზნეში ამჯერად მეც აღმოვჩნდი. კერძოდ, **გიგა ბოკერიას** პირადი მხევალი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველაზე ტრაგიკომიკური ყოფილი დირექტორი **თამარ კინწურაშვილი** დამესხა თავს და ჩემს „ფეისბუქ-გვერდებს“ სულ ყალბი და ფეიკი ეძახა. უფრო დეტალურად განვმარტავ: არსებობს ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდი“. მისი ხელმძღვანელია თამარ კინწურაშვილი. სწორედ ამ ფონდის დაარსებულია ინტერნეტგვერდი „მითების დეტექტორი“. ეს გვერდი გამუდმებით აქვეყნებს რაღაც სულელურ მასალებს, რომლებსაც თვითონ კინწურაშვილი და მისი ბანდა რატომღაც კვლევებს უწოდებს. ამ „კვლევებში“ ისინი ყველას უწოდებენ ტროლებს, ბოტებს, „კრემლის რბილ ძალას“ და ა.შ. მაგალითად, ავიღოთ ჩემ მიერ დაარსებული „ფეისბუქ-ჯგუფი“ სახელწოდებით „პროპაგანდა არანორმალური პროპაგანდის წინააღმდეგ“ და ასევე ჩემ მიერ დაარსებული „ფეისბუქ-ფეიჯი (გვერდი)“ სახელწოდებით „დეიდა ლორას კვლევები“. ორივეს კინწურაშვილის კანტორა ფეიკსა და ყალბს უწოდებს. სინამდვილეში, ორივე მათგანზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს, რომ ადმინისტრატორი ვარ მე — **ბაკურ სვანიძე.** თამარ კინწურაშვილი კი ატარებს „კვლევა-გამოძიებას“ და დიდი ოფლის ღვრის შედეგად ადგენს, რომ თურმე ამ გვერდებთან **დაკავშირებული** ყოფილა ვინმე ბაკურ სვანიძე. აი, ეს სიტყვა — **დაკავშირებული** — ძალიან უყვართ „თამარ ჰოლმსის“ „დოქტორ ვატსონებს“. მარტივად რომ დაწერონ: ამ გვერდის დამაარსებელია ბაკურ სვანიძეო, ხომ ველარ დაზაფრავენ მკითხველს?! „გვერდთან დაკავშირებულია ბაკურ სვანიძე“ — ეს უფრო რაღაც იდუმალებისა და საშიშის ელფერს სძენს თამარას „გამოძიებებს“. რომ არ გეგონოთ, ეს სტატია მხოლოდ იმიტომ დაიწერა, რომ ვინმე პირადად შემეხო, გეტყვით, რომ ეს ენჯეოტერორიზმი და მედიატერორიზმი დღეს საქართველოში ერთ-ერთ საშიშ პრობლემად მიმაჩნია. ეს ტერორისტები ზაფრავენ მოსახლეობას და აუწყებენ მათ ქვეყანაში რაღაც ტროლების, ბოტების, ზომბებისა თუ ურჩხულების არსებობის შესახებ. რაც ყველაზე საშიშია, მათ უკვე დაამკვიდრეს ტენდენცია, რომ, ვისაც კი ინტერნეტთან შეხება აქვს, ყველას ტროლი და ბოტი უძახონ. მკითხველმა რომ იცოდეს:

**ბოტი** — ეს არის ერთგვარი კომპიუტერული პროგრამა, რობოტი, რომელიც ვილაცისთვის სასურველ ინტერნეტკომენტარებს აკოპირებს და ავრცელებს მასში წინასწარ ჩაპროგრამებულ გვერდებზე. მას შეიძლება ერქვას ადამიანის სახელი და გვარი, მაგრამ არ აქვს რეაგირება შეკითხვებზე, ვერ გაგიკეთებს კონტრკომენტარს და ა.შ.

**ტროლი** — ეს არის ადამიანი, რომელიც კომპიუტერთან ზის სხვისი სახელითა და გვარით და განგებ ავრცელებს ცრუ, დამაბნეველ, დამაპანიკებელ ინფორმაციას. მისი მიზანია ადამიანების დეზინფორმაცია და დეზორიენტაცია.

ახლა ვსვამ კითხვას: **მე, ადამიანი, რომელიც „ფეისბუქ-სივრცეში“ ვარ, როგორც ბაკურ სვანიძე, და სინამდვილეშიც ბაკურ სვანიძე ვარ, ჩემს „ინფო“-ში მიდევს ტელეფონის ნომერი, სახლის მისამართი, ჩემი ფოტოები, ჩემი ძაღლის ფოტოებიც კი, რანაირად ვარ ტროლი და ბოტი?!**

**თამარ კინწურაშვილისა და მისნაირებისთვის ყველა ტროლი და ბოტია, ვინც მათ ნეოფაშისტურ აზრებს არ ეთანხმება. ესაა მათი ბელადის, მიშა სააკაშვილის, აზროვნების ანარეკლი, რომელმაც პირველმა დაუწყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ტროლებისა და ბოტების ძახილი, ხოლო კინწურაშვილი და სხვები, როგორც გოშია ძაღლებს სჩვევიათ, წკავწკავით, გაუაზრებლად აჰყვნენ პატრონის ისტერიკულ ყვირილს**

საქმე ის არის, რომ **თამარ კინწურაშვილისა და მისნაირებისთვის ყველა ტროლი და ბოტია, ვინც მათ ნეოფაშისტურ აზრებს არ ეთანხმება. ესაა მათი ბელადის, მიშა სააკაშვილის, აზროვნების ანარეკლი, რომელმაც პირველმა დაუწყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ტროლებისა და ბოტების ძახილი, ხოლო კინწურაშვილი და სხვები, როგორც გოშია ძაღლებს სჩვევიათ, წკავწკავით, გაუაზრებლად აჰყვნენ პატრონის ისტერიკულ ყვირილს.**

განვიხილოთ თუნდაც მათი „კვლევა“ იმის შესახებ, როგორ „დეზინფორმაციას“ უვრცელებენ თურმე ლორა თორნტონს. „თამარა და კომპანიის“ მსჯელობა ასეთია: „ენ-დი-აი“-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი საქართველოდან სამუშაოდ შვედეთში გადაიყვანეს, ხოლო ტელეკომპანია „ობიექტივი“, კიდევ რამდენიმე გაზეთი და ინტერნეტგვერდი აცხადებენ, რომ ეს ირმა ინაშვილის აქტივობის შედეგია. სინამდვილეში კი, ეს ჩვეულებრივი როტაციაა“. აი, ამას უწოდებს კინწურაშვილი და კომპანია სიყალბეს, დეზინფორმაციასა და ფეიკინფორმაციას.

ქალბატონო ჰოლმს! კარგი, გასაგებია, რომ სიტყვებს — ტროლსა და ბოტს, შენი ბელადის წაბაძვით უაზროდ არახუნებ, მაგრამ სიტყვა ინფორმაცია მაინც არ იცი, რას ნიშნავს? გასწავლი, იქნებ დაიმახსოვრო: ინფორმაცია არის ის, რომ ლორა თორნტონი „ენ-დი-აი“-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელის პოსტიდან გათავისუფლდა. და ეს ინფორმაცია სულაც არ არის ყალბი და შენ და შენი ბანდა ამ ინფორმაციის გამავრცელებელ მედიაორგანიზაციებს სრულიად უსამართლოდ უწოდებთ ყალბს.

ის, რომ „ლორა თორნტონის თანამდებობიდან გაშვება ირმა ინაშვილის აქტივობამ განაპირობა“, არის არა ინფორმაცია, არამედ თვალსაზრისი, რომლის გამოთქმის უფლება უზრუნველყოფილია სწორედ იმ ევროპული ღირებულებებით, რომელთა დამცველადაც თავს სრულიად არასწორად ასაღებ.

სინამდვილეში თქვენ, თქვენი „მითების დეტექტორიანად“ ხართ ყველაზე ადრეული და სასტიკი საბჭოთა ეპოქისდროინდელი „ენ-კა-ვე-დეს“ და ლევ ტროცკის „სოცდეკების“ პირდაპირი გადმონაშთები.

იქნებ გვიპასუხოთ: თუკი ის თვალსაზრისი, რომ თორნტონის გაშვება ინაშვილის აქტიურობამ განაპირობა, სიყალბედ მიგაჩნიათ, მაშინ ისეთივე პანიკა რატომ არ აწიეთ, როდესაც პროკურორი **შოთაძე** საკუთარი განცხადებით გადადგა, ხოლო ნაცების გავლენის ქვეშ მყოფი ყველა მედიასაშუალება და ინტერნეტგვერდი წერდა, შოთაძის წასვლა, ჩვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა აიძულაო? რატომ არ იყო ეს ყალბი ინფორმაცია? მაგრამ თქვენ ხომ ყველაფერში თქვენი ექსკლუზიური ყალბი ლოგიკა გაქვთ!

მაგალითად, თქვენი „საგამოძიებო ლოგიკით“ გამოდის, რომ 1877 წლის 3 მარტიდან თბილისში გამოდიოდა ყალბი გაზეთი „ივერია“, რომელთანაც დაკავშირებული იყო **ილია ჭავჭავაძე.**

**შორს რომ არ წავიდეთ, ანალოგიური წარმატებით შეიძლება თქვენზეც ვთქვათ: ინტერნეტსივრცეში ვრცელდება ყალბი გვერდი „მითების დეტექტორი“, რომელთანაც არის დაკავშირებული თამარ კინწურაშვილი...**

ასე შეიძლება ნებისმიერზე ვილაპარაკოთ. მაგალითად, კომუნისტურ საქართველოში გამოდიოდა ყალბი ჟურნალი „ნიანგი“, რომელთანაც დაკავშირებული იყო **ნოდარ დუმბაძე...** „მისის თამარა ჰოლმს“, რატომ ზაფრავთ ხალხს? რა ტროლები, რისი ბოტები?!

საქმე ის არის, „მისის ჰოლმს“, რომ თქვენი ეს „გამოძიებები“ გაუთვითცნობიერებელ მასაზეა გათვლილი. „არიქა, ტროლები, ბოტები, ფეიკები, ექაუნთები, ფეიჯები!“ — იყვირებთ თქვენ და ამ ტერმინების არმცოდნე მოსახლეობას გული გაუსკდება, რაღაც საშინელება ხდებაო. სინამდვილეში კი, არაფერიც არ ხდება, გარდა იმისა, რომ თქვენი უსამართლო მფარველი დეიდა ლორა ვიღაცამ ძალიან სამართლიანად გააკრიტიკა და აიგდო მასხრად. ერთადერთი, რის გამოც უფლება გაქვთ, ვინმეს შეედავოთ, ეს არის შექმნილი გვერდების მეშვეობით ცრუ ინფორმაციის გავრცელება ან უხამსი კონტენტი — შინაარსი, ფოტო ან ვიდეო, რომლითაც ვინმეს პირადად შეურაცხყოფენ.

აი, **ჩემს „ფეისბუქ-გვერდებზე“ კი ვერც ერთ ფეიკს (ანუ ყალბ ინფორმაციას) და უხამსობას ვერ იპოვით, ამიტომაც გისკდებათ გული. ისიც ვნახეთ, რომ „დაგვარეპორტეთ“ კიდეც რამდენჯერმე — აქაოდა, ფაშისტურ ფემიციდურ, ქსენოფობიურ თუ კიდევ რაღაც ასეთ და ისეთ მოწოდებებს ავრცელებენო, მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ მასხრად აგიგდოთ და თქვენი რეპორტი არ მიიღო.** ასე გაგრძელდება მომავალშიც!

და მაინც, საბოლოოდ და უფრო ნათლად რომ იყოს ხალხისთვის გასაგები, ზემოთაც ვახსენე და აქ უფრო ვრცლად გავიმეორებ: წარმოვიდგინოთ, რომ კინწურაშვილის ეს სულელური „მითების დეტექტორი“ XIX საუკუნეშიც არსებობდა. რას დაწერდნენ ისინი? ჩემი აზრით, დაახლოებით ამას:

**„ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა-გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 1877 წლის 3 მარტიდან თბილისში ფუნქციონირებს ფეიკგაზეთი სახელწოდებით „ივერია“. ჩვენ გამოვიკვლიეთ ისიც, რომ ამ გაზეთთან დაკავშირებულია ვინმე ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ოკუპანტ ქვეყანაში — რუსეთში, კერძოდ კი საიმპერატორო ქალაქ პეტერბურგში. „მითების დეტექტორის“ კვლევის შედეგად დადგინდა ასევე, რომ ყალბ-გაზეთ „ივერიასთან“ თანამშრომლობს ტროლი სახელით „ვაჟაფშაველა“, რომელიც სინამდვილეში ლუკა რაზიკაშვილია და ამჟამად მთაში იმალება.** ამავე გაზეთთან არის ასოცირებული რუსული რბილი ძალის მიერ დაარსებული ქსენოფობიური ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის წევრიც გახლავთ კიდევ ერთი ბოტი სახელით „უიარაღო“, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია **კონდრატე თათარაშვილი.** ასეთი მეტსახელით მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, რადგან სინამდვილეში ის მუდამ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია!“

„მისის თამარა ჰოლმსის“ სულელური გამოძიებები გრძელდება.

აბა, გამოიცანით, ვინ იქნება შემდეგი? — ეს ხომ ელემენტარულია, უოტსონ!

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ



## ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ! ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲝᲓᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

**ორგანიზაცია LGBT New World Society-მ, რომელიც ჰომოსექსუალების უფლებებს იცავს, განაცხადა, რომ დაიწყო აქცია „ტოლერანტობის დესანტი“.**

ეს ნიშნავს, რომ ამ ღონისძიების მონაწილე აქტივისტები რეგისტრირდებიან იმ ქვეყნების სოციალურ ქსელებში, რომლებშიც ჰომოსექსუალებს თავს ესხმიან ან არ ეპყრობიან საკმარისი პატივისცემით, და იქაურ ახალგაზრდებს შორის „მეგობრულ განმარტებით საუბრებს“ აწყობენ. იუწყებიან, რომ აღნიშნული აქცია ჩატარდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, ბელარუსი, ირანი, რომლებშიც ერთი და იმავე სქესის წყვილებისადმი მხარდაჭერის ყველაზე დაბალი პროცენტია.

**რეკომენდაციებში, რომლებიც მოხალისეებს ბავშვთა შორის სოდომიის პროპაგანდისტული მუშაობის საწარმოებლად დაურიგეს, ნათქვამია, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში მიმდინარეობს „აქტიური, სიცრუეზე აგებული ანტიამერიკული პროპაგანდა“. მოხალისეებს კატეგორიულად აუკრძალეს, უთხრან ბავშვებს, რომ ისინი (მოხალისეები) მუშაობენ იმ სააგენტოში, რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო აფინანსებს.**

აქტივისტებმა ბავშვებს თავი იმ ქვეყნის უბრალო მოქალაქეებად უნდა წარუდგინონ, რომლებშიც მოუწევთ მუშაობა და „დაუძალებლად, პატივისცემით, მაგრამ დარწმუნებით უნდა დაუმტკიცონ და აჩვენონ, რომ ლგბტ-თემი დაჩაგრული უმცირესობაა, რომელშიც გაერთიანებულები არიან თვალსაჩინო, შემოქმედი ადამიანები. ისინი იმსახურებენ არა მხოლოდ თანადგომას, არამედ განსაკუთრებულ პატივისცემას, რადგან მამაცური და გმირული ცხოვრების წესს მისდევენ“.



სოდომიის პროპაგანდისტები მიზანმიმართულად იმუშავებენ, ხოლო LGBT New World Society თვალყურს მიადევნებს, რათა აქციამ „ღირსეულ ლინგვისტურ და ტექნიკურ დონეზე ჩაიაროს“. ორგანიზაცია ფულს გადაუხდის თარჯიმნებს ან უცხო ენების მცოდნეებს, თუ ღონისძიების მსვლელობისას საჭირო გახდება ამის გაკეთება.

„ჩვენ ვიცით, რომ შევძლებთ, დავეხმაროთ რუსებს და არა მხოლოდ მათ, მომდევნო თაობები აღზარდონ სრულფასოვან მოქალაქეებად და არა გაბოროტებულ ჰომოფობებად. ჩვენი აქცია არ იქნება წვეთი ზღვაში, არ დაემსგავსება წყალწაღებულის გადარჩენას. ჩვენ ცივილიზებული მსოფლიოს სახელით სიძულვილის ოკეანიდან გამოვიყვანთ გზააბნეულ ხალხებს“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲰᲘᲚᲖᲛᲐ.**

უნდა ითქვას, რომ 2013 წლის 29 ივნისიდან რუსეთში მოქმედებს ფედერალური კანონი, რომლითაც აკრძალულია ბავშვთა შორის ტრადიციულ ფასეულობათა უარყოფის ყოველგვარი პროპაგანდა.

ამ კანონში ნათქვამია, რომ ამ სახის ქმედება, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს, თითქოს ტრადიციული და არატრადიციული სექსუალური ურთიერთობა სოციალურად ერთმნიშვნელოვანი და ფასეულია, იმ შემთხვევაში, თუ არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულს, ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით ოთხი ათასიდან ხუთ ათას რუბლამდე; თანამდებობის პირებისთვის — ორმოცი ათასი რუსული რუბლიდან ორმოცდაათ ათას რუბლამდე; იურიდიული პირებისთვის — რვაასი ათასიდან ერთ მილიონ რუბლამდე ან ადმინისტრაციული საქმიანობის შეწყვეტით 90 დღე-ღამის ვადით.

**ᲬᲚᲘᲡ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ**

იგივე ქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ან საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით, თუ არ შეიცავს სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით მოქალაქეებისთვის ორმოცდაათი ათასიდან ას ათას რუბლამდე; თანამდებობის პირებისთვის — ასი ათასიდან ორას ათას რუბლამდე; იურიდიული პირებისთვის — ერთი მილიონი რუბლით ან საქმიანობის ადმინისტრაციული შეჩერებით 90 დღე-ღამემდე ვადით.

თუ იმავე ქმედებას ჩაიდენს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი და მისი ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლით დასჯად დანაშაულს, მას დააკისრებენ ადმინისტრაციულ ჯარიმას ოთხი ათასი რუბლიდან ხუთ ათას რუბლამდე და გააძევებენ რუსეთის ფედერაციიდან ან ადმინისტრაციულად დააკავებენ 15 დღე-ღამემდე ვადით და გააძევებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან.

თუ იგივე ქმედებას ჩაიდენს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი მასობრივი ინფორმაციის ან საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით, მაგრამ მისი ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლით დასჯად დანაშაულს, მას დააკისრებენ ორმოცდაათი ათასიდან ას ათას რუბლამდე ადმინისტრაციულ ჯარიმას და გააძევებენ რუსეთის ფედერაციის საზღვრებს მიღმა ან დააკავებენ 15 დღე-ღამემდე ვადით და გააძევებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან.

**სულ ესაა! არასრულწლოვანთა შორის პედერასტიის გავრცელების კატეგორიულად მოწინააღმდეგეთა აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელები (თუ გავითვალისწინებთ ამ გარყვნილი ქმედების შედეგად მომავალი თაობის დეგრადაციულ შედეგებს) რბილია და არასაკმარისი.**

**მაგრამ ევროპასა და მსოფლიო თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში მამათმავლების მიმართ მოდური „ტოლერანტობის“ მასობრივი აღიარების ფონზე რუსეთის ხელისუფლების ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად მისასალმებელი და გასაზიარებელია.**

# ᲙᲐᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲥᲐᲚᲘᲐ,

## ᲛᲐᲘᲜᲪ ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐᲜᲘᲐ?



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲒᲐᲑᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲖᲐᲪᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ.**

**„ევროკავშირი, — თქვა მან, — საკუთარი კრიზისის ფონზე, ჯერ ვერ ყალიბდება, თუ რა ფორმა მისცეს მომავალ ურთიერთობებს თავის უახლოეს მეზობლებთან (კანდიდატ თუ ასოცირებულ ქვეყნებთან), რომლებიც გაწევრებისკენ ილტვიან, რა ფორმით უპასუხოს ჩვენს მოლოდინებს; არ შეაჩეროს ძრავა, რომელმაც გაფართოების პოლიტიკის სახით, ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა თვით ევროპასა და მის ახალ წევრებს“.**

ყველაზე დიდი გამარჯვება, რომელიც საკუთარი კრიზისის ფონზე ვერ ყალიბდება სამომავლოდ, „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“, ძნელი გასარკვევია.



ჰოდა, მაშინ, როცა ევროპას თავის კანდიდატ თუ ასოცირებულ მეზობლებთან მომავალი ურთიერთობები ვერ გაურკვევია, გადედლებული კაცების დედაკაცებად გამოწყობა-გამოპრანჭვაზე აუღია გეზი და კაცყოფილების ახალ მოდურ ტანსაცმელს გვთავაზობს. კერძოდ, როგორს, დახედეთ ფოტოებს და თვითონ შეაფასეთ.

ეტყობა, ის დრო დადგა, როცა ლეგენდარული დები იშხნელების მიერ გიტარაზე დამღერებული „ყველა სნეულებაზე სიყვარული ძნელია“ ევროპული მოდის ყაიდაზე უნდა გადავაკეთოთ:

**ეს მოდური კანონი,**
**ყველასათვის ვალია,**
**განურჩევლად იმისა,**
**კაცია თუ ქალია.**



გლობალიზაციის კრახი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს უკვე არა ჩინეთი, არამედ სამხრეთი კორეა და იაპონია წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების ყველაზე სახიფათო წყაროებს. არადა, სწორედ ამ ორ ქვეყანაში აწარმოებენ მასალებსა და კომპონენტებს, რომელთა გარეშეც პლანეტის კომპიუტერულ ინდუსტრიას მკაცრი კრიზისი ელის.**

# კორონავირუსი ბოლოს მოუღებს გლობალიზაციას

თუ ვივარაუდებთ, რომ მსოფლიოში ყველაფერი (ან თითქმის ყველაფერი) განვითარდება ოპტიმისტური სცენარით, კორონავირუს COVID-19-ს მალე გააკონტროლებენ, შემდეგ კი გაანადგურებენ ისევე, როგორც 2000-იანი წლების დასაწყისში აღგავეს პირისაგან მიწისა SARS-ი (მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი — ატიპური პნევმონია), მაისის ბოლოს მსოფლიო კვლავ უსაფრთხო იქნება მოგზაურობისთვის, ხოლო ტექნოლოგიური სიმძლავრეები — ხელმისაწვდომი, საფონდო ბირჟებზე პანიკა ჩაცხრება, ბანკები არ აღმოჩნდებიან თავისუფალი ვარდნის რეჟიმში, ისევე, როგორც 2007-2009 წლებში. საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა შემცირდება, მაგრამ დროებით. წლის ბოლოს უმნიშვნელო რეცესიის შემდეგ ჩინეთსა და აშშ-ში კვლავ დაიწყება ეკონომიკის ზრდა და სხვა ქვეყნების ბაზრებსაც აიყოლიებენ, მოიმატებს ფასები ენერგომატარებლებზე.



**ეპიდემიურ კრიზისს, ალბათ, უახლოეს თვეებში შეაჩერებენ, მაგრამ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები შორსმიმავალი იქნება მოსახლეობის მიგრაციის საკითხებისადმი დამოკიდებულების რადიკალური ცვლილებების გაუთვალისწინებლადაც კი. შეიძლება, საქმე სერიოზულ რეცესიამდე არც მივიდეს, მაგრამ, როცა 30 წლის შემდეგ ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებს დაუსვამენ შეკითხვას — რამ მოუღო ბოლო გლობალიზაციას XXI საუკუნის 20-იან წლებშიო, პასუხი იქნება: COVID-19-მა**

კრიზისით დაზიანებული ეკონომიკების ფუნქციობისთვის სულ უფრო დიდი მოცულობით იქნება საჭირო სათბობი და ელექტრობა. 2040 წლისთვის მხოლოდ გამოსათვლელი სიმძლავრეები „შეჭამენ" მსოფლიოში არსებულ ელექტროგენერაციას. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი მოთხოვნა იქნება ე.წ. რთული საბადოების ნახშირწყალბადებზე — ფიქლურზე, არქტიკულზე და ა.შ., რომელთა ამოღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი აირისა და ნავთობის ფასი მაღალი იქნება. ნახევარი წლის შემდეგ შექმნიან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას ან პრეპარატებს, რომლებიც საკმაო წარმატებით გაუმკლავდება ამ ვირუსს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის განმეორებით დაიწყებს გავრცელებას.

**ოპტიმისტური პროგნოზის მიხედვით, ვითარება ნელ-ნელა მოგვარდება, მაგრამ დარჩება კი ყველაფერი ძველებურად? კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული ტრავმა ხომ არ იქნება მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ცვლილებების მიზეზი?**

COVID-19 უკვე არის პრობლემა პლანეტის მასშტაბით. ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ პანიკასა და აქციების სპეკულაციურ ბაზარზე, რომელმაც გამოიწვია ვალუტების კურსებში ცვლილებები და ენერგომატარებლების ფასების შემცირება. არასახარბიელო პერიოდი დაუდგა ტურისტულ დარგსაც.

მაგრამ **ეპიდემიის შედეგები შორეულ პერსპექტივაში შეიძლება გაცილებით სერიოზული აღმოჩნდეს.** ჩინეთმა, „საგნების მსოფლიო ფაბრიკამ", დროებით დახურა უამრავი საწარმო. ინდუსტრიული აქტივობის დაცემა ისე საგრძნობია, რომ თანამგზავრებიდან გადაღებულ ფოტოებზეც კი ჩანს ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი შემცირება ჩინეთის ტერიტორიაზე.

თუმცა, **გამორიცხული არ არის, რომ დაუგეგმავმა არდადეგებმა ხელი ვერ შეუშალოს ჩინეთში წარმოებული პროდუქციის გასაღებას, რადგან მიმწოდებლებსაც და გამსაღებლებსაც საწყობებში ექნებათ მარაგები, რომლებსაც სწორედ ფორსმაჟორული ვითარებისთვის ქმნიან, მაგრამ სასაქონლო „ბუფერებიც" ამოიწურება და მყიდველი ჩინური ნაწარმის ალტერნატივას დაუწყებს ძებნას.** ძველებური მიწოდების აღდგენას, თუნდაც შემცირებული მოცულობით, ტრანსპორტის მესვეურთა ძალების დაძაბვა დასჭირდება, შედეგად აუცილებლად მოიმატებს მათი მომსახურების ფასი. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ მეტ მოტივაციას შესძენს სავაჭრო კომპანიებს, ეძებონ ალტერნატივები და (ეს მთავარია) შეამცირონ სატრანსპორტო ხარჯები. **იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2020 წლის ზაფხულისთვის მომარაგების მსოფლიო სტრუქტურა რადიკალურად არ შეიცვლება, ასეთ ცვლილებებზე იფიქრებენ ფირმების შემსყიდველი განყოფილებები სრულიად მსოფლიოში, თუნდაც ეპიდემიის კიდევ ერთი შემთხვევისას თავის დაზღვევის მიზნით.**

ჩინეთის მრეწველობის აღდგენის ტემპებს ექსპერტები სხვადასხვანაირად აფასებენ, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ მუშაობის პირვანდელი რეჟიმის დაბრუნებას, სულ ცოტა, 1,5-2 წელიწადი მაინც დასჭირდება, თანაც იმ შემთხვევაში, თუ ყველა დიდი კორპორაცია „ერთ კალათში დადებს კვერცხს" და ჩინეთი (თავის პარტნიორებთან ერთად რეგიონში) კვლავაც იქნება მსოფლიოს სასაქონლო მასის ძირითადი წყარო. საქმე არ არის მხოლოდ ფართო მოხმარების საგნებში. **საფრთხე შეექმნა ინდუსტრიისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონლის მაკომპლექტებელი დეტალებისა და მასალების მიწოდებას, რომელთა წარმოებასაც „უხილავმა ხელმა" თავი მოუყარა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.** საერთოდ კი, საუბარი შეიძლება ყოფილიყო მსოფლიოს ნებისმიერ მხარესა და ნებისმიერ ქვეყანაზე, „გლობალური მთავრობა" ხომ საკუთარი ძალაუფლების დასაცავად და ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ზემოგების მისაღებად თანამიმდევრობით ახორციელებდა შრომის ე.წ. საერთაშორისო განაწილებას. **არცთუ სერიოზული კრიზისის შემთხვევაში კი, რომელიც COVID-19-ის ეპიდემიამ გამოიწვია, ამ ეკონომიკურმა მოდელმა რღვევა დაიწყო.**

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეიძინოს ნიღბების დიდი პარტია იმ შემთხვევისთვის, თუ ეპიდემიური ვითარება გაუარესდება. ნიღბები დაუკვეთეს კომპანია 3M-ს, რომელიც ბევრ რამესთან ერთად ერთჯერად სამედიცინო ინვენტარსაც ამზადებს. გაირკვა, რომ მომწოდებელს შეუძლია, დაამზადოს მხოლოდ 35 მლნ ნიღაბი, რადგან ტექნოლოგიური ჯაჭვით დაკავშირებულია ჩინეთსა და მექსიკასთან. საერთოდ კი, **35 მლნ ნიღაბის დამზადება ოპტიმისტური პროგნოზია. აშშ-ში შექმნილ ვითარებას ჯერჯერობით შველის ადრე დამზადებული 40 მლნ ნიღაბი, მაგრამ ინდივიდუალური დაცვის საშუალებით მოსახლეობის მასობრივად უზრუნველსაყოფად ეს მარაგი 1-2 დღეში ამოიწურება.**



ნიღაბის გამოყენების ეფექტიანობაში ბევრ სპეციალისტს შეაქვს ეჭვი. ეპიდემიის კიდევ უფრო გავრცელების შემთხვევაში დიდი მოცულობით იქნება საჭირო სხვა სამედიცინო საქონელიც — **ინდივიდუალური ბოქს-კარვები, ერთჯერადი ხალათები, საწვეთელები, შპრიცები** და სხვა „წვრილმანი", და ვინ იცის, მოთხოვნის რა დონეზე დაიწყებს შეფერხებას მსოფლიო ლოჯისტიკური სისტემა. **ნებისმიერი პლასტიკური დეტალის არარსებობა, რომელსაც ჩინეთში „ოპტიმალურ ფასად" აწარმოებდნენ, მედპერსონალს დაავადებასთან ეფექტიანად ბრძოლის შესაძლებლობას წაართმევს. რა თქმა უნდა, ექიმები გამოსავალს მაინც გამონახავენ. ელემენტარული კარანტინულ-თერაპევტული ღონისძიებები, ბოლოს და ბოლოს, დაამარცხებს კორონავირუსს, როგორც აქამდე დაუმარცხებია ყველა სხვა მავნე პათოგენეზი, თუმცა „ნალექები" მაინც დარჩება.**

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრი ისევე, როგორც ინდუსტრიულად განვითარებული სხვა ქვეყნების ანალოგიური სტრუქტურები, სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაკეთობებისა და მედიკამენტების საკუთარი ნაციონალური წარმოების ორგანიზებას მოითხოვენ.

შესაძლოა, ექიმებს არ მოუსმინონ, მაგრამ იქ არის სხვა უსიამოვნება. **დღეს უკვე არა ჩინეთი, არამედ სამხრეთი კორეა და იაპონია წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების ყველაზე სახიფათო წყაროებს. არადა, სწორედ ამ ორ ქვეყანაში აწარმოებენ მასალებსა და კომპონენტებს, რომელთა გარეშეც პლანეტის კომპიუტერულ ინდუსტრიას მკაცრი კრიზისი ელის.**

„ვიწრო ადგილი" გამოვლინდა 2019 წლის აგვისტოში, როდესაც წარმოიქმნა მორიგი დიპლომატიური კამათი ტოკიოსა და სეულს შორის, და რომელიც სწრაფად გადავიდა შეზღუდულ სავაჭრო ომში.

კორეულ კომპანიებს — Samsung-სა და SK Hynix-ს — მსოფლიო ბაზარზე გააქვთ კომპიუტერებისა და გაჯეტების მეხსიერების მოდელების 63%. ამ გიგანტების ფუნქციობა პირდაპირ არის დამოკიდებული სუფთა მაღალტექნოლოგიური მასალების ხელმისაწვდომობაზე, კერძოდ, ფტორის შერეულ პოლიამიდებსა და ფოტორეზისტორებზე. მათი მოხმარების 92-94%-ს დღეს უზრუნველყოფენ იაპონური კორპორაციები Fuji, JSR-ი და TOK Semiconductor-ი და ისინი ამჟამად მაღალი საფრთხის ზონაში იმყოფებიან.

სხვა ადგილებზე სათანადო ხარისხის მიკროსქემებისა და მასალების წარმოების გასავითარებლად საჭიროა დრო და, როგორც კი აშშ-ში, ევროპასა და სხვაგან იმპორტირებულ ნაწილებს საკუთარი წარმოების ნაწილებით ჩაანაცვლებენ, თავის ინდუსტრიულ სიმძლავრეზე უარს არავინ იტყვის — ვირუსის გაკვეთილს დიდხანს არ დაივიწყებენ.

როგორ ოპერატიულად და წარმატებითაც უნდა მოქმედებდნენ სამედიცინო ხელისუფლებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უახლესი კვირებისა და თვეების განმავლობაში, **COVID-19-მა უკვე გააშიშვლა გლობალური ქსელის მომარაგების სუსტი მხარეები. ამაზე რეაქცია იქნება ლოჯისტიკური ჯაჭვების შემცირება და საწარმოების გადატანა სამომხმარებლო ბაზრებთან ახლოს. მომარაგების საიმედოობა, თუნდაც დროებით, პროდუქციის დაბალ თვითღირებულებაზე მნიშვნელოვანი იქნება.** ეს არა მხოლოდ შეაფუცხუნებს რეინდუსტ- ▶

სიკვდილს შორეული და გაურკვეველი პერსპექტივა უღირსებო ადამიანს არარაობად აქცევს, რაც გარშემო მყოფთა ზიზღს იწვევს და მასშიც ზიზღს გამოიწვევდა, სალად რომ შეეხედა საგნებისა და მოვლენებისთვის. საკუთარი თავის პატივისცემა გამომდინარეობს იქიდან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოქმედებდე, როგორც პატიოსანი, გაბედული, კეთილი ადამიანი და არა ისე, რომ ყველაფერს კადრულობდე ხიფათის თავიდან ასაცილებლად.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რიალიზაციის შესაძლებლობის მქონე ქვეყნებს, არამედ ხელს შეუწყობს იმ პოლიტიკურ ძალებსაც, რომლებიც ამისთვის იბრძვიან. ეს კი, თავის მხრივ, დააჩქარებს შრომის საერთაშორისო განაწილებას. ქანქარა დიდი ხნით გადაიხრება თვითუზრუნველყოფის (ზოგჯერ არასწორად უწოდებენ იზოლაციონისტურს) სტრატეგიის მხარეს.

მომარაგების ქსელში შეფერხებები (მათ შორის ისიც, რომელსაც წინასწარმეტყველებენ) ფინანსურ სექტორზეც აისახება. შესაძლო სამომავლო რეცესიის შიში საერთაშორისო და ნაციონალურ მეგარეგულატორებში ახალი ნეგატიური მოვლენების საწინააღმდეგო ინსტრუმენტების არარსებობით გამოიხატება.

2007-2009 წლებში წარმოიქმნა ლიკვიდურობის კრიზისი და ამას აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და სხვა გლობალურმა ინსტიტუტებმა უპასუხეს რაოდენობრივი შემსუბუქებით — პრობლემა, უბრალოდ, ფულით ამოავსეს.

ამჟამინდელი კრიზისი დამოკიდებულია არა ლიკვიდურობაზე, არამედ ლოჯისტიკური არხებისა და საწარმოო სიმძლავრეების ფუნქციობაზე. ასეთ „დაცემულ მასალებთან“ მუშაობა კი მსოფლიო მონეტარულ ხელისუფლებასა და ნეოლიბერალიზმის „გურუებს“, უბრალოდ, არ შეუძლიათ. ამასთანავე, თითქმის ყველა გლობალურ კორპორაციას ვალების ყულფში თავის გაყოფა ემუქრება. დიდი ბანკები, განსაკუთრებით საერთაშორისო, დადგებიან დილემის წინაშე — დააფინანსონ ინდუსტრიის რენაციონალიზაცია და ამით შეასუსტონ კონტროლი მსოფლიო ეკონომიკაზე ან შეეჯახონ სახელმწიფო იძულების ძალას, შეიძლება გავლენის ბერკეტებისგან ძალისმიერი გაუცხოების საფრთხესაც რეალურ სექტორსა და პლანეტის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე.

ფინანსური ინსტიტუტები სახელმწიფო მანქანასთან დაპირისპირებას შეძლებენ გარკვეულ ზღვრამდე. თუ მთავრობების პოლიტიკური ნება მტკიცე იქნება (ხელისუფლებაში კი აუცილებლად მოვლენ „იზოლაციონისტი“ ლიდერები), მაშინ ფულად-საკრედიტო სტრუქტურებს დამორჩილება მოუწევთ, თუმცა პრობლემა არის ის, რომ მათ არ აქვთ საკუთარი ძალებით გარდაქმნის რეცეპტები. აქედან გამომდინარე, მათ სწრაფად გარდაქმნიან გარედან, ე.ი. სახელმწიფოს ძალებით.

ეპიდემიურ კრიზისს, ალბათ, უახლოეს თვეებში შეაჩერებენ, მაგრამ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები შორსმიმავალი იქნება მოსახლეობის მიგრაციის საკითხებისადმი დამოკიდებულების რადიკალური ცვლილებების გაუთვალისწინებლადაც კი. შეიძლება, საქმე სერიოზულ რეცესიამდე არც მივიდეს, მაგრამ, როცა 30 წლის შემდეგ ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებს დაუსვამენ შეკითხვას — რამ მოუღო ბოლო გლობალიზაციას XXI საუკუნის 20-იან წლებშიო, პასუხი იქნება: COVID-19-მა.

# საკუთარი თავის უპატივცემულობა იმუნიტეტს აქვეითებს



**კორონავირუსის ეპიდემია, რომელმაც 100-ზე მეტი ქვეყანა მოიცვა, სამედიცინო პრობლემაა — ამ მხრივ, მისით უნდა დაკავდნენ სპეციალისტები — თუმცა, არა მხოლოდ. ეს ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემაა. და პრობლემის ამ მხარეზე უნდა დავფიქრდეთ მანამდე, სანამ სნეულება ჩვენამდე მოაღწევს.**



ფიზიკურ ინფექციასთან ერთად, ჩვეულებრივ, მოდის ფსიქოლოგიური ინფექციაც — პანიკური ხმები, რომლებიც ვირუსისგან განსხვავებით იოლად და სწრაფად ვრცელდება ინტერნეტის მეშვეობით. ამასთანავე, აქტიურდებიან ფსიქიკურად არასტაბილური ადამიანები, რომლებიც ალიგზნებიან და სხვებსაც ალაგზნებენ, ვიღაც თესავს პანიკას, სურს, ყველა დაარწმუნოს, რომ ხელისუფლება „რაღაცას მალავს“, ვიღაც კი ამას ბოროტი განზრახვით აკეთებს.

ზომები, რომლებსაც ხელისუფლება მიმართავს ეპიდემიის შესაკავებლად, ხშირად განიცდის საზოგაყს, ერთი მხრივ, უდარდელი ადამიანებისგან, რომლებსაც არ სურთ ვითარების სერიოზულობის დანახვა, მეორე მხრივ — გაღიზიანებული პანიკიორების ჯგუფებისგან, რომლებიც იწყებენ აქეთ-იქით მიწყდომას და ამით ზრდიან თავიანთი თავისა და სხვების ინფიცირების საფრთხეს, როგორც მოხდა მსოფლიოში ცნობილი **ნოვიე სანჟარის** (უკრაინა, პოლტავის ოლქი) მცხოვრებლების შემთხვევაში.

**ვითარება ნოვიე სანჟარსა და უკრაინის სხვა ქალაქებში, რომლებმაც უარი განაცხადეს ევაკუირებულთა მიღებაზე, ძალიან სამარცხვინო და ამაზრზენია, და არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს. გასაგებია, რომ ადამიანებს სურთ ამის ახსნა რაღაც განსაკუთრებული მენტალობით ან სპეციფიკური ვითარებით. უკრაინაში შექმნილი ვითარება, გარკვეულწილად, მართლა სპეციფიკურია. ეს, უწინარესად, გამოწვეულია სახელმწიფოს სისუსტით, სახელმწიფოსი, რომელიც, წლებია, წარმოაჩენს თავის უუნარობას, დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვას განსაკუთრებით სახიფათო შეშლილებს.**

თუმცა თვით პანიკიორობაში სპეციფიკურად უკრაინული არაფერია. პანიკა შეიძლება შექმნას ნებისმიერმა ადამიანმა. პანიკა ემყარება რაღაც ბიოლოგიურ ინსტინქტებს — როგორც ბალახისმჭამელთა ფარა ადგილიდან მოსწყდება და იფანტება, როცა მათგან რომელიმე დაინახავს მტაცებელს და დანარჩენებს სიგნალს გაუგზავნის ამის შესახებ. **ბალახისმჭამელები ვერ აანალიზებენ ინფორმაციას, ვერ გამოიმუშავებენ საუკეთესო სტრატეგიას და არც სჭირდებათ. სადღაც უნდა გაიქცნენ თავქუდმოგლეჯით, რადგან მათ, ვინც ფიქრობს, შეჭამენ.**

ეს საკმაოდ მიზანშეწონილი საქციელია, თუ თქვენ ბალახს მიირთმევთ სადღაც აფრიკულ სავანაში, მაგრამ ქალაქში მცხოვრებთათვის ეს საკმაოდ მოძველებულია. მიუხედავად ამისა, სახელდობრ, ეს პანიკური რეაქცია „გამოხტება“ ხოლმე, როდესაც ადამიანები იღებენ სიგნალს, რომ მათ სერიოზული საფრთხე ემუქრებათ.

**როდესაც ადამიანს აქვს საკუთარი თავის პატივისცემა, ის უარს ამბობს, დაემორჩილოს პანიკას: მე არ მივაწყდები აქეთ-იქით, როგორც თავმოჭრილი ქათამი, მე მაქვს ღირსება და თავს არ შევირცხვენ. ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი თავის პატივისცემა, იოლად აკეთებს ისეთ რაღაცას, რაც შეუთავსებელია ღირსებასთან და, უბრალოდ, ვერ აცნობიერებს, რა საშინლად იმცირებს თავს**



**ორგანიზმის უნარი, ებრძოლოს ვირუსს, დამოკიდებულია მის იმუნიტეტზე, ხოლო ადამიანის (და საზოგადოების) უნარი, დაუპირისპირდეს ფსიქოლოგიურ დასნებოვნებას — მის მიზანდასახულობასა და ფასეულობებზე.**

საკუთრივ, ნებისმიერი ხიფათი, ისევე, როგორც ნებისმიერი გამოწვევა, გვაიძულებს, დავფიქრდეთ ფასეულობებზე — საიდან გამომდინარე და როგორ ვაპირებთ ვითარებაზე რეაგირებას? რას უნდა დავეყრდნოთ?

უწინარესად, ჩვენ გვაქვს ისეთი რაღაცები, რომელთა დაკარგვაც არ გვსურს — **ღირსება, თვითპატივისცემა, სხვა ადამიანების პატივისცემა.** ადამიანებს, რომლებიც ბოთლებსა და ქვებს ესროდნენ ნოვიე სანჟარიში ევაკუირებულთა ავტობუსებს ან მათ, ვინც კიბოთი დაავადებული ბავშვის ოჯახის გასახლებას ითხოვდა მოსკოვში, ერთი და იგივე სიმპტომი აქვთ — **საკუთარი თავის უპატივცემულობა.** პანიკის შეტევა შეიძლება დაემართოს ნებისმიერს — ეს ბიოლოგიაა. **მაგრამ, როდესაც ადამიანს აქვს საკუთარი თავის პატივისცემა, ის უარს ამბობს, დაემორჩილოს პანიკას: მე არ მივაწყდები აქეთ-იქით, როგორც თავმოჭრილი ქათამი, მე მაქვს ღირსება და თავს არ შევირცხვენ. ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი თავის პატივისცემა, იოლად აკეთებს ისეთ რაღაცას, რაც შეუთავსებელია ღირსებასთან და, უბრალოდ, ვერ აცნობიერებს, რა საშინლად იმცირებს თავს.**

სიკვდილის შორეული და გაურკვეველი პერსპექტივა უღირსებო ადამიანს არარაობად აქცევს, რაც გარშემო მყოფთა ზიზღს იწვევს და მასშიც ზიზღს გამოიწვევდა, სალად რომ შეეხედა საგნებისა და მოვლენებისთვის.

საკუთარი თავის პატივისცემა გამომდინარეობს იქიდან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოქმედებდე, როგორც პატიოსანი, გაბედული, კეთილი ადამიანი და არა ისე, რომ ყველაფერს კადრულობდე ხიფათის თავიდან ასაცილებლად, თანაც პანიკით შეპყრობილი ადამიანი თავიდან ვერაფერს აიცილებს. ვირუსი არ არის ხულიგანი, რომლის დარტყმების ასაცილებლად უნდა შეეცადო მორჩილის პოზის მიღებას და დამცირებას. **საკუთარი თავის უპატივცემულობა არ ამაღლებს იმუნიტეტს — უფრო პირიქით.**

**მეორე,** რაც უნდა გავიხსენოთ, ეს არის **საღი აზრი.** მედიკოსების ინფორმაციით, დაავადების შემთხვევათა 80,9% მსუბუქი ან ზომიერი სიმძიმის სიმპტომებით მიმდინარეობს. მძიმე შემთხვევები 13,8%-ია და მხოლოდ 4,7%-ია კრიტიკული. სიკვდილიანობა მერყეობს ინფიცირებულთა რაოდენობის 2-დან 3%-მდე, მათი უმრავლესობა სუსტი ჯანმრთელობის მქონე ხანდაზმული ადამიანები არიან. კიდეც რომ დაავადდეთ, გამოჯანმრთელების საკმაოდ კარგი შანსი გაქვთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დროულად მიმართავთ სამედიცინო დახმარებისთვის. 2 კვირის განმავლობაში იზოლაციაში ყოფნა უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ეს სასიკვდილო არ არის. **როგორც პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებმა, რომლებიც ზრუნავენ ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჩვენ უნდა მივიღოთ უსაფრთხოების ყველა ზომა, რათა დავიცვათ ხანდაზმული და სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანები, მაგრამ ჩვენ სრულიად არ გვაქვს ანდერძის დაწერის მიზეზი.**

**მესამე** — და ეს დაკავშირებულია საღ აზრთან — არ უნდა მივაწეროთ ხელისუფლებას (ან ექიმებს), რომ მათ განზრახული აქვთ, ყველა გამოასალმონ სიცოცხლეს.

ასეთ ბოდვას სწრაფად ავრცელებენ მსგავს ვითარებაში — როგორც მოხდა იმავე ნოვიე სანჟარიში. **ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში იმსახურებს უფრო მეტ ნდობას, ვიდრე კონსპიროლოგიური თეორიებისა და პანიკური ჭორების გამავრცელებლები.**

რა თქმა უნდა, ყველგან შეიძლება იყოს დაშვებული შეცდომა და არაკომპეტენტურობა, მაგრამ ამჟამად კორონავირუსთან საბრძოლველად საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგროვდა, სხვადასხვა ქვეყნის მედიკოსები მას ერთმანეთს უზიარებენ. როგორც იმ შემთხვევებში ხდება, როცა სამედიცინო დახმარებისთვის მივმართავთ, ჩვენ უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ მედიცინის სპეციალისტები კომპეტენტური და კეთილგანწყობილი ადამიანები არიან და იციან, რასაც აკეთებენ.

**მეოთხე** — უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ყველაზე საშინელი ომები და ეპიდემიებიც კი ვერ აუარესებენ სიკვდილიანობის საბოლოო სტატისტიკას. ყოველი 100 ადამიანიდან, საბოლოო ჯამში, კვდება ასივე. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების უმრავლესობა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით მოკვდება, მეორე ადგილზეა — კიბო. გაცილებით მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, კვება და მავნე ჩვევების მოშორება, ვიდრე კორონავირუსის შიში.

ჩვენ, ყველანი, საბოლოო ჯამში, მოვკვდებით. **სიკვდილისგან ვერაფერი გვიხსნის და, მით უმეტეს, ვერ გვიხსნის ამორალური და უპატიოსნო საქციელი ხიფათის წინაშე. ინტერნეტში გავრცელებული პანიკური ჭორების აყოლა, მით უმეტეს, გავრცელება ინფექციისთვის ხელის შეწყობას ნიშნავს. სიკვდილის დამარცხება რწმენით არის შესაძლებელი, აგრეთვე, მზადყოფნით, აღასრულო შენი ვალი, ამქვეყნიდან ჩვენი წაყვანა კი ღმერთს მივანდოთ, ის გადაწყვეტს, როდის და როგორ.**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული სერგეი ხუდიევის წერილის მიხედვით გვერდები მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მეტისმეტმა მხარდაჭერამ სააკაშვილი უფრო გააგიჟა და თავისი სიგიჟით ჰიტლერიც კი უკან ჩამოიტოვა. „ყველანი ციხეში!“ — ტრიბუნაზე შეშლილი სახით იდგა და კოშმარული სიზმრის გმირს ჰგავდა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში განათლების ნგრევის პროგრამას მინისტრადწოდებული სანტექნიკოსი კახა ლომაია ახორციელებდა, მსოფლიოში ვაზისა და ღვინის სამშობლოდ აღიარებულ საქართველოში ვიღაც შადმან ვალავი ვაზის აჩეხვაში ფულს იძლეოდა, ლაითურის ჩაის მეურნეობაში კი, სადაც ყველა სამუშაო 100%-ით მექანიზირებული იყო, ჩაის პლანტაციებს ბენზინს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ.**

# სტალინი და თანამედროვე ქართული სახელმწიფო

**ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, დღემდე ვერ შედგა. ეროვნულ მუხტზე მოსული ხელისუფლება, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, დღემოკლე გამოდგა და ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან მიტინგებიდან კაბინეტებში შესული ხალხი, ბუნებრივია, ქვეყნის მართვის რთულ მექანიზმს სწრაფად ვერ დაეუფლებოდა. ამას გარდა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას აკლდა ის ძირითადი რამ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.**

ქვეყნის მართვის სათავეში მობრუნებული **ედუარდ შევარდნაძე** თავისი ინსტინქტითა და ცხოვრების განვლილი გზის დიდი გამოცდილებით უდავოდ ძლიერი შემსრულებელი და პასუხისმგებლობის პრინციპული დამცველი გახლდათ. ის ფლობდა სოციალისტური საქართველოს მართვის ხერხებსა და მეთოდებს, ამასთანავე, მას იფარავდა და მის უსაფრთხოებას იცავდა ძლევამოსილი წითელი დროშა.

საკავშირო მთავრობაში შევარდნაძის გაბრწყინება ეჭვგარეშეა, მის ნიჭზეც იყო დამოკიდებული, მაგრამ წარმატების მთავარი არგუმენტი რაღაცის შეცვლა იყო. მუდამ მოღუშული **ანდრეი გრომიკოს** შემდეგ ღიმილიანი და იუმორით სავსე შევარდნაძე სრულიად ახალი ანეკდოტი გახლდათ იმ დახავსებულ ანეკდოტებს შორის, რომლებზეც უკვე აღარავის ეცინებოდა.

დამოუკიდებელი პატარა ქვეყნის პირველკაცობა კი შევარდნაძისთვის ძნელი აღმოჩნდა, ზვიად გამსახურდიას მმართველობის შედეგები არაფრით განსხვავდება შევარდნაძის ბალანსირებული და ორსახოვანი ხელმძღვანელობის შედეგებისგან. მათ ერთი და იგივე შეცდომები დაუშვეს თავიანთი ცოდნიდან თუ უცოდინარობიდან გამომდინარე. რაც შეეხება **სააკაშვილის** ხელისუფლებას, შემადგენლობით ის ფაშიზმის იდენტურია, თვითონ კი ფიურერს ჰგავს იმ განსხვავებით, რომ **ჰიტლერი** ჭკვიანი იყო, მისი მთავრობა კი — გონიერი ადამიანებით სავსე.

რა აახლოებს და აშორებს ამ ორ ძალას ერთმანეთისგან?

ჰიტლერი ანგლოსაქსებმა შექმნეს, როგორც **უსამა ბინ ლადენი.** ანგლოსაქსების დაინტერესება ჰიტლერით იმან გამოიწვია, რომ რუსი და გერმანელი ხალხების ისტორიულ და ხანგრძლივ მეგობრობას არ გამოეწვია ორი გიგანტის — **სტალინისა** და **ჰიტლერის** გაერთიანება და დამეგობრება, რომლის წინაშეც უსუსური იქნებოდა სრულიად მსოფლიო. პირველი შიში ანგლოსაქსებს განაცდევინა „ავრორას“ გასროლამ, რუსეთი არა ლენინისა და ტროცკის, არამედ სტალინის გზას დაადგა. შეშინებულმა მსოფლიომ შექმნა ანტანტა, რომელსაც ჩერჩილმა შესაფერისი სახელი შეარქვა — „თორმეტთა შემოსევა“.

ინტერვენცია, რომელიც შემდგომ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, წარმატებით დასრულდა. რუსეთი დადგა „ვით გოდოლი შეურყეველი“ (ლ. ასათიანი).

**1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალსოციალისტების მოსვლის შემდეგ გერმანია-რუსეთის მეგობრობა უფრო განმტკიცდა. სწორედ ამ მომენტიდან იწყებენ ანგლოსაქსები კაციჭამია ვირთხების გამოყვანას.**

სააკაშვილმა ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების გზით მოიპოვა, რამაც ხალხში შემზარავი შიში გააჩინა. მისი მჭექარე, გაბედული გამოსვლები მოწმობდა, რომ ქვეყანაში ახალი ძალა წამოვიდა. პრეზიდენტ შევარდნაძის კორტეჟის არგატარება, მისი თაბაშირის ფიტულის გადმოგდება თბილისის მერიის მესამე სართულიდან და ქვაფენილზე ფიტულის დანაწევრებული ნაწილების ხალხის მიერ დატაცება არ იყო კუდიანი ვარსკვლავის ნამოქმედარი, მის უკან უდიდესი ძალა იდგა, ისეთი ძალა, როგორიც ჰიტლერს ედგა უკან, როდესაც მან ქვეყანა მარშით შემოიარა და ყველა ბუფერულ სახელმწიფოს თოფი აალებინა ხელში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1943 წელს, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდნენ პატრონები, რომ მათმა ფავორიტმა ჩაისვარა სტალინგრადთან, თვითონაც წიხლით შედგნენ, გასრისეს და მიწასთან გაასწორეს თავიანთი აღზრდილი.

**ანგლოსაქსებმა ზვიად გამსახურდია მამის რომანებიდან ვერ გამოიყვანეს, ატომის ეპოქაში გვიანფეოდალური ხანის უფლისწულის მიერ ქვეყნის მართვა სრულიად მიუღებლად მიიჩნიეს და გააქრეს. ბევრის მნახველ და ბევრი როლის შემსრულებელ შევარდნაძეს ვერ გაარისკვინეს რუსეთთან შებრძოლება, ბევრი უჩიჩინეს: სტალინის მიერ აშენებული ქვეყანა ისევ სტალინის სისხლმა და ხორცმა უნდა დაანგრიოსო... რუსეთი კი დაინგრა, მაგრამ საქართველოს ამით არაფერი ეშველა, პირიქით — დაიქცა და გაპარტახდა, მოთამაშე პრეზიდენტი კი თამაშგარეში დარჩა.**

მეტისმეტმა მხარდაჭერამ სააკაშვილი უფრო გააგიჟა და თავისი სიგიჟით ჰიტლერიც კი უკან ჩამოიტოვა. „ყველანი ციხეში!“ — ტრიბუნაზე შეშლილი სახით იდგა და კოშმარული სიზმრის გმირს ჰგავდა. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში განათლების ნგრევის პროგრამას მინისტრადწოდებული სანტექნიკოსი **კახა ლომაია** ახორციელებდა, მსოფლიოში ვაზისა და ღვინის სამშობლოდ აღიარებულ საქართველოში ვიღაც **შადმან ვალავი** ვაზის აჩეხვაში ფულს იძლეოდა, ლაითურის ჩაის მეურნეობაში კი, სადაც ყველა სამუშაო 100%-ით მექანიზირებული იყო, ჩაის პლანტაციებს ბენზინს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ.

საერთოდ, როგორ ვართ, თუკი ამას ყოფნა ჰქვია.

და ვიღაც დამთხვეული დღეს კვლავ ცდილობს ხალხის გაბრიყვებასა და ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ხევსური სახალხო მთქმელი **ივანე წიკლაური**, რომლის სიბრძნეს ვერ შესწვდება ბევრი ჩვენი სახელმოხვეჭილი მელექსე, თავის ერთ ლექსში „რამ დამაბერა?“ წერს:


სტალინი


ზვიად გამსახურდია


ედუარდ შევარდნაძე


მიხეილ სააკაშვილი


ბიძინა ივანიშვილი

**„რამ დამაბერა? — ცუდი ცხოვრების წასვლამ და არ მოსვლამ უკეთისამან“.**

ახლა კი დღევანდელი ხელისუფლების შესახებ.

ბატონო ბიძინა! ვინ ამბობს, რომ თქვენ უკეთესი არ ხართ წასულ ხელისუფლებაზე? — უკეთესი ხართ, გაცილებით უკეთესი, მაგრამ ის არ ხართ, ვინც უნდა იყოთ. თქვენ სახელმწიფოს ვერ აშენებთ, რადგან ეგ საქმე არ იცით, ამ საქმეზე არ გიმუშავიათ.

თქვენ, ბატონო ბიძინა, ახლობლები და კარგის მსურველები აიძულეთ, თქვენი მტრის გვერდით დამსხდარიყვნენ, თქვენ საწინააღმდეგოდ. არ გეგონოთ, ნიშნის მოგებით ვწერდე. მე თქვენ გვერდით ვიქნები და ვიბრძოლებ, სანამ უკანასკნელი ნაციონალი იბოგინებს ქვეყანაში.

ახლა კი უნდა მოგახსენოთ, როგორ წარმოედგინა სტალინს სახელმწიფო და მისი სტრუქტურა:

„სახელმწიფოს ძირითად საკითხს წარმოადგენს ძალაუფლების საკითხი.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქმე განისაზღვრება ან ძალაუფლების აღებით, ან მისი მოპოვებით? არა, არ ნიშნავს. ძალაუფლების მოპოვება — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. დამხობილი ხელისუფლება, მრავალი მიზეზის გამო, კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელზე ძლიერი, ამიტომ საქმე ისაა, რომ შენარჩუნებულ იქნას ძალაუფლება, განმტკიცდეს იგი და გახდეს უძლეველი. რა არის საჭირო, რომ მიღწეულ იქნას ეს მიზანი? ამისათვის აუცილებელია შესრულდეს სამი ძირითადი ამოცანა, რომლებიც გამარჯვებულის წინაშე დგას „მეორე დღესვე“:

**I.** დაითრგუნოს დამნაშავე ხელისუფლების ყოველგვარი ცდა ძალაუფლების დასაბრუნებლად;

**II.** დაიწყოს მშენებლობა საზოგადოების შესაკავშირებლად და მუშაობა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ აღიკვეთოს ყველა მცდელობა დაშვებული შეცდომების კვლავ გამეორებისათვის;

**III. ფორმაციიდან ფორმაციაზე გადასვლა — ეს არ არის ხანმოკლე პერიოდში გასავლელი გზა, ეს ხანგრძლივ და მტკიცე ხასიათის თანმიმდევრულ შრომასა და ბრძოლას მოითხოვს და, სანამ არ დასრულდება, დამარცხებულს ყოველთვის აქვს რევანშის სურვილი. პირველი სერიოზული მარცხის შემდეგ, დამხობილი ხელისუფლება, რომელიც არ ელოდა დამარცხებას და რომელსაც არ სჯეროდა და აზრადაც არ მოსდიოდა, გაათკეცებული ენერგიით, გახელებით, გაასკეცებული სიძულვილით ებმება ბრძოლაში წართმეული „სამოთხის“ დასაბრუნებლად თავისი ოჯახებისთვის, რომლებიც ასე ტკბილად ცხოვრობდნენ, ახლა კი „არამზადა მდაბიო ხალხი“ უქადის განადგურებას. დიახ, მათ შეუძლიათ, დაუბრუნდნენ თავიანთ სამოთხეს, ვინაიდან დამხობის შემდეგ იგი კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელზე უფრო ძლიერი.**

რა არის დამხობილი ხელისუფლების ძლიერების წყარო?

**1.** საერთაშორისო კაპიტალი, რომელშიც დიდია დამხობილი ხელისუფლების წილი;

**2.** დამხობის შემდეგ კიდევ დიდხანს რჩება მრავალი ფაქტობრივი უპირატესობა: მათ რჩებათ ფული (ფულის მოსპობა ერთბაშად შეუძლებელია), მოძრავი ქონება, ხშირად მნიშვნელოვანიც: ურთიერთკავშირი, ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის გამოცდილება, მართვა-გამგეობის „ყველა საიდუმლოებათა“ (ჩვეულებების, ხერხების, საშუალებების შესაძლებლობა) ცოდნა; უფრო მაღალი განათლება, კავშირი ტექნიკურად უფრო მაღალ პერსონებთან, კავშირი სამხედროებთან და მაღალ წრეებთან;

**3. ბოლოს სტალინი მარქსს იმოწმებს და ამბობს; „თქვენ უნდა გადაიტანოთ სამოქალაქო ომისა და საერთაშორისო ბრძოლების 15-20-50 წელიწადი, არა მხოლოდ იმისათვის, რომ არსებული ურთიერთობა შეცვალოთ, არამედ იმისთვის, რომ თვითონაც გარდაიქმნათ და გახდეთ პოლიტიკური ბატონობის უნარის მქონენი“.**

**„სახელმწიფო არის მანქანა, გაბატონებული კაცის ხელში თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დასათრგუნავად“, — ასკვნის სტალინი.**

ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც.

იარაღის ერთი ძალიან საინტერესო ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ რუსეთის თანამედროვე ისტორიის მუზეუმში. იქ ინახება ხანჯალი-რევოლვერი ტალღოვანი პირით. გვერდით არსებული წარწერის მიხედვით, იარაღი შექმნილია ამერიკელი მუშების მიერ და ის აჩუქეს სტალინს. მონაცემები იმის შესახებ, სად, ვინ და კონკრეტულად როდის შექმნა ასეთი უჩვეულო საჩუქარი, არ არსებობს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საჩუქარი ბელადისთვის: ხანჯალ-პისტოლეტი, რომელიც ამერიკელმა ებრაელმა მუშებმა სტალინს აჩუქეს

**იარაღი — ეს ყველაზე გავრცელებული საჩუქარია იმ ადამიანებისთვის, რომელთა ხელშიც კონცენტრირებულია ძალაუფლება. 1944 წელს ამერიკელმა მუშებმა საბჭოთა კავშირის ბელადს ძალიან უჩვეულო ხანჯალი-რევოლვერი აჩუქეს. ოკეანისგაღმელმა მოკავშირეებმა საჩუქარი დაუკავშირეს ნაცისტურ გერმანიაზე მომავალ გამარჯვებას.**



ოსტატებს ყოველთვის, ყველა პერიოდში სურდათ, რომ იარაღი რაც შეიძლება უნივერსალური ყოფილიყო. ეს საკითხი ცეცხლსასროლი იარაღის ეპოქის დაწყებისთანავე დადგა დღის წესრიგში, თანაც ძალიან მწვავედ.

ასეთი „შემოქმედების" ნათელი მაგალითია ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ჰიბრიდი-ნიმუშების შექმნა. რა თქმა უნდა, ასეთი ნიმუშები, ხშირად ძალიან რთული, გამოდიოდა საწარმოებლად და ექსპლუატაციისთვის, მაგრამ ამას არ დაუცხრია კონსტრუქტორების ლტოლვა ასეთი ნიმუშების შექმნისკენ.

ასეთი **იარაღის ერთი ძალიან საინტერესო ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ რუსეთის თანამედროვე ისტორიის მუზეუმში. იქ ინახება ხანჯალი-რევოლვერი ტალღოვანი პირით. გვერდით არსებული წარწერის მიხედვით, იარაღი შექმნილია ამერიკელი მუშების მიერ და ის აჩუქეს სტალინს. მონაცემები იმის შესახებ, სად, ვინ და კონკრეტულად როდის შექმნა ასეთი უჩვეულო საჩუქარი, არ არსებობს.**

ხანჯლის სიგრძე 410 მმ-ია, თვითონ ხანჯლის პირის სიგრძე კი 276 მმ-ს შეადგენს. ვადასთან ხანჯალი სქელია, თვითონ ვადა (ტარი) გაკეთებულია ხისგან და დაფარულია ლაკით. დოლურაზე შეამჩნევთ 4 ნახვრეტს.

ვადის ბოლოში არის რგოლი ტყავის პატარა ქამრით. სინამდვილეში ეს იარაღი არ არის რევოლვერი. ეს არის სწორლულიანი პისტოლეტი. დასარტყამ-გამშვები მექანიზმი მოთავსებულია ხანჯლის ვადაში, რომელიც სროლისას ბრუნავს.

**ხანჯალ-პისტოლეტის დიზაინი ისეა შესრულებული, რომ კონსტრუქციის არასწორად აწყობა შეუძლებელია. იარაღში იდება ვაზნა 32SW. ეს კლასიკური ამერიკული ვაზნაა, რომელიც შეესაბამება ევროპულ 7,62 მმ-იანს. პისტოლეტს არ აქვს ჩახმახის შესაყენებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღში ვაზნის ჩადების შემდეგ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. ამ ყველაფრით ჩანს, რომ ეს იარაღი არა პრაქტიკული საგანი, არამედ მხოლოდ ძვირფასი საჩუქარია.**

ხანჯლის ერთ ნაწილზე, რომელიც ლულას ერწყმის, არის წარწერა: **„To Marshal Yosef Stalin / may ist 1944"** („მარშალ იოსებ სტალინს / 1-ელი მაისი, 1944 წ"), იარაღის დაშლისას შეძლებთ, ნახოთ კიდევ ერთი გზავნილი საჩუქრის ავტორებისგან: **„With love and respect / from J.A. Meyers and Jim Compana / Los Angeles, California "** („სიყვარულითა და პატივისცემით ჯ. ა. მაიერისა და ჯიმ კომპანასგან, ლოს-ანჯელესი, კალიფორნია"). იარაღზე ნახავთ, აგრეთვე, ლენინის პორტრეტსა და სსრკ-ის გერბს (სხვათა შორის, ის შესრულებულია შეცდომებით).

კიდევ ერთ საინტერესო დეტალად ითვლება გერბის ლენტებზე იდიშზე, ძველ ებრაულ ენაზე, შესრულებული წარწერა: **ყველა ხალხის ბედნიერებისთვის!**






**ხანჯალ-პისტოლეტის დიზაინი ისეა შესრულებული, რომ კონსტრუქციის არასწორად აწყობა შეუძლებელია. იარაღში იდება ვაზნა 32SW. ეს კლასიკური ამერიკული ვაზნაა, რომელიც შეესაბამება ევროპულ 7,62 მმ-იანს. პისტოლეტს არ აქვს ჩახმახის შესაყენებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღში ვაზნის ჩადების შემდეგ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. ამ ყველაფრით ჩანს, რომ ეს იარაღი არა პრაქტიკული საგანი, არამედ მხოლოდ ძვირფასი სასაჩუქრე ნივთია**










მეზობელი ქარისათ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იდლიბში ჩამოყალიბებული ვითარება, იმითაა, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ დაფიქსირდა სასაზღვრო ხაზი, რომელიც რუკაზე დატანილი წარმოადგინა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ და რომელიც ასახავს მხარეთა დღევანდელ პოზიციებს.**



# მტერმოყვრობა ერდოღანთან ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს

**ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ პუტინმა და ერდოღანმა მოსკოვში გამართეს მოლაპარაკება სირიის პროვინცია იდლიბში ვითარების გამწვავების თაობაზე. მოლაპარაკება, საერთო ჯამში, 5 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. პრეზიდენტები სამი საათის განმავლობაში პირისპირ საუბრობდნენ.**
**ამ შეხვედრის მთავარი შედეგი კონფლიქტის რაიონში ცეცხლის შეწყვეტა იყო. შეთანხმდნენ ერთობლივი პატრულირების რეჟიმზეც.**
**პუტინი-ერდოღანის შეხვედრა ექსპერტებმა შეაფასეს OPT-ის ტრადიციულ პროგრამაში „დიდი თამაში", რომელიც გახსნა თოქშოუს ამერიკელმა წამყვანმა, პოლიტოლოგმა და ისტორიკოსმა დიმიტრი საიმსმა. ტელეპროგრამის საგაზეთო ვერსიას გთავაზობთ დღეს.**

## მდგომარეობა განიმუხტა

დროებითი ზავი, რომელიც შეთანხმების შედეგად დამყარდა, მყიფეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მხარეთა სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც უმეტესად ურთიერთშეუთავსებელია, უცვლელი დარჩა.

დაზავებაც ამიტომაა დროებითი. ტაქტიკური ნაბიჯია.

**თურქეთი კვლავ დაინტერესებულია ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დესტაბილიზაციით, ამიტომ კვლავაც მხარს დაუჭერს „სირიის გათავისუფლების ძალებს". რუსეთი სირიის არსებული ხელისუფლების მომხრე რჩება.**

ეს ერთი და ძირითადი. და მეორე, თანმდევი, მაგრამ მნიშვნელოვანი: უცვლელია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც თურქეთისა და რუსეთის კონფრონტაციის გაგრძელებით არის დაინტერესებული. ეს დამტკიცდა იმითაც, რომ, **როცა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეეცადნენ, მიეღოთ განცხადება პრესისთვის იმ შეთანხმებათა მხარდასაჭერად, რომლებსაც პუტინმა და ერდოღანმა მიაღწიეს, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამის წინააღმდეგ გამოვიდა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები.**

არგუმენტი?

თურქეთს აქვს თავდაცვის უფლება სირიის ტერიტორიაზე (!). უცნაური არგუმენტია იმ ფონზე, როცა ორი ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ სირიის ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე.

სუვერენულ სახელმწიფოში სხვა ქვეყნის თავდაცვაზე ლაპარაკი სრული აბსურდია.

მაგრამ ლაპარაკობენ.

შევეცადოთ, გავშიფროთ: სირიის სუვერენიტეტი ვრცელდება არა მხოლოდ იდლიბზე, არამედ მის აღმოსავლეთ რეგიონებზე, სადაც ამჟამად იმყოფება აშშ-ის ჯარები.

ამ ჯარების დაცვაზეა უთუოდ ლაპარაკი, მაგრამ რამდენად კანონიერია მათი იქ ყოფნა? მოცემულ სიტუაციაში ეს მეორეხარისხოვანი საკითხია.

ასეა თუ ისე, შეთანხმება რუსეთსა და თურქეთს შორის მიღწეულია. როგორ აფასებს ამ აქტს ვაშინგტონი?

**ამერიკელი ექსპერტის აზრით, ეს შეთანხმება დროებითი დაზავებაა და არა სამშვიდობო ხელშეკრულება, მაგრამ, რაც არის, კარგია, რადგან კონფლიქტი დიდ ომში არ გადაიზარდა.**

ომი არ იქნება.

ეს ხელს აძლევს აშშ-ის ადმინისტრაციას, რადგან მას არ მოუწევს რადიკალური ღონისძიებების განხორციელება მოკავშირე თურქეთის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ისინი (ერდოღანის მოთხოვნები) ტრამპის ადმინისტრაციის მიერ პრაქტიკულად იგნორირებული იქნებოდა.

ამასთანავე: როცა თურქეთმა აღიარა სირიის, მისი მთავრობის სუვერენიტეტი, იქვე დასძინა, რომ ინარჩუნებს უფლებას, განახორციელოს დარტყმები სირიაზე, თუ იგი (სირია) რაიმეს მოიმოქმედებს თავის ტერიტორიაზე ტერორისტების წინააღმდეგ.

ასეთი ჩახვეულ-ჩახლართული ფორმულირებები სუბიექტური განსჯის საშუალებას და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პრაქტიკული ქმედების საშუალებას იძლევა.

დროებითი დაზავების გარდა კიდევ რა შედეგი მოიტანა პუტინი-ერდოღანის მოლაპარაკებამ?

## გვეშინოდეს მშვიდობის?

ჟურნალ Арсенал отечества-ს მთავარი რედაქტორის, ცნობილი სამხედრო ექსპერტის — **ვიქტორ მურახოვსკის** აზრით, **იდლიბში შექმნილი ვითარება იმითაა, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ დაფიქსირდა სასაზღვრო ხაზი, რომელიც რუკაზე დატანილი წარმოადგინა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ და რომელიც ასახავს მხარეთა დღევანდელ პოზიციებს, სტატუს კვოს.**

მან გაიხსენა, რომ თურქეთის მხარე რუსეთ-თურქეთის ექსპერტებისა და სპეციალისტების წინასწარი მოლაპარაკების რაუნდების დროს მოითხოვდა სირიის ჯარების გაყვანას 2018 წლის სექტემბრისთვის დაკავებულ პოზიციებზე, როცა გაფორმდა სოჭის მემორანდუმი რუსეთსა და თურქეთს შორის.

**ცეცხლის შეწყვეტა ამ ექსპერტმა მოსკოვის მოლაპარაკების მეორე მნიშვნელოვან შედეგად მიიჩნია.** ხაზი გაუსვა, რომ კონფლიქტის დროს რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების შენაერთებსა და თურქეთის არმიას ერთმანეთის ობიექტები არ დაუბომბავთ.

ამავე დროს, არც სოჭის შეთანხმება, არც მოსკოვის ოქმი არ კრძალავს ტერორიზმთან ბრძოლას და დარტყმის მიყენებას ტერორისტული ფორმირებებისთვის, რომლებიც დარჩნენ იდლიბში. ჰაიათ ტახრირ აშ-შამის დაჯგუფება თურქეთის მიერაც ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული, მაგრამ ამ კონფლიქტურ სიტუაციაში თურქეთი თავისი არტილერიის ცეცხლით ეხმარებოდა აღნიშნულ დაჯგუფებას. მადლობა ღმერთს, ცეცხლი უკვე შეწყვეტილია და მხოლოდ ზოგჯერ სპორადულად განახლდება.



> **როცა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეეცადნენ, მიეღოთ განცხადება პრესისთვის იმ შეთანხმებათა მხარდასაჭერად, რომლებსაც პუტინმა და ერდოღანმა მიაღწიეს, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამის წინააღმდეგ გამოვიდა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები**



მშვიდობიან მოსახლეობას აღარავინ ესვრის.

**მესამე მიღწევა მოსკოვის ხელშეკრულებისა არის მშვიდობიანი დერეფნის შექმნა M-4 და M-5 გზატკეცილების გაყოლებით: უზრუნველყოფილია ადამიანების უსაფრთხო გადაადგილება ლატაკიიდან ალეპოში და ა.შ.** ამოქმედდა სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არტერიები. ხელმისაწვდომი გახდა ლატაკიისა და ტარტუსის ნავსადგურები, რომლებსაც ალეპო ვერ უკავშირდებოდა.

მოსკოვის შეთანხმება, რა თქმა უნდა, არ არის საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულება. ჰაიათ ტახრირ აშ-შამის მოთარეშეები დარჩენილი არიან პროვინციის ტერიტორიაზე და ამჟამად საკითხი დგას, შეუძლია თუ არა თურქეთს, იქონიოს მათზე ზეგავლენა მოსკოვის შეთანხმების განსახორციელებლად.

— არადა, სწორედ ეს არის მთავარი საკითხი, — ამბობს **ვიაჩესლავ ნიკონოვი,** პროგრამის წამყვანი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, — შეუძლია თუ არა თურქეთს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, უწინარეს ყოვლისა, იმ ტერორისტულ ჯგუფებზე ზემოქმედების კუთხით, რომლებიც ამჟამად იდლიბში არიან დარჩენილი.

სიტუაცია იქ რთულია და მწვავე, რადგან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, გენერალ **კონაშენკოვის** განცხადებით, განხორციელდა ტერორისტების გამაგრებული რაიონებისა და თურქეთის სათვალთვალო საგუშაგოების შეზრდა. მეზობელ დასახლებულ პუნქტებსა და რუსეთის ავიაბაზა „ჰმეიმინზე" მასირებული საარტილერიო თავდასხმები სპორადულიდან ყოველდღიურ შეტევად იქცა. რეგიონში დამატებით შეიყვანეს მექანიზებული დივიზია.

და აქვე დადგა საკითხი: **აქვს კი თურქეთს უნარი, შეებრძოლოს ტერორიზმს თუ მხოლოდ მისი მხარდაჭერა შეუძლია?**

**უფრო მეტიც — სურს თუ არა?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თურქეთის მიზანდასახულობაში გარკვევა არის საჭირო. რისი გაკეთებაც რთულია.

**სირიაში არის დაჯგუფებები, რომლებიც იბრძვიან ასადის წინააღმდეგ. თურქეთი მათ მხარს უჭერს და ეს ლამის თავის კანონიერ უფლებად მიაჩნია, ამიტომ თურქეთის ინტერესი, რომელსაც იგი სათავისოდ აყალიბებს და იდლიბის პროვინციის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დათრევაში გამოიხატება, ძალაში დარჩება.**

## ერდოღანს პუტინის იმედი აქვს

შემდეგი შეკითხვა: შეძლებენ კი თურქები, გავლენა მოახდინონ ყველაზე უფრო რადიკალურ ძალებზე? პასუხი: ბოლომდე, ალბათ, არა. იდლიბი ის ადგილია, სადაც თავი მოიყარეს სირიის სხვადასხვა პროვინციებიდან გამოდევნილმა რადიკალებმა. მათ შორის არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან წასული „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.

**გამორიცხული არ არის, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში კვლავ იქნება კრიზისული მომენტები, რომლებიც საბოლოო მიზნის მიღწევას ფრიად გაართულებს.** ახალმა სტრესულმა სიტუაციამ წარმოაჩინა, რომ რუსეთისა და თურქეთის ინტერესები მთელ რიგ საკითხებში ლამის დიამეტრალურად დაპირისპირებული და ურთიერთგამომრიცხავია. მით უფრო ღირებულია მოსკოვის მოლაპარაკების მონაწილეთა მიერ დღევანდელობის საღი შეფასება და იმ წინააღმდეგობათა მინიმიზირება, რომლებიც ხელს უშლის ვითარების ნორმალურ კალაპოტში მოქცევას.

**დიმიტრი საიმსის** ანალიზით, ვაშინგტონში თურქეთის თხოვნას დახმარების შესახებ განსხვავებულად აფასებენ. არიან ადამიანები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ბევრიც — კონგრესში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სიტუაცია მაინცდამაინც რთული არ არის. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, მას უპირისპირდება რუსეთი, რომელსაც სირიაში არაფერი ესაქმება, რადგან ასადის რეჟიმი ლეგიტიმური არ არის, დიქტატორული რეჟიმია, რომელიც დანაშაულს ჩადის. აშშ-ის პრესტიჟი, მისი, როგორც სანდო მოკავშირის სახელი დამოკიდებულია იმაზე, მხარს დაუჭერს თუ არა ვაშინგტონი ანკარას.

ადმინისტრაციაში განსხვავებული აზრიც არსებობს.

ამბობენ, რომ ერდოღანი ძალიან ვერაგი ადამიანია, რომელიც რუსეთითაც და თურქეთითაც მანიპულირებას ცდილობს, რომ მან არცთუ დიდი ხნის წინათ ამერიკის გაკრიტიკების სპეკულაციით შეძლო რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მიღება, უარს ამბობდა ნატ-



**ერდოღანს სრულად აქვს გარკვეული, რომ რუსეთის გარეშე ვერ გადაწყვეტს ქურთების საკითხს, რომელიც სულაც არ არის მეორეხარისხოვანი მის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ სირიის, ერაყისა და თურქეთის ქურთები დააპირებენ თავიანთი საკუთარი სახელმწიფოს შექმნას.**

მეზობელთ კარისათ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ოსთან თანამშრომლობაზე, აცხადებდა, რომ რუსეთი მისთვის უფრო მნიშვნელოვანი მოკავშირეა და მეგობარი, ვიდრე შეერთებული შტატები; იფიცებოდა, რომ სძულს ამერიკა. ახლა კი, როცა დასჭირდა, ვაშინგტონს ფეხებში ჩაუვარდა და შეჰღაღადა: ბიჭებო, მე თქვენი მოკავშირე, აგრესიის მსხვერპლი ვარო, და ნატოს საბჭოს მოწვევა და, თურქეთის მხარდაჭერის ღონისძიებების განხილვა მოითხოვა.

ადმინისტრაციის ამ ნაწილს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ ამ ლიდერთან ურთიერთობაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ვაშინგტონისა და მოსკოვის შუბლებით შეჯახების ნება არ დართოს.

მოსკოვში ერდოღანს, როგორც რთულ პარტნიორს, ისე უყურებენ; მიიჩნევენ, რომ ეს ადამიანი თავის თამაშს თამაშობს, მაგრამ მასთან შეიძლება თანამშრომლობა, საერთო ინტერესების გამონახვა, და მაინც სანდო პარტნიორს ვერ უწოდებენ.

რეგიონში არსებული მრავალშრიანი, მწვავე ვითარების განსამუხტავად ერდოღანი აპირებდა რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელების ანკარაში მიწვევას, მაგრამ ახლა თვითონ ჩავიდა მოსკოვში, რაც ნიშნავს, რომ მას პუტინის გარეშე არ შეუძლია თავისი პრობლემების გადაწყვეტა, — ასე ფიქრობს რუსი ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და ბიზნესმენი **კონსტანტინ რემჩუკოვი.**

**ერდოღანს სრულად აქვს გარკვეული, რომ რუსეთის გარეშე ვერ გადაწყვეტს ქურთების საკითხს, რომელიც სულაც არ არის მეორეხარისხოვანი მის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ სირიის, ერაყისა და თურქეთის ქურთები დააპირებენ თავიანთი საკუთარი სახელმწიფოს შექმნას.** პუტინისა და ერდოღანის მიერ საჯაროდ განცხადებული, რომ ისინი მხარს დაუჭერენ ტერიტორიულ მთლიანობას, სწორედ ამ, შესაძლო (არცთუ უსაფუძვლო) პრობლემის მიმართ ერთობლივ და ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას გამოხატავს.

**ამერიკელები კი მხარს უჭერენ ქურთებს, რომლებიც მათი კარგი მოკავშირეები იყვნენ ტერორისტული „ისლამურ სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.**

## მრავალსახეობა ჰიბრიდული ომისა

მდგომარეობა მარტივი არ არის, მაგრამ დღის წესრიგში ამჟამად არ დგას.

იდლიბში დღეს ერთმანეთს უპირისპირდებიან სირიისა და თურქეთის შეიარაღებული ძალები. თურქეთმა ბოლო დროს აქტიურად გამოიყენა უპილოტო დამრტყმელი სისტემები და დიდი ზარალი მიაყენა სირიის ჯარებს.

საჰაერო სივრცის პრობლემა კიდევ ერთი, დამატებითი თავსატეხია.

თანამედროვე ჰიბრიდული ომის წარმოების თავისებურება ექსპერტებს საგონებელში აგდებს, ზოგჯერ იმდენად გაუგებარი და ალოგიკურია.

მაგალითად, 26 თებერვალს თურქეთმა გამოაცხადა, რომ იწყებს ოპერაცია „გაზაფხულის ფარს“ იდლიბში სირიის არაბთა რესპუბლიკის არმიის წინააღმდეგ. ამ დროს სირიის ჯარების ზურგში განლაგებული რჩება თურქეთის არმიის 16 საგუშაგო, რომლებშიც ორ ათასამდე თურქი სამხედრო იმყოფება. სირიის არმია კი მის ზურგში განლაგებულ საგუშაგოებს ხელს არ ახლებს. უფრო მეტიც, სირიის ტერიტორიაზე მშვიდობიანად და უდანაკარგოდ ატარებენ ამ საგუშაგოების სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო ტვირთს.

ამას გარდა, თურქეთის არმია თავისი მეწინავე ნაწილებით, ტაქტიკური ბატალიონებით სირიის არმიას უშუალოდ ბრძოლის ველზე არ შეჰხებია, უტევდა ძირითადად უპილოტო აპარატებით, ბომბავდა ჯავშანტექნიკასა და არტილერიას.

სირიის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები ამ დროს ქვეყნის სამხრეთში იყო თავმოყრილი ისრაელის მხრიდან თავდასხმების მოსაგერიებლად. დაახლოებით ორი დღე-ღამე დასჭირდათ ამ სისტემების ლატაკიისკენ გადასასროლად. რუსული წარმოების კომპლექსების — Бук-ის და Панцир-ის, ასევე, საბჭოთა კავშირის დროინდელი რკთ-ს ამოქმედებით სირიელებმა ორ დღეში ჩამოაგდეს 12 თურქული შემტევი უპილოტო თვითმფრინავი. შედეგად თურქეთის მხარის აქტივობა შეწყდა. დიდად აზარალეს. ცნობისთვის — უპილოტო ერთი თვითმფრინავი „ანკა“ 20 მილიონამდე დოლარი ღირს, „ბაირაქტარი“ — 8-10 მილიონი დოლარი.

თურქეთის პილოტირებულ სამხედრო ავიაციას სირიის საჰაერო სივრცე არ დაურღვევია.

კიდევ ერთი უცნაურობა: სირიის საჰაერო თავდაცვის სისტემებს, რომლებიც იდლიბის პროვინციაში იყო განლაგებული და თავის ლოკატორებზე ხედავდა, როგორ მუშაობდა თავისი ტერიტორიიდან თურქეთის ავიაცია, მის წინააღმდეგ ცეცხლი არ გაუხსნია.

## რა აქვს საერთო იდლიბის პრობლემას კორონავირუსთან?

ერთგვარად მოულოდნელი იყო დიმიტრი საიმსის მიერ კორონავირუსისა და სირიის სიტუაციას შორის მსგავსების პოვნის მცდელობა, რადგან „ისინი ერთმანეთისგან ძალიან და ძალიან განსხვავებულია“, მაგრამ, მისი აზრით, მათ რაღაც მაინც აერთიანებს:

— რბილად რომ ვთქვათ, ერთიცა და მეორეც უბრალო და მარტივი არ არის. არ იძლევა საშუალებას მივიღოთ დაუყოვნებელი და საბოლოო გადაწყვეტილებები. ორივე შემთხვევაში ვერ მიაღწევ სასურველ შედეგებს, თუ, უწინარეს ყოვლისა, არ გექნება საკუთარი თავის იმედი, არ გამოიყენებ ძალას მაშინ, როცა ამის აუცილებლობა შეიქმნება.

თანამედროვე მსოფლიოში ზესახელმწიფოები თავიანთ შესაძლებლობებს უნდა დაეყრდნონ, თავიანთი ძლიერება სრულად უნდა გამოიყენონ.

ამ ძალისხმევის ეფექტიანობა ბევრად იქნება დამოკიდებული დანარჩენი მსოფლიოს რეაგირებაზე. უწინარეს ყოვლისა, უნდა იმოქმედონ ისე, რომ შეამცირონ მწვავე რეაქცია იმ ქვეყნებისა, რომლებთან საქმის დაჭერა მათთვის სასურველი არ არის.



გამარჯვებულთა ზეიმი

**«ჩვენ ყოველთვის როდი ვეთანხმებით თურქ პარტნიორებს სირიაში მიმდინარე პროცესების შეფასებაში, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში ყოველთვის ვეყრდნობით ორმხრივ ურთიერთობაში მიღწეულ მაღალ დონეს და დღემდე ვპოულობდით შეხების წერტილებს»**



ახლა საით, ლტოლვილებო?

ასე მოხდა ამჟამად თურქეთის მიმართაც, როცა გაიმართა შესაბამისი მოლაპარაკება მოსკოვში — არსებული შესაძლებლობის პირობებში წარმატებული მოლაპარაკება, ცხადია, რუსეთის თვალთახედვიდან გამომდინარე.

პარალელურად საიმსმა მოიხმო კორონავირუსთან ბრძოლის ერთი შემთხვევა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა აშშ თითქოს დაუმატა იმ ქვეყნების სიას, რომელთა წინააღმდეგ უკვე ხორციელდება კარანტინი. ვაშინგტონში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. გაიგეს და საგონებელში ჩავარდნენ, შემდეგ კი განაცხადეს (არაოფიციალურად): თუ ასეა, თუ არ გვაცნობეს, რომ განახორციელებდნენ ასეთ ღონისძიებას, განსაკუთრებით კი, საარჩევნო კამპანიის ფონზე, ამას ამერიკის მხრიდან მოჰყვება გადაუდებელი საპასუხო ღონისძიებები. და მაშინ საჰაერო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის, ალბათ, შეწყდება. გამოცდილებით ვიცით, რომ შეწყვეტა აღდგენაზე გაცილებით მარტივია.

**საიმსი აქვე შენიშნავს, რომ აუცილებელია განსახორციელებელ ღონისძიებათა კოორდინაცია. თოკშოუს მონაწილენი ეთანხმებიან. დასძენენ, რომ ფრიად მნიშვნელოვანია აშშ-თან კოორდინაცია, მაგრამ არა სირიის პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები.**

ნიკონოვის აზრით, შეთანხმება უწინარესად აუცილებელია ევროპელებთან, თუნდაც ლტოლვილების პრობლემის თაობაზე: მოსკოვში ყოფნის დროს ერდოღანი ცდილობდა, აეხსნა, რომ მისი გადაწყვეტილებები ლტოლვილების კრიზისით იყო ნაკარნახევი.

მან თქვა:

„ლტოლვილები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ მხარეს ტოვებენ, მილიონ ნახევარზე მეტნი არიან და ჩვენს საზღვრებთან იმყოფებიან. იდლიბის რეჟიმის ძირითადი ამოცანაა, ააოხროს ეს რაიონი და თურქეთი ლტოლვილთა ახალი ტალღის პირისპირ დატოვოს. უეჭველია, რომ ასეთ ვითარებაში თურქეთი გულზე ხელს არ დაიკრეფს“.

განხილვაში მონაწილე ექსპერტებს აეჭვებთ ლტოლვილების დასახელებული რაოდენობა და, ამასთან ერთად, მიიჩნევენ, რომ ადგილნაცვალნი თურქეთის ავტობუსებით მიჰყავთ საბერძნეთის საზღვართან. სიტუაცია ძალიან ჰგავს ხელოვნურად შექმნილს, შანტაჟის „სურნელება“ ასდის.

რაც მთავარია, ლტოლვილთა ორი მესამედი სირიელები არ არიან, სხვა ქვეყნის მოქალაქეები გახლავან, რომლებიც, ჩანს, სირიაში იმყოფებოდნენ, როგორც „მოხალისე ტერორისტები“.

ასეთია რეალობა, მაგრამ ლტოლვილების პრობლემა მართლა დგას თურქეთის წინაშე. ექსპერტების შეფასებით, ბოლო წლებში 3,6 მილიონმა ლტოლვილმა აქ მოიყარა თავი. სწორედ ეს თემა პუტინის თვალში ერდოღანის ლეგიტიმიზაციას ახდენს.

მაშასადამე, თურქეთს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი ხმა სირიის კონფლიქტის გადაწყვეტაში.

რუსეთსაც აქვს თავისი პოზიცია, რომელიც თურქეთის პოზიციისგან განსხვავებულია.

## წინააღმდეგობათა მიუხედავად

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: **„ჩვენ ყოველთვის როდი ვეთანხმებით თურქ პარტნიორებს სირიაში მიმდინარე პროცესების შეფასებაში, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში ყოველთვის ვეყრდნობით ორმხრივ ურთიერთობაში მიღწეულ მაღალ დონეს და დღემდე ვპოულობდით შეხების წერტილებს წამოჭრილ სადავო საკითხებში, ვიღებდით ერთობლივ გადაწყვეტილებებს. ასე მოხდა ამჯერადაც“.**

დიმიტრი საიმსი აფართოებს ამ თემის საზღვრებს და ამბობს, რომ ძალიან კარგი კორდინაცია არსებობს სირიაში რუსეთისა და ამერიკელების სამხედროებს შორის, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა არ წარმოიქმნას სამხედრო კონფრონტაცია რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, მაგრამ, თუ რომელიმე მხარემ გადაკვეთა წითელი ხაზი, მაშინ ის, რაც ახლა თურქეთსა და სირიას შორის ხდება, ერთ შეზღუდულ ეპიზოდად წარმოჩნდება.

და ეს სიმართლეა.

**მოკლედ: ომის შესაძლო დაწყების საშიშროება, რომელიც საქართველოს სამხრეთით, არცთუ დაშორებულ რეგიონში შეიძლება რეალობად ქცეულიყო, დაზავებით დამთავრდა. სროლა შეწყდა. დაძაბულობა მოგვეხსნა. და ბრმა უნდა იყო, სმენადახშული და გონებადაჩლუნგებული, არ დაინახო, არ შეისმინო, არ ირწმუნო, რომ მშვიდობა თუ დროებითი ზავი რუსეთის აქტიური ჩარევის შედეგად დამყარდა.**

ტელეპროგრამის საგაზეთო ვერსია მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არის რაღაც შემაძრწუნებელი სიმბოლიზმი იმაში, რომ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავმა, ოსკაროსანმა ხოაკინ ფენიქსმა რამდენიმე კვირის წინათ სასაკლაოსგან იხსნა ძროხა და ხბო და ისინი სპეციალურ თავშესაფარში მიიყვანა, სადაც უზრუნველად იცხოვრებენ სიცოცხლის ბოლომდე. ამის პარალელურად მხოლოდ ნიუ-იორკის შტატში ერთ წელიწადში თავი მოიკლა დაახლოებით 100-მა ფერმერმა.**

# ამერიკელ ფერმერებს თვითმკვლელობის ტალღამ გადაუარა. უკეთესად არც ევროპელი ფერმერები არიან

**ე.წ. მესამე სამყაროსთვის დამახასიათებელი პრობლემა დღეს საშინელ ტენდენციად იქცა მდიდარი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ამერიკელ ფერმერებს შორის გახშირდა თვითმკვლელობის შემთხვევები. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ სუიციდი გლეხებს შორის უფრო ფართოდ ვრცელდება, ვიდრე ნარკომანებში. რა დაემართათ ამერიკელ ფერმერებს?**

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში სენატორმა **ჩაკ შუმერმა**, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ, ტრაგიკული ციფრები გაასაჯაროა — **ბოლო წლებში ამერიკელ ფერმერთა შორის თვითმკვლელობის რაოდენობამ რამდენჯერმე მოიმატა. ამჟამად გლეხებს შორის სუიციდის შემთხვევების რაოდენობა 3,5-ჯერ მეტია საერთო ეროვნულზე. გამოდის, რომ ფერმერები, რომელთა პროფესია ტრადიციულად ასოცირდება მოსავლის მშვიდობიანად აღებასა და სუფთა ჰაერზე ჯანსაღ შრომასთან, თვითმკვლელობის მხრივ უსწრებენ ამერიკელი საზოგადოების იმ ფენების წარმომადგენლებსაც კი (ნარკომანებსა და გადამდგარ სამხედროებს), რომელთა შორისაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული სუიციდი.**

ფერმერთა თვითმკვლელობის პრობლემა დღეს არ წარმოქმნილა, მაგრამ ის დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებთან. **ინდოელი** ფერმერებისთვის სუიციდი სამწუხარო ტრადიციად იქცა. ოფიციალური მონაცემებითაც კი (ამ მონაცემებში ბევრი შემთხვევა არ ხვდება), 1995 წლიდან დღემდე ქვეყანაში თავი მოიკლა 700 ათასზე მეტმა ფერმის მფლობელმა.

ეს სამწუხარო ტენდენცია 20 წლის წინათ გავრცელდა ევროპაში. **საფრანგეთში** ყოველ 2 დღეში ერთი ფერმერი იკლავს თავს, **შვეიცარიაში** ფერმერთა შორის სუიციდის შემთხვევები 37%-ით მეტია, ვიდრე სხვა მამაკაცებში. სხვა ევროპული ქვეყნები ასეთ მონაცემებს არ აქვეყნებენ. ევროპელ ფერმერებს მიაჩნიათ, რომ ეს მონაცემები ძალიან შემცირებულია. გარდაცვლილის ნათესავები თვითმკვლელობას ხშირად ასაღებენ უბედურ შემთხვევად — ზოგჯერ სირცხვილის გამო მეზობლების წინაშე, უფრო ხშირად კი — სადაზღვევო კომპანიებთან პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

ბოლო წლებში ფერმერთა თვითმკვლელობის ტენდენციამ აშშ-მდეც მიაღწია და დღეს ისეთი მასშტაბითაა გავრცელებული, რომ მისი დამალვა შეუძლებელია. ისევე, როგორც ევროპაში, ფერმერები, რომლებიც დაკავებულნი არიან რძის დამზადებით, უფრო მიდრეკილნი არიან სუიციდისკენ, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც მცენარეებისგან იღებენ მოსავალს.

სოიოსა და მარცვლეულის დამამზადებლებზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა სავაჭრო ომმა ჩინეთთან. **სანქციების მოლოდინში ჩინეთი კონტრაქტებს აღარ აფორმებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ამერიკელ მწარმოებლებთან და გადაერთო უფრო საიმედო მომწოდებლებზე, რომელთა შორის ლიდერია რუსეთი, შემდეგ პოზიციაზე არიან სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ამ ქვეყნებმა, პრაქტიკულად, გარიყეს ამერიკელები ბაზრიდან.**

შარშან ამერიკელი ფერმერები იძულებულნი იყვნენ, ან ძალიან იაფად გაეყიდათ თავიანთი მოსავალი, ან, უბრალოდ, გაენადგურებინათ. რძის დამამზადებელ ფერმერებს კი მტკივნეულად დაარტყა რძის ფასის დაცემამ — ეს მოხდა 2015 წელს და მას შემდეგ ფასი არ მომატებულა. დამატებით პრობლემად იქცა „ეკომეომართა" აგრესიული პროპაგანდა ძროხის რძისა და ნაღების მოხმარების წინააღმდეგ.

მცენარეულ რძეზე გადასვლისკენ აქტიურად მოუწოდებს „მწვანე" დღის წესრიგის მთავარი სახე **გრეტა ტუნბერგი.** ცოტა ხნის წინათ გამართულ „ოსკარებით" დაჯილდოების ცერემონიაზე ძროხის „ბავშვისთვის" რძის წართმევისა და მისი გაყიდვის წინააღმდეგ მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ცნობილი ვეგანი **ხოაკინ ფენიქსი.** ტვინების ასეთი გამორეცხვა უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე. პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს ისეთ პროგრესულ შტატში, როგორიც არის ნიუ-იორკი. იქ თვითმკვლელობის დონე რეკორდებს ხსნის.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის სუიციდის მიზეზი დეპრესიასა და ალკოჰოლიზმშია. კლიმატოლოგები ამბობენ, რომ ყველაფრის მიზეზი გლობალური დათბობაა. სწორედ ეს იწვევს ისეთ მოულოდნელ კლიმატურ მოვლენებს, რომლებიც ანადგურებს მოსავალს. ექიმების თქმით, ყველაფრის საფუძველი სოფელში კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარების არარსებობაა. სოციოლოგები კი ყველაფერში ადანაშაულებენ პატრიარქალურ ნორმებს, რომლებითაც მამაკაცი ოჯახის მარჩენალი უნდა იყოს და ამით სირცხვილისა და წუხილის ხაფანგისკენ უბიძგებს.

მაგრამ ეკონომიკური მექანიზმი, რომელსაც ფერმერი თვითმკვლელობამდე მიჰყავს, ძალიან უბრალო და ყველგან ერთნაირია — როგორც ღარიბ, ისე მდიდარ ქვეყნებში. თავდაპირველად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი ეჯახება იმას, რომ უწევს თავისი პროდუქტების გაყიდვა თვითღირებულის ტოლ ან უფრო ნაკლებ ფასად. თუ შეძლებს თავისი ოჯახის გამოკვებას, მომავალ წელს მაინც მოუწევს ბანკიდან კრედიტის აღება თესლის, სასუქის, დიზელის შესაძენად და ტექნიკის შესაკეთებლად.

**ინდოეთში ბანკები გაურბიან ფერმერებთან მუშაობას და ისინიც იძულებულნი არიან, მიმართონ მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებს. დაგროვებული უზარმაზარი პროცენტების გადახდის შესაძლებლობა კი ფერმერებს არ აქვთ. ორგანიზაცია გზავნის თავის წარმომადგენლებს, ვალების დამბრუნებელ კოლექტორებს, რომლებიც ემუქრებიან ფერმერებსა და მისი ოჯახის წევრებს, არცხვენენ მეზობლების თვალწინ ან მკვლელობით ემუქრებიან, ფერმერი კი იძულებულია, თავი მოიკლას, რათა გადაარჩინოს თავისი ოჯახის წევრები.**



**ეკონომიკური მექანიზმი, რომელსაც ფერმერი თვითმკვლელობამდე მიჰყავს, ძალიან უბრალო და ერთნაირია ყველგან — როგორც ღარიბ, ისე მდიდარ ქვეყნებში. ამაში დამნაშავეა ეკონომიკა, რომელიც აგებულია მძარცველურ სასესხო პროცენტზე**



**ბოლო წლებში ამერიკელ ფერმერთა შორის თვითმკვლელობის რაოდენობამ რამდენჯერმე მოიმატა. ამჟამად გლეხებს შორის სუიციდის შემთხვევები 3,5-ჯერ მეტია საერთო ეროვნულზე. გამოდის, რომ ფერმერები, რომელთა პროფესია ტრადიციულად ასოცირდება მოსავლის მშვიდობიანად აღებასა და სუფთა ჰაერზე ჯანსაღ შრომასთან, თვითმკვლელობის მხრივ უსწრებენ ამერიკელი საზოგადოების იმ ფენების წარმომადგენლებსაც კი (ნარკომანებსა და გადამდგარ სამხედროებს), რომელთა შორისაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული სუიციდი**

სწორედ ამაზე ფიქრობდა 50 წლის ფერმერი **ფრედ მორგანი** 2015 წელს. მას ხანძრის შემდეგ ახალი გარემონტებული ჰქონდა თავისი რძის ფერმა ნიუ-იორკის შტატში. ფერმა მას მემკვიდრეობით გადაეცა მამისგან. რემონტს საკმაო თანხა დასჭირდა. შედეგად, მორგანს ვალი დაუგროვდა. და უცებ რძე 2-ჯერ გაუფასურდა. ერთადერთი, რაც დარჩა მორგანს, 150 ათასი დოლარის სადაზღვევო პოლისი იყო. ის სერიოზულად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე, მაგრამ **მისმა ოჯახმა შეძლო ფერმის შენარჩუნება. მორგანმა ნელ-ნელა თავი დააღწია კრიზისს. მან თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, გადავიდა ორგანული რძის წარმოებაზე და თავისი უბედურების შესახებ „ნიუ იორკ თაიმსის" ჟურნალისტებსაც კი ელაპარაკა.**

რძის დამამზადებელი ფერმების ბევრ მფლობელს კი სხვა გზა აღარ დარჩა, სუიციდის გარდა, მაგალითად, მორგანის მეზობელს.

პრობლემის მასშტაბი ისე დიდია, რომ ფერმერთა მხარდამჭერი ჯგუფი იძულებული იყო, ნიუ-იორკის შტატში ჩაეტარებინა სპეციალური სწავლებები თვითმკვლელობების თავიდან ასაცილებლად, ხოლო რძის მთავარმა ადგილობრივმა შემსყიდველმა Agrimark-მა ფერმერებს დაუგზავნა „ბედნიერების წერილი" ფსიქოლოგებისა და ცხელი ხაზების ტელეფონის ნომრებით სუიციდის პროფილაქტიკის მიზნით. ამასთანავე, ფერმერებს აცნობეს, რომ რძის შესასყიდი ფასი კვლავ შემცირდა — ასე განაგრძობს Agrimark-ი, უკვე 4 წელიწადია.

სხვა შემოსავლის ძიებაში ფერმერები ესაუბრებიან თავიანთ კოლეგებს დეპრესიის დაძლევასა და თვითმკვლელობაზე აზრების უკუგდებაზე. **ჯეისონ მედოუზმა** (მისურის შტატიდან) ად-

„მე წამოვაყენებ ახალ გაბედულ ინიციატივას შეიარაღებაზე სამმხრივი კონტროლის დაწესების შესახებ რუსეთსა და ჩინეთთან ერთად, რათა თავიდან ავიცილოთ შეიარაღებისკენ ძვირად ღირებული რბოლა“, — ნათქვამია ტრამპის წერილში... უფრო ადრე აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სურს, შეხვდეს რუსეთის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების თაობაზე სამსჯელოდ.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სანქციების მოლოდინში ჩინეთი კონტრაქტებს აღარ აფორმებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ამერიკელ მწარმოებლებთან და გადაერთო უფრო საიმედო მომწოდებლებზე, რომელთა შორის ლიდერია რუსეთი, შემდეგ პოზიციაზე არიან სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ამ ქვეყნებმა, პრაქტიკულად, გარიყეს ამერიკელები ბაზრიდან

◀ გილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლებს უამბო, რომ 2014 წელს მისმა ფერმამ, რომელშიც ის ძროხებს ზრდიდა, ზარალი განიცადა და ამიტომ „ვალების ხაფანგში ამოყო თავი“. მედოუზმა მუშაობა დაიწყო ადგილობრივ აფთიაქში. ამ სამუშაოსგან ის ცოტა ფულს გამოიმუშავებს და ურთიერთობის დეფიციტსაც აღმოფხვრის. ამასთანავე, მედოუზი სოციალურ ქსელებში აქვეყნებს თავის მოსაზრებებს და ცდილობს აუხსნას ადამიანებს, როგორ დაიხსნან თავი ემოციური გადაღლილობისგან.

**მაიკ როსმანმა** საერთოდ გამოიცვალა პროფესია. ის ახლა ფსიქოლოგი და აშლილობის პრევენციის ექსპერტია. მას მიჰყავს ბლოგი, წერს გაზეთებში და ჩამოაყალიბა ასოციაცია კოლეგებისთვის უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად.

თავის სტატიებში როსმანი წერს, როგორ ურეკავენ მას თვითმკვლელობის ზღვარზე მოსული ადამიანები და აღნიშნავს, რომ სუიციდი გარკვეულწილად „გადამდებია“ — თვითმკვლელი საიქიოსკენ „ექაჩება“ თავის ნათესავებსა და ახლობლებს.

საშინელ განცდებს აღძრავს წერილები ფერმერი ქალისა, რომლის თვალწინაც ქმარმა თავი მოიკლა. ქალი დათრგუნვილია მწუხარებით, შეშფოთებით ელოდება თავისი ფერმის დახურვას და თავს ვერ ანებებს სუიციდზე ფიქრს.

ყველაფერი, რასაც მაიკ როსმანი სთავაზობს ასეთ პაციენტებს, არის ჯგუფური თერაპია, დღიურების წერა, ხატვა, ფეხშიშველი სიარული და ღამით ცურვა ტბაში. ამერიკის სახელმწიფო კი ფერმერთა შორის თვითმკვლელობის გახშირებაზე კვლავ ხუჭავს თვალს.

არის რაღაც შემაძრწუნებელი სიმბოლიზმი იმაში, რომ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავმა, ოსკაროსანმა ხოაკინ ფენიქსმა რამდენიმე კვირის წინათ სასაკლაოსგან იხსნა ძროხა და ხბო და ისინი სპეციალურ თავშესაფარში მიიყვანა, სადაც უზრუნველად იცხოვრებენ სიცოცხლის ბოლომდე. ამის პარალელურად მხოლოდ ნიუ-იორკის შტატში ერთ წელიწადში თავი მოიკლა დაახლოებით 100-მა ფერმერმა.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

## ტრამპი მოსკოვსა და პეკინს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესებას სთავაზობს



**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს განზრახული აქვს რუსეთსა და ჩინეთს შესთავაზოს ინიციატივა შეიარაღების კონტროლის თაობაზე. ამის შესახებ ნათქვამია ტრამპის წერილში, რომელიც გაეროში წაიკითხა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე კრისტოფერ ფორდმა.**

**„მე წამოვაყენებ ახალ გაბედულ ინიციატივას შეიარაღებაზე სამმხრივი კონტროლის დაწესების შესახებ რუსეთსა და ჩინეთთან ერთად, რათა თავიდან ავიცილოთ შეიარაღებისკენ ძვირად ღირებული რბოლა“,** — ნათქვამია ტრამპის წერილში.

ამას გარდა, ფორდის თქმით, ვაშინგტონი კმაყოფილია იანვარში ჟენევაში მოსკოვთან გამართული მოლაპარაკებებით სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ.

უფრო ადრე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სურს, შეხვდეს რუსეთის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების თაობაზე სამსჯელოდ.

შეხვედრის თარიღი და ადგილი ჯერ დაზუსტებული არ არის, თუმცა ეს შეიძლება იყოს გაეროს გენერალური ასამბლეა, რომელიც სექტემბერშია დაგეგმილი.

## ბრიტანეთმა უარი განაცხადა ადამიანის უფლებების კონვენციაზე

**ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ დიდი ბრიტანეთი მიუღებლად მიიჩნევს ევროპული კანონების დაცვას და განზრახული აქვს, 2012 წელს დატოვოს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, — იუწყება გაზეთი The Sunday Telegraph-ი მმართველი კონსერვატიული პარტიიდან წყაროზე დაყრდნობით.**

გაზეთის ცნობით, ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ ბრიუსელში გამართულ მოლაპარაკებაზე დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა შეთანხმების იმ პუნქტების შესრულებაზე, რომლებიც მისგან მოითხოვს 1953 წელს ამოქმედებული ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დაცვას. ამ კონვენციიდან ბრიტანეთის გამოსვლის თაობაზე არაერთხელ განუცხადებია საგარეო საქმეთა მინისტრ **დომინიკ რააბს,** პრემიერმინისტრის მრჩეველ **დომინიკ კომინგსსა** და შინაგან საქმეთა მინისტრ **ფრითი პატელს.** ამ გადაწყვეტილების მომხრეთა აზრით, ზემოაღნიშნულ კონვენციას ევროპული სასამართლოები თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ. კერძოდ, პრემიერის მთავარ მრჩეველს არ მოსწონს შეთანხმების ისეთი დებულებები, როგორიც არის პატიმრისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება და ზოგიერთი უცხოელი დამნაშავის ექსტრადიციის აკრძალვა.

დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი 2020 წლის 1 თებერვალს დატოვა სამწლიანი დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, 2020 წლის ბოლომდე გაგრძელდება გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დიდმა ბრიტანეთმა და




ევროკავშირმა ერთმანეთთან სავაჭრო შეთანხმება უნდა გააფორმონ. ლონდონში აღნიშნავენ, რომ გარდამავალი პერიოდის გაგრძელებას არ აპირებენ.

## მოლდოვაში ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები დააპატიმრეს




**მოლდოვის რესპუბლიკის კორუფციასთან ბრძოლის პროკურატურამ საბანკო საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა ცენტრალური ბანკის ოფისში.**

მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა **ალექსანდრე სტოიანოგლომ** 5 მარტს განაცხადა, რომ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე გამოსცა განკარგულება, დააკავონ ოთხი ადამიანი: ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი **დორინ დრეგუცანუ**, ყოფილი ვიცეპრეზიდენტი **ემა ტებირცე**, მოლდოვის ეროვნული ბანკის ამჟამინდელი ვიცეპრეზიდენტები — **აურელია ჩინჩილეი** და **იონ სტურზა.** დრეგუცანუ 2009-2016 წლებში მოლდოვის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო, ტებირცეს ვიცეპრეზიდენტის პოსტი ეკავა 2008-2015 წლებში, პერიოდში, როდესაც ბანკიდან მოიპარეს მილიარდი ევრო და განახორციელეს ლანდრომატი (რუსული ფულის გათეთრების მოლდოვური სქემა), რომლის მეშვეობითაც გაათეთრეს 20 მლრდ ევრო რუსეთიდან. ჩინჩილეი და სტურზა ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტებად 2013 წელს დაინიშნენ.

მოლდოვის პროკურატურამ უკვე წარუდგინა ბრალდება დორინ დრეგუცანუს, რომელსაც თაღლითობასა და დიდძალი ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით**

## უკრაინის «რასკოლნიკური» ეკლესიის ორმა მღვდელმსახურმა ქალი ტაძარში გალახა



**ოდესაში უკრაინის რასკოლნიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ორმა მღვდელმსახურმა — იაროსლავ მუგრინეცმა და თეოდორ ორობეცმა — წირვის მიმდინარეობისას, მარხვის მიუხედავად, მრევლის სხვა წევრებთან ერთად პირდაპირ ტაძარში ქალი გალახა.**

5 მარტს მომხდარის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელეს. მასზე მკაფიოდ ჩანს, როგორ იღებს ქალი ტელეფონით რაღაცას, მასთან მიდის სხვა ქალი და ცდილობს, ხელიდან ტელეფონი გამოჰგლიჯოს.

რამდენიმე წამის განმავლობაში ქალები ერთმანეთს ეჯაჯგურებიან, შემდეგ კი უკრაინის „რასკოლნიკური“ მართლმადიდებელი ეკლესიის კლირიკებმა (მღვდელმსახურებმა) ქალს, რომელიც ტელეფონით იღებდა, სცემეს. ეს



ყველაფერი ხდებოდა უშუალოდ ტაძარში, კლირიკებს კი საეკლესიო სამოსი ეცვათ.

კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისტ **ნეონილ ტკაჩენკოს** თქმით, ქალს აღენიშნება საშუალო სიმძიმის დაზიანებები. მომხდარი სოციალურ ქსელში შეაფასა მართლმადიდებელმა ჟურნალისტმა **ალექსანდრე ვოზნესენსკიმ: „ვიღაცისთვის დიდმარხვა მონანიებითა და შერიგებით დაიწყო, ვიღაცისთვის კი — ბოროტებით, აგრესიისა და ზიზღის გამოვლენით. ქალის ცემა სიმდაბლეა, ბრბოს მიერ ქალის ცემა საზიზღრობაა და, როცა ამას ტაძარში აკეთებს კლირკი, ეს ადამიანურ ნორმებს სცდება“,** — დაწერა ჟურნალისტმა.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**

**გვერდი მოამზადა ნიკა კორინთელმა**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2017 წლის მიწურულს, როცა საქართველოს მიწების გასხვისების აკრძალვასა თუ შეჩერებაზე დაიწყეს საუბარი, საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში უკვე იყო ქვეყნის მიწების 5%. 2010 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში უცხოეთის მოქალაქეებმა საქართველოში სხვადასხვა სახის 37 386 მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირეს, ანუ 13 412 ჰექტარი დაისაკუთრეს. არადა, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც თითო მოსახლეზე მაქსიმუმ 0,17% სასოფლო სამეურნეო მიწა მოდის.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

1886 წელს ილია აქვეყნებს წერილებს სათაურით „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, რომლებშიც საქართველოში მიწის საკუთრების საკითხზე მსჯელობს, ქართველი გლეხკაცის მისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე. ილიას თქმით, მას ისე „მტკიცედა აქვს გულსა და გონებაში გამჯდარი ამა მიწების საშვილიშვილოდ კუთვნილება, რომ ვერასგზით წინააღმდეგს ვერ დააჯერებთ“-ო; გლეხები არიან სწორედ ის პატრონები, რომლებიც ჰყიდიან მას „ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებლივ“ და ამის სრული უფლება აქვთო. დიახ, ერთმანეთში გაყიდვის და არა უცხოელებისთვის, გადამთიელებისთვის მიყიდვისა და სამკვიდროს დაკარგვის, რასაც, წლებია, სახელმწიფო აკეთებს.

„ჩვენი სოფელი დამყარებულია და აგებული კომლეულობაზედ“-ო, — წერს ილია.

მაგრამ ჩვენი, XXI საუკუნის, ქართული სოფელი რაზეა დამყარებული და აგებული?

ვის ხელშია დღეს ქართული მიწა, ვინ ხნავს, თესავს და იღებს ჭირნახულს?

ამას წინათ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ერთი ემიგრანტი ქალის ნათქვამი გაიხსენა — „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯადო“. ეს მწარე რეალობაა დღევანდელი საქართველოსი. სამწუხაროდ, მთვარის იმედად, გლეხის გარეშე დარჩენილი სოფელი ვერც აყვავდება და ვერც გაძლიერდება. ახლა, ალბათ, უნდა შევნატროდეთ იმ დროს, როდესაც ჩვენს გლეხკაცს უჭირდა სამკვიდროს დატოვება, რაზეც ილია მართალი წერს: „ძნელია ჩვენის გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა, ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია“-ო.

საქართველო ოდითგან მიწათმოქმედების ქვეყანა იყო, სოფელს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ისევ დიდ ილიას თუ დავესესხებით, წინათ ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებდა, ვიდრე გარეშე კაცის რჩევას. დღეს სადღაა ასეთი სოფელი?! განა სოფელი შეიძლება ეწოდოს რამდენიმე კაცისა და „მთვარის იმედად“ დატოვებულ ეზო-კარ-მიდამოებს?!

ნუთუ დროსთან ერთად რეალობაც შეიცვალა და დღეს არც ისეთი ტრაგიკული და რთულია გაღატაკებული სოფლების მიტოვება და უცხოეთში გადახვეწა?! არადა, წინათ ჩვენში რომ გლეხკაცს თავი დაენებებინა თავისი ადგილისთვის, ჯერ გულიდან უნდა ამოეღო თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, „რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“.

დღეს ჩვენი მიწის მიმართ ინტერესს უცხოელები უფრო ავლენენ. 2017 წლის მიწურულს, როცა საქართველოს მიწების გასხვისების აკრძალვასა თუ შეჩერებაზე დაიწყეს საუბარი, საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში უკვე იყო ქვეყნის მიწების 5%. 2010 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში უცხოეთის მოქალაქეებმა საქართველოში სხვადასხვა სახის 37 386 მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირეს, ანუ 13 412 ჰექტარი დაისაკუთრეს. არადა, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც თითო მოსახლეზე მაქსიმუმ 0,17% სასოფლო სამეურნეო მიწა მოდის.

ევროპასა და ამერიკას თუ ვბაძავთ, უპირველესად იმაში მაინც მივბაძოთ, რაც ჩვენს ქვეყანას წაადგება — ჩვენც ისევე გავუფრთხილდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, როგორც ევროპელები და ამერიკელები, რომლებიც უცხოელებზე მიწის ძალიან ცოტა პროცენტს ასხვისებენ; უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება!

# «მთვარის იმედად», გლეხის გარეშე დარჩენილი სოფელი ვერც აყვავდება და ვერც გაძლიერდება



**ევროპასა და ამერიკას თუ ვბაძავთ, უპირველესად იმაში უნდა მივბაძოთ, რაც ჩვენს ქვეყანას წაადგება — ჩვენც ისევე გავუფრთხილდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, როგორც ევროპელები და ამერიკელები, რომლებიც უცხოელებზე მიწის ძალიან ცოტა პროცენტს ასხვისებენ; უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება!**



## კერძო და სათემო მიწათმფლობელობა

ვინც ჩვენებურს სოფლებს და მათს ეკონომიურს განწყობილებას და ვითარებას დაჰკვირვებია, ერთს დიდს ნაკლს შეჰნიშნავდა. ეს დიდი ნაკლი უფრო ძლიერ თავს იჩენს იმისთანა სოფლებში, საცა მომეტებული ნაწილი მკვიდრთა სახელმწიფო გლეხკაცობაა, ანუ, როგორც უწინ იტყოდნენ, **სახასო.** ამისთანა სოფლებში მიწათმფლობელობას ორგვარი თვისება შეჰრჩენია დროთა განმავლობაში, და რამოდენადაც დიდი ხანი გასულა, იმოდენად ეს ორგვარი თვისება მიწების მფლობელობისა უფრო განვითეულებულა და განმტკიცებულა გლეხკაცობის თვალში. ეხლანდელი სოფელი რომ გაშინჯოთ მიწათმფლობელობის თვალით, ჰნახავთ, რომ თითქმის ყოველი სახასო სოფელი მიწათმფლობელობის კვალობაზედ ორს დიდს ნაწილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მომცემნი, მკვიდრთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაჭერილნი. ამგვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხშირად კი საბლის მამულებს. ამგვარი მიწები ჩვენთა გლეხკაცთა თვალში არაფრით და არა-ნიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისგან, თუმცა კი, გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფონი არიან. ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზედ; **გლეხი, პატრონი მიწისა, აგირავებს, ჰყიდის ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებლივ. ჩვენს გლეხკაცობას არამაც თუ არ მოუთავსებია გულში, არამედ ფიქრადაც თავის დღეში არ მოსდის, რომ ამგვარ მიწის აღებ-მიცემობაში, გადასვლა-გადმოსვლაში ვინმე წინ დაუდგება და ხელს შეუშლის. ასე მტკიცედა აქვს გულს და გონებაში გამჯდარი ამა მიწების საშვილიშვილოდ კუთვნილება, რომ ვერასგზით წინააღმდეგს ვერ დააჯერებთ.** საიდამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს ამგვარი მიწათმფლობელობა სრული კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობელობიდამ, რომელიც უეჭველად ცნობილია მეცნიერებისაგან როგორც პირველყოფილი კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვაკუთხედი, — ესე ყოველი შორი და რთული ამბავია და ამჟამად ამას ჩვენ ვერ გამოვუდგებით. ხოლო ამას კი გულდაჯერებით ვიტყვით, რომ ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არა ყოფილა, როგორც არ ყოფილა უცხო მთელს ქვეყნის კაცობრიობისათვის. ამისი ნიშნები დღესაც თვალსაჩინოდ შერჩენია ჩვენს სოფელს, და მეორეგვარი სოფლის მიწებისა აშკარად გვეუბნებიან. ეს მეორეგვარი მიწები, ზოგან „სასოფლოდ“ წოდებულნი, ზოგან „საზოგადოდ“, ზოგან „სათემოდ“ და ზოგან „სახასოდაც“, იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზედ ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისაგან არ-დაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ჰხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა-კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა, იმოდენა მოხნას. ხშირად, როცა ამგვარი სათემო მიწები მოუხნავად ჰრჩება და წელიწადი ხელს აძლევს, ამ მიწებს სასოფლოდ დააყორუღებენ ხოლმე სათიბად, მთელი სოფელი ინახავს ყორუღს, და როცა სათიბად მოესწრობა, მაშინ ან სასოფლოდ სთიბვენ და მერე თივას იყოფენ, ან, მინამ გასათიბია, გასათიბს ადგილს წილ-წილად დაიყოფენ ერთმანეთში. თუ მიწები სათიბად არ ვარგან ან, ზამთრის საძოვრად სასოფლოდ გასცემენ, ბევრჯერ უცხო კაცზედაც, და აღებულს საბალახეს ან სასოფლო საჭიროებას ახმარებენ, ან იყოფენ ერთმანეთში. რაკი ამ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა ჰხნას, რა თქმა უნდა — მდიდარი და შეძლებული გლეხი შეუძლებელსა სჩაგრავს, იმიტომ რომ შეძლებული ყოველთვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და ფარცხსაც. გარდა ამისა, ვიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსავით გაისაკუთროს, დაიჩემოს. აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულს გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებელის წინაშე. იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს გლეხს სათემო მამულში უკეთესი და კარგა ბლომა ადგილები დაეჭიროს და დაეჩემოს საშვილიშვილოდ. ამ სახით, სხვანი ხელცარიელნი დარჩენილან და იმა შეძლებულისაგან თავისავე სათემო მამულს ღალით იღებენ, რომ როგორმე თავი ირჩინონ. **აი ის დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის ეკონომიურ განწყობილებისა, რომელიც დღეს ჩვენის სოფლის ტკივილს შეადგენს და რომელიც მიწათმფლობელობის საქმეს ერთის მხრით ძლევამოსილად კერძო საკუთრებისკენ მიეზიდება, და მეორეს მხრით შესანიშნავის მარცხით — სათემოსკენ.** ამას, რასაკვირველია, შველა უნდა. ამისთანაებში ყოველთვის გამჭრიახმა და მგრძნობიერმა გლეხკაცობამ იგრძნო ეს ტკივილი და წამალიც უპოვნა. ბევრგან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხკაცობამ აშკარად აღიარა, რომ სახასო სოფელი —სოფლისაა საერთოდ და არა თვითეულის მკვიდრისა საკუთრივ. დაუდო რა თავის განაჩენს ეს დედააზრი საფუძვლად, დაადგინა, რომ **ყველა მკვიდრი იმოდენად მონაწილეა მთელს სოფლის მამულში, რამოდენის მსურველიც არის, თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწვდა. და რაკი დღეს მეტნაკლებობაა ერთმანეთში და დიდი უსწორმასწორობა, განაჩინა — ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქმნას სასოფლო მამულები.** ამისთანა განაჩენები უკვე შემდგარია ქართლსა, კახეთსა, სომხითსა და ტფილისის მაზრის სოფლების მიერ. ჯერ მარტო ტფილისის მაზრაში 45 სოფელს შეუდგენია ამისთანა განაჩენი, აქედამ 12-ს უკვე დაუყვია კიდეც მამულები, 11-ი შესდგომია დაყოფვასა. ქართლში 16-ს სოფელს შეუდგენია განაჩენი, მათში 10-ს კიდეც დაუყვია მამულები, 2-ს განაჩენი არ შეუდგენია და ხელი კი მიუყვია, და 4-ი უკვე შესდგომია და ბევრი სხვანი. ამაზედ არა ერთხელ მოგვიხდება კიდევ ლაპარაკი ჩვენს გაზეთში და დღეს მარტო აღვნიშნეთ რა ეს სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ფაქტი, ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ბატონყმობის მოსპობის მერმეთ ამისთანა დიდმნიშვნელობიანი და ერთობ დიდი საქმე, ჩვენის შინაურის ცხოვრების შესახები, არა ყოფილა, და არ მომხდარა.

* * *

სახასო სასოფლო მიწების დაყოფვა ახალი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისათვის. ქართლსა, კახეთსა, სომხითსა, ფშავსა, ხევსურეთსა და თუშეთში, მთავრობის დახმარებით, ხელი მიუყვიათ კიდეც ამ საქმისათვის და სწორედ აქედამა სჩანს უტყუარად, რომ ჩვენს გლეხკაცობას ანდერძად დარჩენია ძველთა დროთაგან. თორემ ეს რომ ახალი ამბავი იყოს, იუცხოებდნენ ჩვენში, ახლა კი მშვიდო-

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას, — ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის...“.

◀ბიანად და უჩუმრად შეიწყნარეს. გარდა ამისა, ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ გლეხკაცობამ ამ საქმეს ხელი მოსჭიდა თავისის საკუთარის თაოსნობით. ესეც უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენში ეგ მამულების დროგამოშვებით დაყოფვა ჩვეულებად ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენს გლეხკაცობას გუნებაში შეჰრჩენია, ანდერძად დარჩომია. რომ ამ დიდის საქმის წარმართვისათვის გზა გავიხსნათ, რომ შევიგნოთ, ხელი როგორ უნდა შეეწყოს, რათა ამ ძველმა ჩვეულებამ არ მიიძინოს, — საჭიროა ცხადად წარმოვიდგინოთ, რასთანა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ხშირად გვესმის სამდურავი და ჩივილი გლეხკაცობისაგან, ვითომც მამულების დაყოფვის საქმე, ყველასაგან თითქმის ერთმხრივ საჭიროდ აღიარებული, აღსრულებაში ცუდად მოდისო. ამისათვის ჩვენ საჭიროდ დავინახეთ, ამ დიდს და რთულს საქმის ზოგიერთ მხარესათვის, ჩვენის შეძლებისამებრ, ცოტაოდენი შუქი მიგვეყენებინა და ჩვენისა ეჭვი სხვისთვისაც გაგვეზიარებინა. მივიღებთ რა მხედველობაში, რომ მიწების **დაყოფვა უსათუოდ სოფლის განაჩენით უნდა მოხდეს**, — აშკარაა, პირველი კითხვა ის არის: ჩვენში ვის უნდა ჰქონდეს ხმა განაჩენის დადგენაში? თვითოეულს მუშაკს კომლისას, თუ კომლის თავკაცსა?

მეორე: ვადა ხელახლად დაყოფვისა მერმისისათვის წინათვე უნდა იყოს მოხსენებული განაჩენში, თუ არა?

მესამე: მამულები კომლზედ უნდა დაყოფილ იქმნან, თუ მუშაკაცობაზედ კომლში? საჭიროა თუ არა, რომ განაჩენში წინათვე, მამულების რაოდენობის კვალად, განსაზღვრულიყოს უდიდესი და უმცირესი წილი თვითეულის კომლისა? კარ-მიდამო, ვენახები, ნაფუძრები გასაყოფს მამულში უნდა ჩავარდეს, თუ არა? შესაწყნარებელია თუ არა გლეხის საჩივარი, ოდეს იგი მამულის დამყოფავთაგან რასმე უსამართლობას ჰგრძნობს თავის-თავის შესახებ? თუ შესაწყნარებელია, როგორ და რა გზით უნდა აღდგენილ იქმნას დარღვეული სიმართლე გლეხისა? ვიდრე ამ ცალ-ცალკე საგანს ცალ-ცალკე პასუხს მივცემდეთ, საჭიროა, ყოველს ამას ერთი უტყუარი სათავე მოვუპოვოთ და იქიდამ წარმოვადგინოთ ყოველივე მსჯელობა. ამისთანა სათავე თითონ სოფელია.

პირველი, რასაც ამ შემთხვევაში ზედ უნდა წააწყდეს ძალაუნებურად კაცი, შემდეგია: **თითონ ჩვენი სოფელი, როგორც ეკონომიური ცალი, თვითმყოფი ცალკე სხეული, რა საფუძველზეა დამყარებული და აგებული?** არავინ არ შეგვეცილება ვსთქვათ, რომ **ჩვენი სოფელი დამყარებულია და აგებული კომლეულობაზედ.** ...აქ, ჩვენში, სოფელი არა ჰხუთავს ცალკე კაცს, თავისუფალს გზას აძლევს, რადგანაც აქ, ჩვენში, სოფლის ჯუქამში მარტო კომლია და არა ცალკე კაცი. ...საჭიროა, ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება ხელზედ მაგრად დაიხვიოს კაცმა მამულების დაყოფვის საქმეში და გაკანონდეს, რომ ამ საქმეში მარტო კომლის თავკაცსა ჰქონდეს ხმა. დანარჩენს საკითხავებზედ თავ-თავის დროს მოვილაპარაკებთ.

* * *

...ამ კომლზედ აგებულმა ჩვენებურმა სოფელმა სხვა გზითაც იჩინა თავისი თავისებურობა. ჩვენი ქვეყანა, უფრო ბევრწილად, და მომეტებულად — რასაკვირველია — ჰავითა და დედამიწის მომცემლობითა, სულ სხვაა, და ამ მხრით თითქმის არაფერში ჰგავს რუსეთსა. ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათმფლობელობა სოფლისა სხვარიგად წარიმართა. ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, **ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი ოფლი მიუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია — ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა. ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის.** ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია. ამ გარემოებას სოფლის მამულის მფლობელობაზედ თავისი ზედმოქმედება უნდა ექონია. ეგ ზედმოქმედება იმაში სჩანს, რომ თუმცა ჩვენს სახასო გლეხობას სასოფლო მამული სოფლისად მიაჩნია საერთოდ, და ამ აზრს არა შემთხვევაში არ ეურჩება, მაგრამ ამასთანავე თავისი საკომლო ადგილ-მამული საშვილიშვილოდ ეგულება. აქ ერთის მხრით — საშვილიშვილოდ გულვება მამულისა და — მეორეს მხრით — მამულების დაყოფვა, მაშასადამე, თითქმის თავისად არგამოლოდინება, ერთმანეთს ეპირისპირებიან, ვითარცა წყალი და ცეცხლი. პირველ შეხედვით საოცარია, როგორ მოუთავსებია ჩვენს გლეხკაცობას ორი ამისთანა ერთმანეთის დამშრეტი საგანი? მაგრამ, აბა ნახეთ, რა ჭკვიანურად, რა წინდახედულობით ერთი მეორესთან მოურიგებია და შეუთვისებია! **ჩვენს გლეხკაცობას, რომელსაც უწამებია, რომ სოფელი სოფლისაა და ამასთანავე საშვილიშვილოდ გამოლოდინება მამულისა გულში ჩარჩენია, ვადა არ დაუდვია მიწების დაყოფვისათვის. მამული, მისის ფიქრით, კუთვნილია თვითოეულის კომლისა, ვიდრე სოფელს არ გაუჭირდება და თითონ სოფელი არ აღიარებს მამულების დაყოფვის საჭიროებას. ეს საჭიროება დამოკიდებულია მეკომურთა გამრავლებაზედ სოფელში და სხვა ამისთანა იშვიათ გარემოებაზედ, რომელიც ბუნებითად ძალიან გვიან-გვიან იჩენს თავსა და შორს მერმისს ეკუთვნის.** ორმოცი და სამოცი წელიწადი გლეხკაცისათვის მთელი საუკუნოებია. თითონ სიტყვაც „საშვილიშვილო“, გლეხკაცისაგან ასე შეყვარებული და ასე ხშირად ხმარებული, სხვა არა არის რა, გარდა ორის თაობის დროთა სიგრძის აღნიშვნისა: შვილისა და შვილის შვილისა, თითქო ამას იქით გლეხკაცის თვალი აღარ სწვდებაო. ...კერძო საკუთრების დიდი ღირსება, მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთაგან ერთხმივად აღიარებული, მამულის ჭერის ხანგრძლივობაა ერთსა და იმავე ხელში, წინათვე ბოლოდაუნახველი და, მაშასადამე, წამქეზებელიც ადამიანისა, რომ მის გაპატიჟებასა და კეთებაზედ არასფერი დაზოგოს. **ჩვენმა გლეხკაცობამ, რაც კარგი რამ არის კერძო საკუთრებასა და სათემო მფლობელობაში, ერთსაც ჩამოათალა და მეორესაც და ერთად შეადუღა. იმით, რომ ჩვენმა გლეხკაცობამ მამულების დაყოფვას ვადა არ დაუდვა და დროთამსვლელობას კი არა, იმისთანა გარემოებაზედ მიაგდო საქმე, რომელიც კაცმა წინათვე არ იცის, როდის გამოიჩენს თავს და გვიან-გვიანაც იჩენს, — მიწათმფლობელობას ხანგრძლივობაც კერძო საკუთრებისა საკმაოდ შეარჩინა და სათემო მფლობელობის სამართლიანი სასწორიც არამცთუ ულელში არ გადასტეხა, არამედ გაუმრუდებლად შეიმაგრა ხელში.** თუ ზემოთქმულს მხედველობაში ვიქონიებთ, პასუხიც აშკარაა და მზა იმ ორის საგნის გამო, რომელიც სხვათა შორის გუშინდელს წერილში მოვიხსენიეთ, სახელდობრ: ვადა წინათვე უნდა დანიშნულიყოს სოფლის განაჩენში სამერმისოდ მამულების დაყოფვის შესახებ, თუ არადა კომლეულობაზედ უნდა დაყოფილ იქმნას სასოფლო მამული, თუ არა? ამაებზედ ჰოს მეტი არა ითქმის რა ჩვენში. **ჩვენ საჭიროდაც ვხედავთ, კანონად დაიდვას, რომ არამც და არამც სოფელმა განაჩენში არავითარი ვადა არ მოიხსენიოს და თითონ მამულების დაყოფვაში მარტო კომლი იყოს სახეში მიღებული და სხვა არა-რა.**



«ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა, ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი ოფლი მიუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ»

* * *

**...ჩვენ მაგალითები ვიცით, რომ მამულები დაეყოთ და სხვაგან წასულებისათვის სოფელს ცალკე მამული შეენახოს, ვინიცობაა მოვიდნენ, უმამულოდ არ დარჩნენო.** ამ სახით, სოფლის მამულში მონაწილეობა ჩვენში, ცხადია, მარტო უფლება იყო და არასდროს მოვალეობად არ ყოფილა. რაკი

**ესრეა, განსაზღვრას უდიდესის და უმცირესის წილისას თვითოეულ კომლისათვის არც სიმართლე და არც საბუთი აქვს ჩვენში. ამიტომაც, საცა-კი მამული საკმარისია, ყველგან მიღებულია, კომლმა, რამდენიც ჰსურს, იმდენი მამული დაიჭიროს**... რასაკვირველია, ეს არ ითქმის იმ სოფლებზედ, საცა მამული ცოტაა, ვიწროობაა, და ყველას უნდა თანასწორი წილი ირგუნოს. აქ ჩვეულება კი არ მოქმედობს, არამედ გაჭირვება, და ამიტომაც ამგვარი შემთხვევა ჩვენის დედააზრის შესარყევად არ ივარგებს. მაშასადამე, წინათვე სოფლის განაჩენში მოხსენებ ამისი, რამოდენაზედ მეტი და რამოდენაზედ ნაკლები მამული არ უნდა ეჭიროს თვითოეულს კომლს, არ უნდა შეწყნარებულ იქმნას. ხოლო კი საჭიროა, სოფლის ყრილობამ თავის განაჩენს ცალკე სიაც ზედ დაართოს, რომელი კომლი რამდენს მამულს ნდომულობს, თუ ვინიცობაა მამული საკმარისია, თუ არადა, რაც ხვდება წილად, — და სად უნდა მიეზომოს. ეს რომ აუცილებელ და უსათუო წესად დაიდვას, მაშინ სოფლის მამულების დამყოფნი ვერავის დასჩაგვრენ, თავის ნებაზედ არ მიუთითებენ, აი შენ აქ გარგუნეთ მიწაო, და ამით სათავეშივე მოწყვეტილ იქნება წყარო იმ სამდურავისა და ჩივილისა, რომელიც დღეს ბევრგან ისმის გლეხკაცთა მიერ. მაშინ მამულების დამყოფნი, სოფლის მიერ ამორჩეულნი, მარტო აღმასრულებელნი იქნებოდნენ იმისა, რაც დადგენილია სოფლის კრებისაგან, საცა თვითოეულს კომლს თავისი ხმა აქვს და, მაშასადამე, შეძლებაც — თავისი ინტერესი ასე თუ ისე დაიცვას.

**...სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას, — ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა.** ჩვენ ვამბობთ ცუდს მაგალითისათვის, ხოლო დარწმუნებული ვართ, რომ იშვიათი შემთხვევა იქნება — სოფელმა აქ სიმართლეს უმტყუვნოს, თუ კრება სოფლისა, ანუ ყრილობა, როგორც ეხლა ეძახიან, კომლის ნამდვილ მოთავეთაგან იქნება შემდგარი. ჯერ საჯარო კრებაზედ ყოველთვის ძნელია სამართლის ცუდად გამრუდება და მერე თითონ ნამდვილი მოთავენი კომლისანი სიმართლის სწორედ თამასუქს წარმოადგენენ თავისის ღირსებისა და საქმის ვითარების ზედმიწევნილ ცოდნითა.





**ნუთუ დროსთან ერთად რეალობაც შეიცვალა და დღეს არც ისეთი ტრაგიკული და რთულია გალატაკებული სოფლების მიტოვება და უცხოეთში გადახვეწა?! არადა, წინათ ჩვენში რომ გლეხკაცს თავი დაენებებინა თავისი ადგილისთვის, ჯერ გულიდან უნდა ამოეღო თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, «რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის»**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამხელა გაჭირვების გამოვლის შემდეგ გავმძლავრდით, გავმრავლდით, ავყვავდით; ბედნიერი ცხოვრება გვქონდა და ვერ ვიგებდით. უმუშევრობამოსპობილ ქვეყანაში უმუშევრობა ისჯებოდა. მართალია, სტალინის სიკვდილის შემდეგ კრეტინმა, კარიერისტმა კომუნისტმა თავკაცებმა დაანგრიეს და დაამახინჯეს ხალხის სასიკეთოდ შექმნილი ქვეყანა, მაგრამ მაინც დღევანდელობის გადასახედიდან სამოთხედ ჩანს. რა ცოდვა გვქონდა ისეთი, რომ ასე გადაგვარებულ-გადაჯიშებულ, უცხოელებზე მიყიდულ, უჭკუო, უმეცარ, მოხვეჭაზე დახარბებულ დემაგოგთა საჯიჯგნი გახადეს ეს უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი ერი.**

# შაშვების გასაუბრება


გივი სომხიშვილი

**წლების სიმრავლით დამძიმებული სხეული ძლივს ასწია, გაცვეთილი სახსრების ჭრაჭუნით ჩაიცვა, ეზოში გავიდა და ჭერმის ქვეშ დაგდებულ კუნძზე ჩამოჯდა. უყვარდა განთიადის შემობრძანებით გალვიძებული ბუნების შვილთა ზეიმის საამო სიმფონიის მოსმენა.**

ღამეს ჯერ ისევ ჯიუტად გადაეფარებინა მიდამოსთვის შავი ფრთები, მაგრამ ძილ-ბურანში მყოფი ბუნება უკვე მტრედისფრად იფშვნეტდა თვალებს. რა ბედნიერებაა ყოველ დილით ბუნების გალვიძების ზეიმით დატკბობა. დრო კი უმოწყალოდ მიდის და თითებზე ჩამოსათვლელად დარჩა დღეები ამქვეყნად ყოფნის გაწამაწიაში.

ყველა ბუნების კანონით ცხოვრობს, ზედმეტობა კი ისეთივე უგემურია, როგორც გაუმაძღრობაშეყრილი ადამიანისთვის ბუნების გალვიძებით ტკბობა. არა, ამას არ ჩივის:

**სანამ მზეს უმზერ,**
**სიცოცხლესთან ხარ,**
**წახვალ და სიკვდილს**
**კვებავ,**
**შენი თაობის სვლას**
**არ ჩამორჩე,**
**მომავალს მიეც შვება, —**
**ჩაიდუდუნა.**

მისი თაობიდან ერთეულებიღა შემორჩნენ ამ გაუკუღმართებულ წუთისოფელს. **სიბერეს წლების სიმრავლით შემოძარცვულ ახლობელთა კაეშანი ახლავს, მაგრამ, როცა შენი ერი მხიარული და სამშობლოს ერთგული შვილების ზრუნვით გამართულია, სიბერეც წყნარად, საამოდ და უშფოთველად იფერფლება.**

რამხელა გაჭირვების გამოვლის შემდეგ გავმძლავრდით, გავმრავლდით, ავყვავდით; ბედნიერი ცხოვრება გვქონდა და ვერ ვიგებდით. უმუშავრობამოსპობილ ქვეყანაში უმუშევრობა ისჯებოდა. მართალია, **სტალინის** სიკვდილის შემდეგ კრეტინმა, კარიერისტმა კომუნისტმა თავკაცებმა დაანგრიეს და დაამახინჯეს ხალხის სასიკეთოდ შექმნილი ქვეყანა, მაგრამ მაინც დღევანდელობის გადასახედიდან სამოთხედ ჩანს. რა ცოდვა გვქონდა ისეთი, რომ ასე გადაგვარებულ-გადაჯიშებულ, უცხოელებზე მიყიდულ, უჭკუო, უმეცარ, მოხვეჭაზე დახარბებულ დემაგოგთა საჯიჯგნი გახადეს ეს უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი ერი.

**აირია ცხოვრება და „ძირს იმპერიის" ღრიალით დაარბიეს ყოველივე სასიკეთო. მერე ტრაბახი დაიწყეს: იმპერია ჩვენ დავშალეთო. შენ რა დაშალე, შე საცოდავო?! როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ ღალატის ნოტზე აწყობილი კომუნისტური „ვერხუშკა" ანგრევდა და ღრღნიდა ძლიერი გონებით ნაგებ ცხოვრებას, რომელიც ტაკიმასხარა გორბაჩოვმა გედის სიმღერით დაასრულა.**

დაიშალა საბჭოთა კავშირი და ყველა მოკავშირე რესპუბლიკა თავისთვის დარჩა. რა გვინდოდა, ვინმემ დამოუკიდებლად არ გაგვიშვა?! რუსეთმა მის ცურზე პირმოკიდებული ყველა რესპუბლიკა თვითონ შემოიფერთხა. ესენი კი იმ კარის მტვრევას იბრალებენ, რომელიც არ არსებობდა.

**საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ყველაზე სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩვენ ვართ. რომელი იბრალებს ასე უსირცხვილოდ ევროპელობას და უთავმოყვარეოდ იხვეწება ნატოში შესვლას? ციცქნა ქვეყანა ავღანეთი ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილზეა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თუ ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების ბითურთა ტრაბახით. ამ პატარა ქვეყნის მეტიჩრობაზე, თავზე საყრელად რომ აქვს პრობლემები, ნატოს წევრ დიდ ქვეყნებს არ ელიმებათ?!**

გაჰყვირიან, — ამერიკელთა სტრატეგიული პარტნიორები ვართო. ციცქნა საქართველოს, თავის გადარჩენა რომ აქვს საზრუნავი, რა აქვს სტრატეგიულად საპარტნიორო ქვეყანასთან, რომელიც მსოფლიოზეა გადამჯდარი?! მგელთან პარტნიორობით შეიძლება იამაყოს ტურამ, ისიც ხომ ხორცის მჭამელი მტაცებელია, მაგრამ რის იმედი აქვს



**საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ყველაზე სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩვენ ვართ. რომელი იბრალებს ასე უსირცხვილოდ ევროპელობას და უთავმოყვარეოდ იხვეწება ნატოში შესვლას? ციცქნა ქვეყანა ავღანეთი ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილზეა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თუ ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების ბითურთა ტრაბახით. ამ პატარა ქვეყნის მეტიჩრობაზე, თავზე საყრელად რომ აქვს პრობლემები, ნატოს წევრ დიდ ქვეყნებს არ ელიმებათ?!**

კურდღელს, როცა ყველა მტაცებელი მას უღრჭენს კბილებს?!

**კურდღელი მგელს ეხუტება,**
**პარტნიორები ვართო,**
**მგელი მას ვახშმად ინახავს,**
**კურდღელი ტრაბახს არ თმობს,** — ხმამაღლა ჩაილაპარაკა.

ეს ქვეყნის საზიანო და სამარცხვინო ისეთივე ახირებაა, როგორიც ქართველი რომ ხარ და თურმე ევროპელი ყოფილხარ. ყველა შერეკილს შეუძლია სოფელ-სოფელ იწანწალოს და იძახოს: მე აფრიკელი ან თუნდაც ანტარქტიდელი ვარო, მაგრამ სავალალოა ის, რომ ეს ნაბოდვარი სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, ისევე, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონით ყველა ბილწი, მყრალი, სქესობრივად გარყვნილი მანიაკების ბოგინი და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონების მუხთლობის ზურგში დანის ჩარტყმის მსგავსი მოლოდინი. არადა, რა გასაკვირია, სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულმა მბრძანებელმა დაავალოს მისი დაკანონება, ვინაიდან მსოფლიოსთვის ამ სისაძაგლის თავზე მოხვევა მისი სტრატეგიის ნაწილია.

ქართველი ხალხის მიერ განვლილი ეკლიანი გზა დამპყრობელთა და მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით არის მორწყული. ესენი კი, თავის დაღწევის მაგიერ, იქით ეტენებიან. სამარცხვინო, რეკომენდაციებად შეთითხნილ ბრძანებებს დიდი მოწიწებით ასრულებენ, ამერიკა-ნატოს მსოფლიო თანამეგობრობად ნათლავენ და თავს ამ თანამეგობრობის წევრად მიიჩნევენ.

— სოროსის ცურნაწოვ, იდიოტიზმით შეპყრობილ, თავხედ უმეცრებს არ სურთ, დაინახონ უფრო დიდი და ხალხმრავალი მსოფლიო, სადაც ეროვნული კეთილდღეობა აქვთ სალოცავად და არა სქესობრივი სიბილწის გაფეტიშება, — აქ ფიქრი გაუწყდა.

ბუნებას უკვე მტრედისფერი სინათლე დაუფლებოდა. მის წინ შაშვმა გაირბინა, ცოტა ხნით შეჩერდა, კაცს დააკვირდა, მერე საძაღლის სახურავზე შეხტა და ჯამით დადგმულ საკენკს შეექცა.

ალვის ხესავით მაღალი და გამხმარი ვაშლის ხის კენწეროზე თურმე შაშვს გაეკეთებინა ბუდე. მოჭრილი ხე მიწას რომ დაენარცხა, ბუდიდან ოთხი ბარტყი გადმოხტა; დაბუმბლულები იყვნენ, მაგრამ ჯერ ფრენა არ შეეძლოთ. დაფეთებულები იქვე დაწყობილი ფიჩხის კონების ქვეშ შეძვრნენ. შეწუხდა. ბუდის არსებობა რომ სცოდნოდა, ხეს არ მოჭრიდა. სადაც შეძვრნენ, ჯამით საკენკი დაუდგა, იქნებ ჭამონ და გადარჩნენო.

საღამოს პატარა შაშვები საკენკს მშვიდად შეექცეოდნენ, იქვე ახლოს მათი მშობლები დაჭახჭახებდნენ; როგორ გაიხარა! ახლა საკენკს ყოველდღე უახლებდა. მოჩიტული წიწილებიც შეექცეოდნენ საკვებს. კრუხი შაშვის ბარტყებს არ უბრაზდებოდა და ერთად დასეირნობდნენ ეზოში.

თენდებოდა და შაშვებმა საამო გალობა დაიწყეს. გალობა კი არა, უფრო გასაუბრება. ყველა მომდევნო ამომღერება განსხვავდებოდა წინასგან, თან ელოდებოდნენ, სანამ მსმენელისგან პასუხს არ მიიღებდნენ.

— თავიანთ ენაზე საუბრობენ, მომაჯადოებელ ჰანგებზე, — გაიფიქრა და აზრები მათ გალობაზეააწყო, როგორც მატარებლის ვაგონების მონოტონურ რაკუნზე მისადაგებული სიტყვა. შაშვებს ხეთა კენწეროები დაეპყროთ და საუბრობდნენ:

— ზაქარ, შენი ჭერმის ქვეშ კაცი რომ ზის, ამდენ ხანს სად იყო? — ჰკითხა კომშის კენწეროზე შემომჯდარმა.

— ავად იყო საწყალი, მან გადამირჩინა ბარტყები, — უპასუხა ზაქარამ.

— შენ საიდან იცი?

— მერცხლებმა მითხრეს, მეც რამდენჯერმე შევიხედე, იწვა, მაგრამ შველა არ შემეძლო, — უპასუხა ზაქარამ.

— შენ რათა, ადამიანები რატომ არ მიეხმა- ▶

**ადამიანთა მოდგმა რაც არსებობს, მისი მსგავსი ბრძენი კაცი, ძლიერი ნებისყოფითა და საქმით, არ ყოფილა. ხალხის სასიკეთოდ თავდადებულს დიდი გამარჯვებები მოუპოვებია და ყველა სულიერისთვის საშიში მტერი მოუსპია. ჩრდილოეთით უზარმაზარი ცივი ქვეყანა რომ არის, იმ ქვეყანას, ჩვენი სამშობლოც და მრავალი სხვაც აუყვავებია; რომელი ხალხი არ ინატრებს ამგვარი შვილის ყოლას. ჩვენთან კი უცხოელთა ლაქია, კუჭის მონა, ჭკვამოკლე მახინჯ პარაზიტთა ხროვა მას ლანძღავს წყალგაღმელთა დაკვეთით. არადა, მისი საქმეები ბედნიერი მომავლის გარანტიაა, რაც ყველა პატიოსანი ადამიანის ოცნებაა**

**გამოსავალი ჩრდილოეთის დიდ ქვეყანასთან მეგობრობაა, ადრე საქართველო რომ გადაარჩინა და ააყვავა. ახლა ყველა, ვისაც რაღაც თანამდებობა აქვს, წყალგაღმელთა დავალებით მას აგინებს, ხალხს კი არავინ არაფერს ეკითხება, — განმარტა მარკოზამ და განაგრძო, — უცხოეთის მიერ დაშინებული ხელისუფლება გაპარსულ ზღარბს დაამსგავსესე. ახლა ან ეკალს გამოისხამს, მყარად დადგება ხალხის მხარეს და ამ მოღალატეებს მოფშვნის, თავს დააღწევს წყალგაღმელთა ლაქიობას, ჭეშმარიტ მშველელთან იმეგობრებს და გმირთა რიგებში საპატიო ადგილს დაიკავებს, ან ისე გაქრება, როგორც სხვა მუცლისმონა პარაზიტი.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რებიან? — საუბარში ჩაერთო კაკალზე მჯდომი.

— ადამიანებს ისეთი გაჭირვება სჭირთ, თავიანთი ქვეყნიდან გარბიან, აბა, ნახე, რამდენი ბინა და კარმიდამოა გამოკეტილი. ვინც დარჩა, გამოსავალს გახიზვნაში ეძებს; მხოლოდ ბობოლებილა ბაირამობენ. ბებრები კი გაჭირვებაში ფართხალებენ.

— ვაი, ვაი, ვაი, რა დღეში ყოფილან საწყლები! — ერთხმად შეიცხადეს შაშვებმა.

— ხელისუფლება რატომ არ ეხმარებათ?

— რის დამხმარენი არიან?! მერცხლებმა ისიც თქვეს, რომ იმ თბილ ქვეყნებში, ზამთრობით რომ მიფრინავენ, მერცხალჭამია ხალხს უცხოვრია, ბევრი ფული ჰქონიათ და აქაური ფულზე დახარბებული ბედოვლათებისგან მოქალაქეობასა და მიწებს ყიდულობენ თურმე. ისინი აქ არ მომრავლდნენო, — ეშინიათ მერცხლებს.

— მერცხალჭამიები არც ჩვენ დაგვაყრიან ხეირს, — შეწუხდნენ შაშვები.

— ჩვენი ადამიანები გადაშენდებიან? — იკითხა რცხილის ტოტზე შემომჯდარმა.

— გადაშენდებიან, აბა, რა. შორს, **დიდი წყლის იქით, რაღაც ევროპა ყოფილა, და იქაური წვრილ-მსხვილი ქვეყნები უჭერენ თურმე მხარს, სწორედ ისინი ყოფილან ჩვენთან გაბატონებული. სულ მათ მონა ყეყეჩებს ნიშნავენ თანამდებობებზე. თანაც პარტიებად წოდებულ ჯგუფებსა და უმეცარ, თავხედ ახალგაზრდებს არასამთავრობოებად ქირაობენ, ისინიც ჭირად ექცევიან ამ სიკეთის მადლით ნაკურთხ საქართველოს.**

— მხცოვანი მარკოზა მოსულა, ახლოს მოვიდეს, მაგან ყველაფერი იცის, — გაუხარდათ შაშვებს.

— საკენკზე დახარბებულები ვიღაც უცხოელებისგან ქვეყნის საზიანო დავალების შესრულებას რატომ კადრულობენ?! — აღელდა ვაშლზე მჯდომი აგრაფინა.

— ყველაზე საზარელ ღალატსა და მტრობაზე უარესია, როცა ქვეყნის ერთგულების ნიღაბაფარებული მოხელე თავკაცი სამშობლოს დამღუპველ შეკვეთებს ასრულებს, — უპასუხა მარკოზამ, რომელმაც სულ ახლოს, ალუბლის ხეზე გადმოინაცვლა.

ამ მომენტში კაკალზე გულყვითელამ დაიწყო „ბიჭო-გოგიას“ ძახილი.

— რა ველარ იპოვე შენი გოგია, წადი აქედან, ხელს ნუ გვიშლი დილის გალობაში! — მიეჭრა აგრაფინა გულყვითელას და ფრთების ფართხუნით გააძევა. ის კი შორს, ცაცხვის ხეზე შემოჯდა კვლავ „ბიჭო-გოგიას“ ხმობით.

— მარკოზ-ბატონო, თავკაცად ჭკვიანი, ხალხის ერთგული, სამშობლოსათვის შეწირული, უანგარო და მართალი კაცი ვერ მოუძებნიათ, ესენი რომ გადაარჩინოს? — ჰკითხა ზაქარამ.

— ხომ გითხარით, თანამდებობებზე იმ წყალგაღმელი ბატონების მიერ შერჩეულ კაცებს სვამენ, ხალხს კი ატყუებენ, ვითომ დემოკრატიულად აირჩიეთო.

— ეგ დემოკრატიულად რაღაა?

— დემოკრატიულად ის არის, კაკანათში საკენკი რომ დაგვიყარონ, ბითურები ვინც არიან, შევიდნენ და... კარგად მეყოლე.

— კაკანათის გარეთ რომ რჩებიან?

— მათ, ვინც გარეთ რჩება, ყურს არავინ უგდებს.

**— ყველაზე დიდი თანამდებობა თურმე პრეზიდენტობაა, ადრე ვიღაც თავქარიანი აყლაყუდა ყოფილა პრეზიდენტი, ქართველებს საშინელ უბედურებად ქცევიათ, მაგრამ, როგორც იქნა, მოუშორებიათ. ახლა იმ წყალგაღმელი მბრძანებლების წაქეზებითა და მფარველობით, უცხოეთში გაქცეული, გვარიანად უწამლავს ხალხს ცხოვრებას,** — ჩაიგალობა ზაქარამ.

— იმ აყლაყუდას შემდეგ მოსულ ხელისუფლებას წყალგაღმელებმა შეაპარეს პარტიებად წოდებული მოღალატეები და გვარიანად აურიეს ცხოვრება. ახლა აყლაყუდას დარჩენილი მომხრეები ასპიტებივით დასევიან ამ ხელისუფლებას, მათ ყველა ფუქსავატი და ნაგავი პარტიებიც ემხრობა, თურმე ხელისუფლებას ყველა სასიკეთო საქმის გაკეთებაში უშლიან ხელს, — განმარტა მარკოზამ.

— მათაც ყველა მოღალატე და გამყიდველი მოიცილონ, აქედან გარეკონ ან კაკანათში გამოამწყვდიონ, — ჩაერია ტყიდან მოფრენილი შაშვი.

— ხელი ვერ უხლიათ, მათი მფარველებისა ეშინიათ. წყალგაღმელები, რომელი ხელისუფლებაც არ მოსწონთ, აწიოკებენ, უფროსებს კი ხოცავენ. ამათაც ეშინიათ, ეგრე არ მოგვექცნენო და ის მოღალატეები თამამად დაშლიგინებენ — პარლამენტში თუ მთავრობაში სამუშაოდ არ უშვებენ.

— მართლა დიდი საფრთხის წინაშე ყოფილა ეს ხელისუფლება, მაგრად აირევა ქვეყანა, — დაასკვნეს შაშვებმა.



**ქართველი ხალხის მიერ განვლილი ეკლიანი გზა დამპყრობელთა და მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით არის მორწყული. ესენი კი, თავის დაღწევის მაგიერ, იქით ეტენებიან ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორებს. სამარცხვინო, რეკომენდაციებად შეთითხნილ ბრძანებებს დიდი მონიწებით ასრულებენ, ამერიკა-ნატოს მსოფლიო თანამეგობრობად ნათლავენ და თავს ამ თანამეგობრობის წევრად მიიჩნევენ**

— მარკოზ-ბატონო, გამოსავალი იქნებ გამოჩნდეს და ეგ ასპიტები მოიცილონ ან ქვეყნიდან გააქციონ.

— გამოსავალი ჩრდილოეთის დიდ ქვეყანასთან მეგობრობაა, ადრე საქართველო რომ გადაარჩინა და ააყვავა. ახლა ყველა, ვისაც რაღაც თანამდებობა აქვს, წყალგაღმელთა დავალებით მას აგინებს, ხალხს კი არავინ არაფერს ეკითხება, — განმარტა მარკოზამ და განაგრძო, — უცხოეთის მიერ დაშინებული ხელისუფლება გაპარსულ ზღარბს დაამსგავსეს. ახლა ან ეკალს გამოისხამს, მყარად დადგება ხალხის მხარეს და ამ მოღალატეებს მოფშვნის, თავს დააღწევს წყალგაღმელთა ლაქიობას, ჭეშმარიტ მშველელთან იმეგობრებს და გმირთა რიგებში საპატიო ადგილს დაიკავებს, ან ისე გაქრება, როგორც სხვა მუცლისმონა პარაზიტი.

— თურმე ვინც იმ წყალგაღმელთა ლაქია თავკაცია, თავის ხალხს რომ მტრობენ, ძაღლიშვილებს ეძახიან. და მათ სულ ასეთ პრეზიდენტებს უნიშნავენ, — ამოიმღერა კომშზე მჯდომმა.

— ახლა ერთი ბოლოქანქარა გაფრანგებული დედაკაცი ჰყავთ პრეზიდენტად, უთქვამს: სტალინი ქართველი არ იყოო, — ჩაიგალობა კაკალზე მჯდომმა.

— ეგ სტალინი ვინღაა, გაგვარკვიე, მარკოზ-ბატონო, — შეეხვეწნენ შაშვები.

**— ადამიანთა მოდგმა რაც არსებობს, მისი მსგავსი ბრძენი კაცი, ძლიერი ნებისყოფითა და საქმით, არ ყოფილა. ხალხის სასიკეთოდ თავდადებულს დიდი გამარჯვებები მოუპოვებია და ყველა სულიერისთვის საშიში მტერი მოუსპია. ჩრდილოეთით უზარმაზარი ცივი ქვეყანა რომ არის, ის ქვეყანა, ჩვენი სამშობლოც და მრავალი სხვა მას აუყვავებია; რომელი ხალხი არ ინატრებს ამგვარი შვილის ყოლას. ჩვენთან კი უცხოელთა ლაქია, კუჭის მონა, ჭკვამოკლე მახინჯი პარაზიტთა ხროვა მას ლანძღავს წყალგაღმელთა დაკვეთით. არადა, მისი საქმეები ბედნიერი მომავლის გარანტიაა, რაც ყველა პატიოსანი ადამიანის ოცნებაა,** — იგალობა მარკოზამ.

— ვახ, ვახ, ხედავთ, რა მაგარ ხალხთან ვცხოვრობთ! — აჭახჭახდნენ შაშვები.

— იმ წყალგაღმელებმა ერთხელ ქალიც კი დაუნიშნეს თავდაცვის მინისტრად, — ავიშვიშდა ტყიდან მოფრენილი შაშვი.

— ჩვენი აგრაფიანასავით, მანაც ხო მოიგერია გულყვითელა, — გამხიარულდნენ შაშვები.

— იმ ვიღაც უცხოელებზე მიყიდულ დედაკაცს ნუ მადარებთ, მე ჩემი შაშვური ჯიშისა და ჯილაგის ერთგული ვარ და ბარტყებსაც შაშვეთის ერთგულებად ვზრდი! — გაბრაზდა აგრაფინა.

— აგრაფინა მართალია, წყალგაღმელთა ლაქია დედაკაცის შესადარებელი რა სჭირს შაშვეთისადმი თავდადებულ ფრთოსანს?! — დაასკვნა მარკოზამ.

— ჩვენ შორის ვერ იბოგინებს ყვავის, ძერას, მიმინოსა და სხვა მტაცებლის ლაქიობის მკადრებელი. მშობლიური ჯიშისა და ჯილაგის უცხოელთა საკენკზე გამცვლელს თავისი მოდგმის რისხვა არ ასცდება, შხამად შეერგება ნაძარცვი და ნაარმალი! — ააფართხუნეს ფრთები აღელვებულმა შაშვებმა.

— როგორც ვატყობ, აქ თქვენი ცხოვრება გართულდება. ტყეში წამოდით, შეიძლება მტაცებლებმა შეგვაწუხონ, მაგრამ იქ აუარებელი მაყვალი და სხვა კენკრაა, ახლა აღარავინ მოდის დასაკრეფად და ლპება, — მიიპატიჟა ტყიდან მოფრენილმა შაშვმა.

— ვინ დაკრეფს, ახალგაზრდები უცხო ქვეყნებში გაფრენაზე ფიქრობენ, ბებრები კი ძლივს დაათრევენ დამძიმებულ სხეულს, — უპასუხა კომშზე მჯდომმა.

— ამ კარ-მიდამოს არ მივატოვებთ. ეს კაცი ჩვენთან მეგობრობით ცოცხლობს. აუგად ვერავინ აგვიქნევს ხელს. თუ ბედი გაგვიწყრა და მერცხალჭამიებმა იმძლავრეს, ტყეში გადავბარგდებით, მაგრამ საწყალ მერცხლებს რა ეშველებათ, მის ბინაში ასე რომ ნებივრობენ?! — აიშალნენ შაშვები.

ზაქარა ხიდან ჩამოფრინდა, კაცის წინ დაჯდა, ერთხანს უყურა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, მერე საძაღლეზე შეხტა, საკენკი დაათვალიერა და ეზოში ქათმებთან მოფუსფუსე შაშვებში გაერია.

კაცი კუნძიდან ადგა, თავის სახლს გახედა. მერცხლებს დიდი საოჯახო ფუსფუსი ჰქონდათ; სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

— ჰმ, მერცხალჭამია **უცხოელები დაიკავებენ აქაურობას და ქართველთა ხსენებას გააქრობენ? შაშვები ასე განიცდიან, ადამიანები კი ცხვრებად ვიქეცით. ნახეთ, რა თქვეს: უცხოელთა მიერ დაშინებული ხელისუფლება თუ ეკალს გამოისხამს, ხალხის მხარეს დადგება, მოღალატეებს მოფშვნის, წყალგაღმელთა ლაქიობას თავს დააღწევს და ჭეშმარიტ მშველელთან იმეგობრებს, გმირთა რიგებში საპატიო ადგილს დაიკავებს, თუ არადა, ისე გაქრება, როგორც მუცელს გადაყოლილი პარაზიტიო. ყველა მოღალატის ბოლო სამარცხვინო გაქრობაა, არც ქართველობა დაკნინებულა ისე, რომ მოღალატეები დამსახურებისამებრ არ მოაშთოს. ბევრი უბედურება მოგვინელებია და ქართველი ერის არტერიაზე პარაზიტად მომჯდარ ყველა მოღალატე ძაღლიშვილსაც ეს დღე ელის!** — უცებ გაჩუმდა, იქაურობას თვალი მოავლო და მზით ანთებულ ზეცას იმედიანად შეხედა.

ალუბლის ხეზე შემომჯდარი მხცოვანი შაშვი მარკოზა გალობას ამთავრებდა:

წავა, წავა, ყველა წავა,
მოსვლა წასვლის დარია,
ზოგის წასვლა დარჩენაა,
ზოგი ისეც მკვდარია.

**უცხოელები დაიკავებენ აქაურობას და ქართველთა ხსენებას გააქრობენ? შაშვები ასე განიცდიან, ადამიანები კი ცხვრებად ვიქეცით. ნახეთ, რა თქვეს: უცხოელთა მიერ დაშინებული ხელისუფლება თუ ეკალს გამოისხამს, ხალხის მხარეს დადგება, მოღალატეებს მოფშვნის, წყალგაღმელთა ლაქიობას თავს დააღწევს და ჭეშმარიტ მშველელთან იმეგობრებს, გმირთა რიგებში საპატიო ადგილს დაიკავებს, თუ არადა, ისე გაქრება, როგორც მუცელს გადაყოლილი პარაზიტიო. ყველა მოღალატის ბოლო სამარცხვინო გაქრობაა. არც ქართველობა დაკნინებულა ისე, რომ მოღალატეები დამსახურებისამებრ არ მოაშთოს. ბევრი უბედურება მოგვინელებია და ქართველი ერის არტერიაზე პარაზიტად მომჯდარ ყველა მოღალატე ძაღლიშვილსაც ეს დღე ელის!**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## იმელდა მარკოსი

ამჟამად ის ფილიპინების ოდესღაც ყოვლისშემძლე პრეზიდენტ ფერდინანდ მარკოსის ქვრივია. ფერდინანდ მარკოსის მმართველობის 30 წლის განმავლობაში იმელდა ფილიპინების დედაქალაქ მანილის გუბერნატორი იყო. დღეს იმელდა 89 წლისაა და შესანიშნავად გამოიყურება.



ძალაუფლების მიუხედავად, რომელიც მათ მეუღლეებისგან მიიღეს, ეს მდიდარი და ცნობილი ქალები გარეგნობაზე თამამი ექსპერიმენტების ჩატარების უფლებას თავს ვერ მისცემენ, თუმცა ყველა წესს აქვს გამონაკლისი. ნახეთ, როგორ გამოიყურებიან მეუღლეები ძლიერთა ამა ქვეყნისა.

# ტოტალიტარული სილამაზე: როგორ გამოიყურებიან დიქტატორების ცოლები









## რანია ალ-აბდულა

იორდანიის მეფის — **აბდულა II**-ის მეუღლე. პალესტინის დედოფალი თავისი ქვეშევრდომებისთვის სილამაზის ხატებაა და არა მხოლოდ მათთვის. ინტერნეტგამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტებმა ის შოუბიზნესის ბევრ წარმომადგენელზე მიმზიდველად მიიჩნიეს და „ელეგანტურობის დედოფლის" ტიტული მიანიჭეს. სახელგანთქმულმა დიზაინერმა **ჯორჯო არმანიმ** კი მას ცხოვრების მთავარი მუზა უწოდა.



## შანტალ ბიია

კამერუნის პრეზიდენტის ცოლი საზოგადოებაში ყოველი გამოჩენისას ანგრევს შაბლონებს და არად აგდებს დრესკოდს.

შანტალის სავიზიტო ბარათი ჰიპერმოცულობითი ვარცხნილობა და კაშკაშა ფერის თმაა, და ასეთივე მაკიაჟი. ამ ყველაფერთან ერთად კამერუნის პირველი ლედი მასიური საყურეებითა და თვალისმომჭრელი სამოსითაც გამოირჩევა.



## ნტანდო დუბე

სიაში ყველაზე ახალგაზრდაა სვაზილენდის მეფის მეუღლე. სხვათა შორის, ის ერთ-ერთია 15 ცოლს შორის. სქელმა ტუჩებმა, ფართო ცხვირმა და მაკიაჟით ხაზგასმულმა მორკალულმა წარბებმა ნტანდო აფრიკელი ლამაზმანების სარეიტინგო სიაში ჩაწერა.









## ლი სოლ ჩჟუ

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ **კიმ ჩენ ინის** მეუღლის — **ლი სოლ ჩჟუს** ზუსტი წლოვანება ცნობილი არ არის. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მისი დაბადების თარიღი 1985-1989 წლების დიაპაზონშია. „ბავშვური" სახიდან და ფაიფურის მსგავსი კანიდან გამომდინარე, მისი წლოვანების დადგენა მართლაც ძნელია. სათნო გარეგნობის მიუხედავად, ლი სოლ ჩჟუს დიდი გავლენა აქვს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერზე. სახელდობრ, ლი სოლ ჩჟუს დამსახურებაა ის, რომ, კიმ ჩენ ინის განკარგულებით, ჩრდილოკორეელ ქალებს უფლება აქვთ, ჩაიცვან შარვალი და იარონ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, აგრეთვე, ისეირნონ ველოსიპედით.



## ანა პაულა დუშ სანტუში

ანგოლის პრეზიდენტი თითქმის 20 წლით უფროსია ცოლზე, თუმცა ისიც ახალგაზრდად გამოიყურება თავის წლებთან შედარებით. ანა პაულა იცავს პროტოკოლს და კლასიკურ მაკიაჟს ირჩევს. ის თავის დროზე ატარებდა ექსპერიმენტს ვარცხნილობასა და, საერთოდ, გარეგნობაზე, მაგრამ ახლა თავშეკავებული სტილით გამოირჩევა.



## შეიხა მოზა ბინტ ნასერ ალ-მისნედი

ხალხში, უბრალოდ, მოზა ალ-მისნედი. ყატარის ემირის სამიდან მეორე ცოლი განათლების ნაციონალურ ფონდს ხელმძღვანელობს და რამდენიმე თანამდებობა უკავია მთავრობაში. მას აქვს დასავლური უნივერსიტეტების სამეცნიერო ხარისხები. 7 შვილის დედა. 61 წლის მოზა ალ-მისნედი შესანიშნავად გამოიყურება. ყატარის ტანადი საზოგადო მოღვაწე თავის ფიგურას ხაზს უსვამს შესანიშნავად მორგებული სამოსით, ამასთანავე, იცავს რელიგიის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**






**ალექსანდრე ალეხინი ჩემპიონთა შორის რეკორდსმენია გამარჯვებების რაოდენობით. 1240 ოფიციალური ორთაბრძოლიდან მან 719 პარტია მოიგო — 58%. შესადარებლად: კაპაბლანკას, ლასკერისა და ფიშერის მაჩვენებელი 55%-ია, ეივესა და ბოტვინიკის — 47%, კასპაროვის — 42%, კარპოვის — 37%. სწორედ ამიტომ ითვლება ალეხინი უძლიერეს მოჭადრაკედ ისტორიაში.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჭადრაკის მეფე, რომელმაც ტიტული სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა

**გენიალური მოჭადრაკე, მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი ჭადრაკში, სამართლის დოქტორი ალექსანდრე ალეხინი (და არა „ალიოხინი") 1892 წლის 19 ოქტომბერს დაიბადა მოსკოვში, დიდგვაროვანთა ოჯახში.**

ალექსანდრე ალეხინმა ჭადრაკის თამაში 7 წლისამ დაიწყო — ფიგურების გადაადგილება დედამ ასწავლა. ჭადრაკით სერიოზულად რომ დაინტერესდა, 12 წლის იყო, თამაში დაიწყო მიმოწერით ტურნირებში.

მოზარდი ალექსანდრე ჭადრაკმა ისე გაიტაცა, რომ მშობლები იძულებულნი იყვნენ, მისთვის საჭადრაკო დაფასთან ჯდომა აეკრძალათ, თანაც, მან გადაიტანა მენინგიტი — ძალიან მძიმე დაავადება, რომელმაც უამრავი სიცოცხლე შეიწირა.

ჭადრაკის მომავალი ჩემპიონი მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში სწავლობდა. მისი კლასელები იხსენებდნენ, რომ ალექსანდრე ჩაკეტილი და უკარება იყო, არავისთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა და გაკვეთილებზე საჭადრაკო პარტიებს აანალიზებდა, რადგან იმხანად მოდური იყო ჭადრაკის მიმოწერით თამაში. მას არ აინტერესებდა არც კლასელების რევოლუციური გატაცებები, არც საყოფაცხოვრებო საკითხები, არც იმხანად მოდური მწერლების შემოქმედება და თეატრი. ყმაწვილი ალეხინის ერთადერთი გადაცება ჭადრაკი იყო. მოგვიანებით გაუჩნდა კიდევ ერთი გასართობი — სიამის კატა სახელად ჩესი, რომელსაც ალეხინი (უკვე მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკე) თილისმად მიიჩნევდა, მატჩებზე ყოველთვის მიჰყავდა და თავის გვერდით სვამდა.

ალსანიშნავია, რომ, **ჭადრაკით ასე გატაცების მიუხედავად, ალეხინი ყველა საგანში ფრიადოსანი იყო. მეხსიერება მართლაც ფენომენური ჰქონდა. მოგვიანებით, როცა სახელი გაითქვა, მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკეები გაოცებას ვერ მალავდნენ, რომ ალეხინს მის მიერ ნათამაშები ყველა პარტია ახსოვდა, თუმცა ცხოვრებაში დაბნეული და გულმავიწყი იყო.**

1916 წლის ალეხინმა პირველ თამაში საერთაშორისო ტურნირში გერმანიაში. გამარჯვება ვერ მოიპოვა, მაგრამ ცუდად არუთამაშია — ცნობილ ოსტატებს ტოლი არ დაუდო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე პეტერბურგში გაიმართა გრანდიოზული საჭადრაკო ტურნირი ძალიან ძლიერი მოჭადრაკეების მონაწილეობით. შეჯიბრების მთავარი ფავორიტები იყვნენ მსოფლიოს პირველი ჩემპიონი **ემანუელ ლასკერი**, მსოფლიო ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი **ხოსე რაულ კაპაბლანკა**, ძლიერი გერმანელი მოჭადრაკე **ზიგბერტ ტარაში** და ამერიკელი **ფრენკ მარშალი**. ტურნირში სულ 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ალეხინმა მე-3 ადგილი დაიკავა, პირველი იყო ლასკერი, მეორე — კაპაბლანკა.

მალე დაიწყო I მსოფლიო ომი და დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირები აღარ იმართებოდა. ალეხინი რუსეთში იყო და თანამედროვე ოსტატებს ეთამაშებოდა. აგრეთვე, თვალახვეული თამაშობდა სეანსებს, რომლებიც ხშირად საქველმოქმედო იყო.

1916 წელს ალეხინი ფრონტზე წავიდა „წითელი ჯვრის" რაზმთან ერთად და რამდენიმე მეომარი იხსნა სიკვდილისგან, ამისთვის დაჯილდოებულიც იყო.

1920 წელს ალეხინი დაქორწინდა მოსკოვში ჩასულ შვეიცარიელ სოციალ-დემოკრატ ქალზე და მასთან ერთად დატოვა რუსეთი.

ევროპაში გადაბარგებულმა ალეხინმა აქტიური საჭადრაკო ცხოვრება დაიწყო. მონაწილეობდა კონტინენტზე გამართულ ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირში და ხშირად გადიოდა პირველ ადგილზე.

უკვე 1920-იანი წლების შუაში ცხადი იყო, რომ ალეხინი მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეების, სულ ცოტა, ხუთეულში შედიოდა.

თვითონ ალეხინი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩზე ოცნებობდა კაპაბლანკასთან, რომელიც იმ მომენტში მსოფლიოს ყველა მოჭადრაკეზე დომინირებდა და უძლიერეს მოთამაშედ ითვლებოდა, მაგრამ მატჩის ჩატარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ კაპაბლანკამ მკაცრი პირობები წაუყენა პრეტენდენტებს, რომლებსაც მისი გამოწვევა სურდათ — საჩემპიონო მატჩი კაპაბლანკას პირობებით (6 გამარჯვებამდე პარტიების შეუზღუდავად) უნდა გამართულიყო და, რაც მთავარია, გამარჯვებულის საპრიზო ფონდი პრეტენდენტს უნდა შეევსო. ამ ფონდს კაპაბლანკა 10 ათას დოლარად აფასებდა. იმხანად ეს დიდი თანხა იყო (დღევანდელი კურსით დაახლოებით 140 ათასი) და ალეხინს ამდენი ფული არ ჰქონდა, ამიტომ საჩემპიონო მატჩს 6 წელიწადს ელოდა. მატჩის ორგანიზებაში დაეხმარა არგენტინის ხელმძღვანელობა იმ პირობით, რომ შეხვედრა ბუენოს-აირესში ჩატარდებოდა.

მატჩი დაიწყო 1927 წლის სექტემბერში და დასრულდა ნოემბრის ბოლოს. მეტოქეებმა 34 პარტია ითამაშეს (იმ მომენტისთვის აბსოლუტური რეკორდი). შეხვედრის წინ ყველა დარწმუნებული იყო კაპაბლანკას გამარჯვებაში, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა, თანაც მანამდე 5-ჯერ ჰყავდა დამარცხებული ალეხინი, რომელსაც მასთან ერთი მოგებაც არ ჰქონდა, ამიტომ ყველა განაცვიფრა ალეხინის გამარჯვებამ დიდი უპირატესობით — 6:3.

ალეხინი მეოთხე მსოფლიო ჩემპიონია ჭადრაკში **სტეინიცის, ლასკერისა** და **კაპაბლანკას** შემდეგ. წაგებულმა კაპაბლანკამ მყისვე მოითხოვა მატჩ-რევანში, მაგრამ ახლა უკვე ალეხინმა წამოაყენა იგივე პირობები, რომლებითაც ითამაშა საჩემპიონო მატჩი, კაპაბლანკას კი მათი შეცვლა სურდა. მოწინააღმდეგეები ვერ შეთანხმდნენ და მათ შორის მატჩ-რევანში არ გამართულა. შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში ალეხინი იოლად იგებდა ტურნირებს, მოგზაურობდა ერთი ქვეყნიდან მეორეში და მართავდა ერთდროულ სეანსებს, წერდა და გამოსცემდა წიგნებს. მან ორჯერ დაიცვა ჩემპიონის ტიტული — ორივეჯერ **ეფიმ ბოგოლიუბოვი** დაამარცხა.

1934 წელს ალიოხინი დაქორწინდა ამერიკელ-ბრიტანელ მოჭადრაკე ქალზე (საკმაოდ მდიდარ ქვრივზე) — **გრეის ვისხარზე.** ამ მომენტიდან მას იღბალმა შეაქცია ზურგი. დაიწყო ბავშვური შეცდომების დაშვება. თუ ადრე თითქმის ყველა ტურნირს იგებდა, ახლა ცხრილის შუაში ხვდებოდა ხოლმე. მისი ასეთი ჩავარდნა გამოწვეული იყო ორი ფაქტორით: პირველი — მოტივაციის დაკარგვა. კაპაბლანკას დამარცხების შემდეგ ძნელი იყო ახალი სტიმულის პოვნა და ამიტომ ძალიან მოდუნდა; მეორე — ალეხინმა ალკოჰოლის ხშირი მიღება დაიწყო და ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა მის შედეგებზე.

1935 წელს გაიმართა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ალეხინსა და ნიდერლანდელ **მაქს ეივეს** შორის. რუსი მოჭადრაკე ყველას ფავორიტად მიაჩნდა და მატჩის დასაწყისში ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ბოლო პარტიები წააგო და ეივემ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა — 15,5:14,5. ალეხინმა ძალები მოიკრიბა და 1937 წელს მატჩ-რევანში გამართა ეივესთან.

ალეხინმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვა — 15,5:9,5 და დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად შეწყდა მისი, როგორც მოჭადრაკის, ცხოვრება. ომის დასრულების შემდეგ მაქს ეივემ ამერიკელების მხარდაჭერით წამოიწყო ალეხინის საწინააღმდეგო კამპანია, რათა რუსი მოჭადრაკისთვის (იმხანად ის საფრანგეთის მოქალაქე იყო) მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოერთმიათ თითქოს გერმანელებთან კოლაბორაციონიზმის გამო. აღსანიშნავია, რომ თვითონ ეივე საჭადრაკო ფედერაციას ხელმძღვანელობდა ნიდერლანდებში, რომელიც ნაცისტების მოკავშირე იყო. მსოფლიოს ბევრმა მოჭადრაკემ მხარი დაუჭირა ეივეს, მაგრამ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ მოითხოვა, საკითხი განსახილველად ფიდესთვის (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) გადაეცათ.

სანამ ფიდე ალეხინის დისკვალიფიკაციის საკითხს განიხილავდა, 1946 წლის 24 მარტს ალეხინი პორტუგალიაში, სასტუმროს ნომერში, საჭადრაკო დაფასთან სავარძელში ჩამჯდარი გარდაცვლილი იპოვეს.

ალექსანდრე ალეხინი ისტორიაში ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონია, რომელიც ამ რანგში გარდაიცვალა. ამრიგად, ის დაუმარცხებელი (მეორე დაუმარცხებელ მსოფლიო ჩემპიონს, ბობი ფიშერს წოდება ჩამოართვეს პრეტენდენტთან მატჩის გამართვაზე უარის გამო და ამით, ფაქტობრივად, დაასრულა კარიერა, თუმცა ფორმალურად არ დამარცხებულა) წავიდა იმქვეყნად.

ალექსანდრე ალეხინი ჩემპიონთა შორის რეკორდსმენია გამარჯვებების რაოდენობით. 1240 ოფიციალური ორთაბრძოლიდან მან 719 პარტია მოიგო — 58%. შესადარებლად: კაპაბლანკას, ლასკერისა და ფიშერის მაჩვენებელი 55%-ია, ეივესა და ბოტვინიკის — 47%, კასპაროვის — 42%, კარპოვის — 37%. სწორედ ამიტომ ითვლება ალეხინი უძლიერეს მოჭადრაკედ ისტორიაში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




ალეხინი და მისი ცოლი გრეის ვისხარი




ალეხინი და ხოსე რაულ კაპაბლანკა


კაპაბლანკა (მარცხნივ) და ალეხინი


ალეხინის უკანასკნელი ფოტო

# ელენე ხოშტარია: ამერიკელი კონგრესმენი საქართველოზე მაღლა დგას



**„ევროპული საქართველოს“ რუსეთში „დახატული“ სახე — ელენე ხოშტარია საქართველოს ხელისუფლებას ემუქრება და აფრთხილებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტზე მაღლა ამერიკელი კონგრესმენების და, საზოგადოდ, ამერიკის სურვილი დგას.**

„შეთანხმება ორი პაკეტისგან შედგება, რომელზეც ხელი მოეწერა და შესაბამისად, მთლიანად შეთანხმება ჩავარდება, თუ ეს ასე არ მოხდება, მაგრამ ამ სცენარზე საუბარი არ მინდა. იმიტომ, რომ ნოემბერში, როცა **ბიძინა ივანიშვილმა** საზოგადოება მოატყუა, ეგონა, ეს გაუვიდოდა, მაგრამ არც საზოგადოების შიგნით გაუვიდა და, რაც მთავარია, ამას დღეს ახალი ფაქტორი დაემატა, ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების უშუალო მედიაცია, რაც კიდევ უფრო ძლიერი ფაქტორია. ვერ წარმომიდგენია, ბიძინა ივანიშვილმა აშშ-ის ელჩთან გატეხოს სიტყვა და პოლიტიკური თვითმკვლელობით დაამთავროს“, — ამის შესახებ ელენე ხოშტარიამ საქართველოს პირველი არხის გადაცემა „კვირის ინტერვიუში“ სტუმრობისას განაცხადა.

**„უნდა გესმოდეს, რომ ეს არ უნდა თქვა შენს პარტნიორებსა და კონგრესმენებზე, მით უმეტეს, აშშ-ში. რა თქმა უნდა, მივიღეთ სრულიად კონსოლიდირებული ამერიკის პოზიცია, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ გადაწყვეტილებაში, რომელიც არის დემოკრატიის მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, ამერიკელების წონა და ძალა ძალიან დიდია; ფული, რესურსი და ა.შ. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ელჩის წვლილიც ძალიან დიდი იყო“,** — აღნიშნა ელენე ხოშტარიამ.

ge.news-front.info



# რუსეთმა ორბიტული სადგურიდან დედამიწაზე ენერგიის გადაცემის სისტემა დააპატენტა

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის რადიოტექნიკურმა ინსტიტუტმა მოიპოვა პატენტი ენერგიის გადაცემაზე ორბიტული მზის ელექტროსადგურიდან დედამიწაზე, — აღნიშნულია ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახურის მონაცემებში.**

დოკუმენტის თანახმად, მეცნიერებს სურთ, 300-დან 1000 კმ-ის სიმაღლის ორბიტაზე გაიყვანონ ელექტროსადგური, რომელიც დედამიწაზე არსებულ მიმღებ პუნქტს ელექტროტალღების მეშვეობით გადასცემს ელექტროსადგურის აკუმულატორებში დაგროვებულ ენერგიას. კოსმოსიდან დედამიწის ელექტრომომარაგებას შეუძლია უზრუნველყოს ენერგიის უსადენოდ გადაცემა უშუალოდ მისი მოხმარების ძნელად მისადგომ რაიონებში.

ამერიკელებმა 1971 წელს მოიპოვეს ანალოგიური პატენტი, რომელშიც პირველად იყო ნახსენები მზის კოსმოსური ელექტროსადგურის შექმნის იდეა. იმხანად ელექტროსადგურის განლაგებას ვარაუდობდნენ 36 ათასი კმ სიმაღლის გეოსტაციონარულ ორბიტაზე, რაც საშუალებას მისცემდა სადგურს, დედამიწის ზედაპირის, პრაქტიკულად, ერთი და იმავე ადგილის თავზე ყოფილიყო და უზრუნველეყო ელექტროენერგიის მუდმივი გადაცემა დედამიწაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ენერგიის მიმღები სადგური განლაგებული უნდა იყოს ეკვატორზე. რუსი მეცნიერების იდეით კი, ენერგიის გადაცემა დედამიწის სხვა რეგიონებშიც შეიძლება.

2018 წლის ივლისში ჰოლდინგ „შვაბეს“ გენერალური დირექტორის მოადგილე **სერგეი პოპოვმა** განაცხადა, რომ რუსი მეცნიერები მუშაობენ სარკე-რეტრანსლატორის მქონე ორბიტულ ლაზერზე, რომელსაც შეეძლება მზის ენერგიის გადაცემა დედამიწის იმ ნაწილში, რომელზეც შეუძლებელია ან ძალიან რთულია ელექტროსადგურის აგება.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# რატომ მაინცდამაინც ამერიკის ელჩის ჩარევის შემდეგ «გაიაზრა» მმართველმა ძალამ სახელმწიფო ინტერესები?

**„საარჩევნო საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებებზე პოლიტიკური შეთანხმება ნიშნავს დემოკრატიულ გარემოში მაღალი სტანდარტებით ჩატარებულ არჩევნებს. „ქართული ოცნების“ მხრიდან დადებული პირობა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება იმ საარჩევნო სისტემითა და პრინციპებით, რომლებზეც შეთანხმდა ოპოზიციურ სპექტრთან, მიმაჩნია, რომ არის პოლიტიკური ვითარების ნორმალიზებისთვის წინ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი.**

მმართველი ძალის გადაწყვეტილება ნაკარნახევია სახელმწიფო ინტერებიდან გამომდინარე და ხელს შეუწყობს ქვეყანის სტაბილურ განვითარებასა და დემოკრატიის განმტკიცებას“, — განაცხადა საინფორმაციო სააგენტო „ნიუსფრონტთან“ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ თანათავმჯდომარე **მაია ხარაძემ.**



# ამერიკა-სოროსის თოჯინები გაერთიანდნენ, საქართველო კი დასავლეთის სანაგვედ იქცევა

**მიღწეულია ე. წ. შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ორივე მხარე თვისობრივად ერთ, ლიბერალურ პლატფორმაზე დგას და ამერიკელი მაღალჩინოსნებისა და ჯორჯ სოროსის ფონდის მიერ იმართება. ეს ეხება უკლებლივ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც ნათელაშვილის ოფისში მონაწილეობდა ამ ფარსში და ამერიკის ელჩის მითითებებს ელოდებოდა.**



გასარკვევი რჩება, შესწევთ თუ არა ძალა ალტერნატიულ, მაგრამ დაქსაქსულ პოლიტიკურ პარტიებს, გაერთიანებებს, რათა წინ აღუდგნენ ლიბერალურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას, რომელთა სტრატეგიული გეზი ერთია — უსასრულო და უშედეგო სწრაფვა ნატო-ევროკავშირისკენ, რუსეთთან დაპირისპირების გაგრძელება (ტერიტორიულ მთლიანობაზე უნაყოფო რიტორიკით), საეჭვო საკანონმდებლო ექსპერიმენტების გაგრძელება, ქრისტიანული ფასეულობების თანდათანობითი გაძევება სასწავლო დაწესებულებებიდან და საზოგადოების ცნობიერებიდან, ქვეყანაში წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე უარის თქმა, კაბალური ვალების აღების გაგრძელება, დემოგრაფიულ გადაგვარებასთან შეგუება და ყველაფერი სხვა, რაც კი ქვეყანას ღუპავს.

მეორე მხრივ, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ყველამ თავისი სახე გამოავლინა — ყველანი ერთნი ყოფილან.

**ქართველი ხალხი მათ ან საბოლოოდ გახვეტს წლევანდელ არჩევნებზე ან თავად დაიღუპება. 2024 წელი ველარ გვიშველის, მანამდე უკვე ყველაფერი მომთავრებული იქნება. კიდევ 4 წლით ლიბერალიზმი საბოლოოდ მოსპობს საქართველოს მიერ სუვერენიტეტის მოპოვებისა და განვითარების პერსპექტივებს, საქართველო ჩამოყალიბდება დასავლეთის დანამატად, პირდაპირ ვიტყვი — სანაგვედ, სადაც დასავლეთი თავის ფიზიკურ და ინტელექტუალურ ნაგავს მოუყრის თავს.** ეს ტენდენცია, უკვე კარგა ხანია, არსებობს, მაგრამ გაგრძელდება უფრო სწრაფი ტემპით.

**გულბაათ რცხილაძე**
ge.news-front.info

# ამერიკულ ბირჟებზე ვაჭრობა შეჩერდა



**ამერიკულ ბირჟებზე აქციების ინდექსი დაცემას განაგრძობს. კერძოდ, ვაჭრობის დაწყებისთანავე, S&P 500-ის ინდექსი 7%-ით დაეცა, რამაც 15 წუთით შეაჩერა პროცესი. ამ პერიოდში კი Dow Jones-ის ინდექსი 7,29%-ით შემცირდა, NASDAQ Composite-ის კი — 6,86%-ით.**

აღსანიშნავია, რომ ბირჟებზე ინდექსის დაცემა ზედიზედ მესამედ მოხდა. სამი დღის განმავლობაში Dow Jones-ის ინდექსი 11,48%-ით შემცირდა, NASDAQ Composite-ის კი — 11,43%-ით. კრიზისი კორონავირუსის გავრცელების ფონზე ხდება, რომელსაც OPEC-ის წევრ ქვეყნებს შორის ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ მოლაპარაკებების, ფაქტობრივად, ჩაშლა დაემატა. შედეგად, ნავთობის ფასი კვლავ იკლებს. შესაბამისად, ნავთობკომპანიების აქციების ფასიც მცირდება. კერძოდ, Occidental Petroleum-ის აქციები 43%-ით შემცირდა, ConocoPhillips-ის — 30%-ით, Exxon Mobile -ის — 8,9% -ით, Chevron -ის — 10,6%-ით. Baker Hughe -ის – 15 %-ით.

ინდექსი შემცირდა აზიისა და ევროპის ბაზრებზე: იაპონური Nikkei-ის ინდექსი — 5,07%-ით 19 698,76 პუნქტამდე შემცირდა, ჰონგ-კონგის Hang Seng-ის — 4,23%-ით 25 040,46 პუნქტამდე. ამასთანავე, გერმანულმა DAX-მა 7,83% დაკარგა, ბრიტანულმა FTSE-მ კი — 8,4%.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894